

652
1974

36936340
202-40100000



1

9

7

4

1

31

შინაარსი

ქართული

პოეზია, პროზა

- შ. რეჟია — ლექსები . . . 3
მ. გორგილაძე — გუგუშვილის
წყალდიდობა მოთხრობა . . . 7
შ. ზომიძე — ლექსები . . . 27
რ. ართილაშვილი — ლექსები . . . 31

ახალი თარგმანები

- ა. ნესინი — ქალბატონი მაიკუნე
მოთხრობა, თარგმანი ნ. ჩიკაბაძის 33

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

- ალ. ჩხაიძე — ათი დღე გულბა-
რეთში 37

პრიტიკა და კუბლიცისტკა

- ბ. ციხაძე — გაბეხილი
ყამირი 58

წ ე რ ი ლ ე ბ ი

- ა. სურგულაძე — ახალი მასალები
გათუფი ალ. წულუკიძის
მოღვაწეობის შესახებ . . . 64
კ. ტოტოჩაძე — ჯვაროსნობისა
და გემთმშენებლობის განვითარება
საბჭოთა აზერბაიჯანში . . . 73
შ. ვარუნიძე — აზერბაიჯანის
კვლევის ისტორიიდან . . . 83

წ ი ზ ნ ი ს თ ა რ კ

- ბ. ციხაძე — მრავალმხრივ საინ-
ტერესო კრებული 89
კ. შანიძე — სახელოვანი წარ-
სული დღევანდელი საზოგადო-
ებო 94

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს საბჭოთა
მწერების კავშირისა და
აზერბაიჯანის მწერების
ორგანო

გ ა თ ე შ ი — 1974

ი ა ნ ვ ა რ ი — თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

12466

ქართული ენის
სტრუქტურის
მეცნიერება

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.2.74, საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 559, ემ 00750, ქაღალდის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

მოსკოვი

მოსკოვი! —

არა მარტო ეკუთვნის რუსეთს,
საქვეყნო ხმებით და დაფდაფით.
ისტორიის ფურცლებს

შვებით გული უცემს, —
მოსკოვი — მსოფლიო ქალაქი!
სხვა დედაქალაქები

განა მისი ტოლია,
სიზმრული ოცნებების მომქსოვის?
გუგუნებს ისტორია,

ახალი ისტორია —
მოსკოვი,

მოსკოვი,
მოსკოვი!

ებოქა არ გკითხავს
გლლიდა თუ არ გლლიდა
წარსული

ფიქრების მოწოლით.
განგებამ, განგებამ
დარეკა მაღლიდან —
მოსკოვი,

მოსკოვი,
მოსკოვი!

მონღოლის ცხენით
ჭიხვინებს წარსული,
თათარი რომ ეცა რიაზანს,
ის ხმები წასული,
ისრებად ასხმული,

მოსკოვმა ახსნა და იაზრა.
 დღეს თავზე ეფრქვევა ვარსკვლავთა ლიტლიცი,
 მუხას ჰგავს სრულსა და რტომრავალს,
 ჭაბუკის სიმკვირცხლით,
 მოხუცის სინდისით
 მოსკოვი გაჰყურებს მომავალს.
 მე ბედი მიღიმის მომავლის ჭიშკართან,
 ჭირნახს ზემოც მჩვევია,
 ამ ჯვართ ვიბრძოდი.

ეს ხმალი მიცავდა.

ახლა ეს ვარსკვლავიც ჩემია!
 მურომეცის კუნთივით ზამბარა იწევა
 და შუქი ჩამოდის კონებად,
 ისტორიის ციფერბლატს მოერგო ისრებად
 მოსკოვის ფიქრი და გონება.
 სხვა დედაქალაქები განა მისი ტოლია,
 სიზმრული ოცნებების მომქსოვის?
 გუგუნებს ისტორია,

ახალი ისტორია —

მოსკოვი,

მოსკოვი,

მოსკოვი!

ტვერის ბულვარი

ტვერის ბულვარი,
 ტვერის ბულვარი,
 მოყვრის მოყვარე,
 მტერის მძულვარი.

ძეგლი პუშკინის,
 სახლი გერცენის,
 ქუჩა უკვდავი,
 მარად დღეგრძელი.

ნასათუთარი,
 ნაფუსფუსარი,
 ნაქათქათარი,
 ნაგუზგუზარი.

მარად ფხიზელი,
 მარად მღვიძარი,
 მარად ჭაბუკი,
 ნაკისკისარი.

ზან გაფოთლილი,
ზან ნაფოთლარი,
ზან უშფოთველი,
ზან ნაშფოთვარი.

ისტორიული,
მაინც ახალი,
მალლით — ციური,
დაბლით — მაღალი.
თეატრი — მხატი,
დრამა — პუშკინის,

ზღვა ხალხი დადის,
პირი უცინის.

როცა დათბება,
ვარდი დათვრება, —
დაგესიზმრება,
მოგენატრება.

მოყვრის მოყვარე,
მტერის მძულვარი,
ჩემი ოცნება
ტერის ბულვარი.

რასულ გამზათოვის იუბილე საბჭოების სასახლის სვეტებიან დარბაზში

იღგა შემოდგომა რთვლიანი,
მარგალიტის თვლიანი,
მოსკოვმა იცის პოეზიის ფასი.
სასახლე ხედებოდა ჭაღების ბრდღვიალით
დალესტნიდან მოფრენილ არწივს.
ლირიკას ცვიოდა ჩინჩხალი, ნაკვერცხალი.
მოსკოვი ხედავს რახანია,
პატარა ქვეყანა დალესტანი,
დალესტნის მთები მაღალია.
ხალხის მონაპოვარი

ყოფილა წიგნი,
იგი გულისთქმის
აშკარად ამხელს,
მოსკოვში რიგი,
ყველაზე დიდი რიგი,
პოეტის წიგნისთვის რომ იღგა,
ენახე.

პოეტი ამბობს:

— ვამაყობ მთებით,
მშობელი ქვეყნის ვარ მაღლიერი.

დაღესტანმა მომცა მაგარი ფრთები,
მოსკოვმა — საფრენი სარბიელი.
პოეზია ყოფილა გულების შემკრები,
გრიალი გაჰქონდა სასახლეს.
ზეიმზე მოსულიყვნენ ლეკებიც
და ჰერში იქნევდნენ ფაფახებს.

მიხეილ გოგინაძე

გუბანგეულის წესდღილობა

I

— ბატონო ექიმო, თქვენი ბრძანებით გამოცხადდი, — ახალგაზრდა უნტეროფიცერი კარებთან მხედრულად გამოეჭიმა. მას მკერდზე გიორგის ჯვრის ორი ორდენი უბრწყინავდა.

— შემოდი, მელიტონ, გათბი. — ექიმმა ღუმელთან ტაბურეტი დაუდგა.

უნტეროფიცერმა მადლობა გადაუხადა. შემდეგ ფანჯარასთან მივიდა, შეორთქლილ მინას ხელი გადაუსვა და ქუჩას გახედა. შენობა გორაკზე იდგა, ქვევით მოჩანდა პატარა დაბა, ჭუჭყიანი თოვლი ქვაფენილზე ზვინებდად შეექუჩებოდა. გარეთ ყინავდა, მობუზული, თბილანებში შეყუჟული გამვლელნი მოკლე ნაბიჯებით მიიჩქაროდნენ.

თეთრხალათიანი ექიმიც ფანჯარასთან მივიდა, შეორთქლილი მინა მანაც ჩამოწმინდა და სივრცეს მიაპყრო თვალი. ბურუსში მთების მკრთალი მოხაზულობა მოჩანდა.

— იმ მთებს გადაღმა, სადღაც ძალიან შორს, ჩვენი სამშობლოა. — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ექიმმა.

უნტეროფიცერს პასუხი არ გაუცია, თითქოს ექიმის სიტყვები არც გაუგონია. იგი ფიქრებში იყო ჩანთქმული.

ფანჯარას მანამ არ მოშორებოდა, ვიდრე სივრცე წყვდიადში არ ჩაიძირა.

შემდეგ ექიმმა სინათლე აანთო.

უნტეროფიცერი ტაბურეტზე ჩამოჯდა, გათოშილი ხელი ღუმელს მიაფიცხა.

— ექიმო, გთხოვთ გულახდილად მითხრათ, ამ თვენახევრის განმავლობაში, რაც თქვენს ლაზარეთში ვწევარ, ქვეყნად რა ცვლილებები მოხდა. თქვენ შტაბის მაღალი ჩინის ოფიცრებს იცნობთ, ისინი გეტყვოდნენ.

— დონზე ძმათამკვლელი ომი გრძელდება, სამხრეთის კაზაკებმა ჩრდილოეთის წითელი კაზაკები ვოლგამდე გარეკეს, კრასნოვი ოცნებობს ყუბანის ავტონომია გამოაცხადოს და ამით ომს ბოლო მოუღოს, დენიკინი კრასნოვს ურჩევს გაერთიანებული სარდლობა შექმნან და მოსკოვისაკენ დაიძრან, იმასაც ამბობენ, ვოლგის გაღმა ჩეხოსლოვაკები აჯანყდნენ, იარაღი ხელში ჩაიგდეს და ცარიცინისაკენ დაიძრნენო. გაზაფხულზე ხელახლა გაჩაღდება ზოცვა-ჟლეტა.

ხალხი სისხლისაგან დაიცალა, ომს კი ბოლო არ უჩანს.

— აღარ შემიძლია ამდენ უბედურებას ვუყურო.

უნტეროფიცერი წამოდგა და ისევ ფანჯრისკენ მიბრუნდა.

— ჩემიანების ნატვრით გული საშინლად დაძეწურა. თვალს ვერ ვაშორებ სამხრეთს, მინდა წარმოვიდგინო, რამდენი მთა და ველია ჩამდგარი დონსა და ჩემს მშობლიურ ხიდისთავს შორის. საცოდავი დედაჩემი, ალბათ გაჰყურებს შარას და ყოველ ფარაჯიან მამაკაცში ქმარი ან შვილი ელანდება.

— ასეთია ომი. ჩემი ცოლ-შვილი თბილისში ცხოვრობს, წელიწადზე მეტია მათი არაფერი ვიცი, — ექიმმა ჭაღარა თმებში შეიცურა თითები.

— კავკასიიდან რა ამბები მოდის?

— ამბობენ, კავკასიის ხალხებმა ფედერაცია გამოაცხადესო. საქართველოში ძალაუფლება მენშევიკებს უპყრიათ.

— ნდა, — ღრმად ამოიხვნეშა უნტეროფიცერმა, — ოთხი წელი ნესტიან სანგრებში გავატარე, ორჯერ მძიმედ დამჭრეს. აქამდე გერმანელებს ვებრძოდი, ახლა ისე აირია ყველაფერი, აღარ ვიცი რა გზას დავადგე.

— ჩემს რჩევას თუ შეისმენ, შვილო, ჰეშმარიტ გზაზე დაგაყენებ.

— ო, რა თქმა უნდა, ექიმო, — უნტეროფიცერმა ექიმს შუქიანი თვალები მიაპყრო.

— გეყოფა რაც იომე, რაც სისხლი დაღვარე, დროა შენს ქვეყანას, შენს ოჯახს დაუბრუნდე.

— ვინ გამიშვებს, ექიმო, დღეს კომისიამ დენიკინის არმიაში გამამწყესა.

ექიმი წამოდგა, საწერი მაგიდის უჯრიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო.

— მე მოგიმზადე საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ უნტეროფიცერ მელიტონ ქორიძეს მძიმე ჭრილობა აქვს და ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. როსტოვიდან გასულ კვირას ბაქოსაკენ კავკასიელთა ორი ეშელონი დაძრულა, ბრძოლით გაუკაფავთ გზა. მოვარდნილი

მძლავრი ტალღის შეჩერებას ვერ ახერხებენ. ამბობენ, როსტომში კაც-სიელები ისევ იკრიბებიანო, მათ შეუერთდი.

— ოჰ, ექიმო, თუ კი გადავრჩი, მთელი სიცოცხლე თქვენგან ვიქნები დავალებული.

— ეგ რა სათქმელია, შვილო. მხოლოდ ერთსა გთხოვ, თბილისში ცოლ-შვილთან ბარათს გაგატან, ალბათ, ცოცხლებში აღარც მთვლიან, — მელიტონს საბუთები და კონვერტი გადასცა. — თავს გაუფრთხილდი, ყმაწვილო, სამშობლოში რომ დაბრუნდები, ეცადე საქართველოს ყუბანის მსგავსად ძმათა სასაკლაოდ ნუ გადააქცევენ. აქ, ლაზარეთში ხუთი ქართველი წევს, მათაც შენს გზაზე დაეაყენებ... ჰო, კინალამ დამავიწყდა, — ექიმმა კარადიდან ზურგჩანთა გამოიღო, — აქ შენი ნაგანი და სურსათია. შიშველი ხელებითა და ცარიელი კუჭით შორს ვერ წახვალ. აბა, მშვიდობით მგზავრობას გისურვებ! — ექიმმა მკერდზე მიიხუტა უნტერ-ოფიცერი.

* * *

დონის როსტოვის სადგურზე ანარქია სუფევდა. ბოლშევიკური არმიების ზამთრის შეტევის შედეგად დონის ასკილომეტრიან უბანზე ფრონტი გაირღვა. დენიკინისა და კრასნოვის ნაწილები ნაჩქარევად ცდილობდნენ გარღვეული ფრონტის გამაგრებას, ბრძოლებში უკანასკნელ რეზერვებს აბამდნენ. ამ დროს აღარავის ჰქონდა თავი სამშობლოსაკენ ტალღასავით დაძრული კავკასიელებისათვის გზა ჩაეკეტა.

რკინიგზის სადგურზე ორი ათასამდე კავკასიელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა მოიყარა თავი. გზა ერთი იყო, ჩრდილო კავკასიის გავლით ბაქომდე, შემდეგ თბილისამდე.

კავკასიელებმა სამი ბატალიონი შექმნეს და მეთაურები აირჩიეს. იარაღი საკმარისად აღმოაჩნდათ. ბაქოელმა მემანქანემ ჩიხში მიტოვებული ორთქლმავალი ნახა და ერთ დღე-ღამეში გამართა. თექვსმეტი სატვირთო და ფანჯრებჩალეწილი სამგზავრო ვაგონი შეაგროვეს და სატვირთო სადგურის ბაქანზე ჩაამწყრივეს.

ორიოდე საათში აურზაური დაცხრა, ადამიანები, რომლებიც ჩასხდომის დროს შეშლილებს ჰგავდნენ და მზად იყვნენ ერთმანეთისათვის ყელი გამოეღადრათ, ახლა ერთმანეთს ეხვეოდნენ, ისე გამხიარულდნენ, თითქოს სახლში მისვლას აღარაფერი აკლდათ.

გაისმა ორთქლმავლის პირველი გამაფრთხილებელი კივილი, ამას ბაქანზე ნერვიული სირბილი მოჰყვა. ორმოცდაათამდე ჯარისკაცი შემფოთებით ათვალიერებდა საფეხურებს, ფანჯრებს, ვაგონის სახურავს.

მელიტონი ანაზღად წამოიჭრა და ვაგონის ჩამტვრეულ ფანჯარას მიაწყდა.

— ნესტორ, ნესტორა, ნესტორა! — გაქცეულ ჯარისკაცს ხმე დაჟღერდა.
ვნა. ჯარისკაცს ორი ზურგჩანთა აეკიდა და სახე ძლივს მოუჩანდა. მანქანაში
შაშხანა ეჭირა.

ჯარისკაცი შეჩერდა, მოიხედა, ფანჯრები შეათვალიერა, მას განწი-
რული ადამიანის სახე ჰქონდა.

— ბიჭო, აქეთ, შენ ნესტორა ხარ? — მელიტონი ფანჯრიდან მთელი
ტანით გადაიხარა.

ჯარისკაცი ფანჯარასთან მიიჭრა.

— მელიტონ, მიშველე რამე.

— მაქ რას დაბორიალებ?

— რა ვქნა, ახლა მოვედი, ფეხის დასადგმელ ადგილს ვერ ნახავ. ამ
ჯოჯოხეთში დარჩენას სიკვდილი მიჯობს.

— მომეცი თოფი და ჩანთა, აქიდან ამოგათრევ.

— ოჰ, მელიტონ, მოიკიდე ჩემი ოჯახის მადლი.

— Эй, ты что, с ума сошел? — აყვირდნენ ვაგონში.

— მაგათ რას უყურებ, ჩქარა ამოვიყვანოთ, — მელიტონს ქართვე-
ლები წამოეშველნენ, ჯარისკაცს მხრებში ხელი წაავლეს და ვაგონში შე-
მოათრიეს.

ნესტორმა თავი ვერ შეიკავა, მელიტონის მუხლებზე დაემხო და ქვი-
თინი აუვარდა.

მატარებელი ქშენით დაიძრა.

* * *

მატარებელმა საქართველოს საზღვარს სამი კვირის შემდეგ მიაღწია.
ნავთულში ლტოლვილთა ვაგონებს გვარდიელებმა და რეგულარუ-
ლი არმიის ახალწვეულებმა ალყა შემოარტყეს. ბაქანზე ახოვანმა პოლ-
კოვნიკმა ქართველებს მძლავრი ბარიტონით მიმართა.

— ძმებო და შვილებო, თავისუფალი საქართველოს მენშევიკური
მთავრობა სამშობლოს დასაცავად არმიას აყალიბებს, ვისაც ძარღვებში
ქართული სისხლი გიჩქეფთ და სამშობლოს სიყვარული გამოძრავებთ,
წინადადებას გაძლევთ არმიაში ჩაეწეროთ. ყოველ მოხალისეს დაენიშ-
ნება კარგი ხელფასი.

— ჯერ სახლში გავვიშვით, ცოლ-შვილს თვალს შევავლებთ, დავის-
ვენებთ, დავიქანცეთ გაუთავებელი ომით, — მიაძახეს ფანჯრებიდან.

რაკი მსურველი არავინ აღმოჩნდა, პოლკოვნიკმა განაგრძო:

— როგორც ჩვენთვის ცნობილია. თქვენ ფრონტიდან იარაღი მო-
გაქვთ. იარაღს სამშობლოს გამყიდველი კომუნისტები და ბუნტოვშიკე-
ბი აგროვებენ, პატიოსან ადამიანს იარაღი არ სჭირდება, ამიტომ წინადა-
დებას გაძლევთ ყველა ცეცხლსასროლი იარაღი ჩაგვებაროთ. იარაღი და

ტყვია-წამალი ფანჯრიდან გვარდიელებს მიაწოდეთ. შემდეგ ვაგონებს შევამოწმებთ, ვისაც იარაღი აღმოაჩნდება გადამალული, მას სამხედრო ტრიბუნალს გადავცემთ. აბა, დავიწყეთ!

ვაგონებში ჩოჩქოლი ატყდა. ჯარისკაცები იარაღს ისე იყენენ შეჩვეულნი, უმისოდ ცხოვრება ბევრს ვერც წარმოედგინა. იარაღით გაიკაფეს გზა როსტოვიდან თბილისამდე, იარაღმა ააცდინა ათასი საფრთხე, ახლა, როცა სახლში მისვლამდე აღარაფერი დარჩათ...

ვაგონში ასეულის მეთაურად გამოყოფილმა ოფიცერმა ყველას გასაგონად დაიყვირა, — ძმებო, საქმეს ნუ გავამწვავებთ. ღვთის წყალობით, ჩვენში სამოქალაქო ომი არ გაჩაღებულა, ღმერთმა გვაშოროს დონის ამბები, დავემორჩილოთ განკარგულებას, აღარ გვჭირდება იარაღი, ყველამ ჩავაბაროთ.

ასეულის მეთაურს უმრავლესობამ მაშინვე დაუჭირა მხარი, დაიწყეს იარაღის მიწოდება.

— არაფერსაც არ ჩავაბარებ, — მუქარით ჩაილაპარაკა ბრანძორელმა ნესტორმა.

— ნესტორავ, ჭკუას მოუხმე, პროვოკაციას არ წამოეგო. შაშხანა ვითომ შენი არ არის, საჯდომის ქვეშ დააგდე, თუ წაიღებენ, წაიღონ, ნურც ნაგანისათვის გადასდებ თავს. — წასჩურჩულა მელიტონმა.

— შაშხანა ჯანდაბას, ნაგანს არ დავთმობ.

— თავი არ წააგო, ფრთხილად იყავი.

— ერთი, მაგათი დედაც... — ხმაძალდა შეიგინა, — ომის ჯოჯოხეთი არ უნახავთ, ეტლებით დასეირნობენ და ინდაურებივით იფხორებიან.

ამასობაში ბაქანზე შაშხანების გროვა აღიმართა. ლტოლვილებს რამდენიმე ხელის ტყვიამფრქვევიც აღმოაჩნდათ.

დალაძდა. რკინიგზელთა ფანრები მოიტანეს და გვარდიელები ვაგონებს მოედნენ.

— შენ, ეი, ასე მტრულად რატომ იყურები? — ახალწვეულების თანხლებით მოსულმა ოფიცერმა შუქი მიანათა თვალებში ღია ფანჯარასთან ატუზულ ნესტორს.

— კარგს რას აკეთებთ, რომ მოყვრულად შეგხედო?

— ბრძანებას ვასრულებ.

— აღარ გეყოთ, რაც მიიღეთ?

— შენ, გეტყობა, რაღაც გადამამული გაქვს.

— გადაძალვა რას მიქვიათ, აშკარად მიღვეს ჯიბეში.

— ჩამაბარე, ჩქარა, ჩქარა! — ოფიცერმა რკინიგზელის ფანარი ახალწვეულს გადასცა და თვითონ ნესტორს მიუახლოვდა.

— იცი, რა, — ნესტორმა ბოღმით ამოილაპარაკა, — თავიდან მომწყდით. თორემ ისეთ ხასიათზე ვარ...

— ყურებზე ხახვი არ დამატკრა, — ოფიცერმა ნესტორს რეველოვერის ბუდეზე წაატანა ხელი.

— იქნებ მეტიც შემოძლია, — ხელი ჰკრა და უკან გააგდო.

— ბუნტოვშიყო! — ოფიცერმა მკივანა ხმით დაიყვირა და გაშლილი ხელი ნესტორს სახეში გააწნა.

— აღარ მომეშვებით? — დაიღრიალა ნესტორმა და ორთავე მუშტი ოფიცერს ისეთი ძალით ამოჰკრა, რომ დარტყიანებული ახალწვეულების ჭერხით ჩაიკეცა.

გონსმოსულმა ოფიცერმა რეველოვერზე იტაცა ხელი.

ვაგონი სროლის ხმამ გააყრუა.

ოფიცერი მუხლებში ჩაიკეცა და აღარც წამომდგარა.

ნესტორი ღია ფანჯრიდან სიბნელეში გაუჩინარდა.

გაოგნებული ახალწვეულები შიშით მიაჩერდნენ ირგვლივ შემოკრებილ, გამეხებულ, ჯარისკაცებს.

— ბიჭებო, ნუ გეშინიათ, — საქმეში მელიტონი ჩაერია, — ჩვენ არაფერს დაგიშვებთ, მხოლოდ თქვენი მეთაური ჩქარა გაიყვანეთ, იქნებ ექიმმა უშველოს.

ოფიცერს ხელი მოჰკიდეს, მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

სროლა სხვა ვაგონებშიც გაისმა. სიბნელეს არეულობა მოჰყვა.

მელიტონის ვაგონში ოფიცერების ჯგუფი შემოიჭრა.

— გაქცეულს ვინ იცნობს? — დაიყვირა უფროსთაგანმა.

მელიტონი წამოდგა, მხრებიდან შინელი ჩამოუცურდა, შუქზე გიორგის ჯვრები აელვარდა.

— თქვენი მოქმედება არ არის სწორი, — მელიტონმა ოფიცერებს ანთებული თვალები გაუსწორა, — ჯოჯოხეთიდან ვბრუნდებით, სული კბილით გვიჭირავს, თქვენ კი ისე გვექცევით, თითქოს მოწინააღმდეგე არმიის ტყვეები ვიყოთ.

— სწორია, ფრონტიდან დაბრუნებულთ ასე როდი ხვდებიან, — ყოველი მხრიდან მოაწყდნენ ლტოლვილი ჯარისკაცები.

— საზეიმო შეხვედრას მოელოდით?

— რატომაც არა, ცუდი რა ჩავიდინეთ? — ხმას აუწიეს ჯარისკაცებმა.

— კარგი, ახლა მაგის განსჯის დრო არ არის, — ისევ უფროსმა ოფიცერმა მიიქცია ყურადღება. — მკვლელს ვინ იცნობს.

— საგარეჯოელი გაბილაშვილი ვარო, დათოს ეძახდნენ, სხვა არაფერი ვიცი. — მელიტონმა გასცა პასუხი.

— სად არის მისი ბარგი?

საჯდომის ქვეშ ზურგჩანთაზე და შაშხანაზე მიუთითეს.

ჩანთა გახსნეს. ფული, საცვლები და რამდენიმე ქილა კონსერვები
მოჩნდა.

— ის ზურგჩანთები ვისია?

— ჩემია.

— იარაღიც დაიტოვეთ?

— მხოლოდ ნაგანი, იგი დივიზიის მეთაურმა ძაჩუქა.

— არ გვაბარებთ?

— არ ჩავაბარებთ, — გადაწყვეტით უთხრა მელიტონმა.

— კარგი, მოვეშვათ, ერთი ნაგანი რა ბედენაა, — ხმადაბლა გადაუ-
ლაპარაკა მეორე ოფიცერმა.

ნესტორის ჩანთა და შაშხანა წაიღეს.

ბაქანზე ნალარა დაჰკრეს.

პოლკოვნიკს საქმე აღარ გაუმწვავებია. გვარდიელები, მილიციე-
ლები და ახალწვეულები ვაგონებს მოშორდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ მატარებელი თბილისისაკენ დაიძრა.

მელიტონმა სადგურზე ეტლი დაიქირავა და ელბაქიძის დაღმართზე
ექიმ მაღალაშვილის ოჯახს ეწვია. მაღალაშვილებმა შვილივით მიიღეს სა-
სიხარულო ამბის მაცნე სტუმარი.

დაბანილი, გაპარსული, გაკოხტავებული მელიტონი მეორე დღეს
თბილის-ბათუმის მატარებელში იჯდა.

* * *

— ხა... ხახა... შეხვედრაც ამას ჰქვია.

სამტრედიის სადგურის ბაქანზე მელიტონს ნესტორი მიეგება.

— ბიჭო, აქ საიდან გაჩნდი? — მელიტონმა გულითადად გაიხარა.

— შიშმა ფრთები შემასხა.

— არა, მართლა.

— ნავთლულიდან მცხეთამდე ეტლით ჩამოვედი. მცხეთიდან სატვი-
რთო მატარებლის შემანქანებ ხაშურში ჩამომიყვანა. წუხელ თქვენი მა-
ტარებლის შემანქანებ შემიფარა და ა, ბატონო, დაბარებულივით გამო-
გეცხადე.

— ღმერთი გწყალობს.

— მეძებენ?

— საგარეჯოში გავვზავნე ვიღაც დათო გაბილაშვილისას.

— კარგად მოგიფიქრებია. ყველაფერი წაიღეს?

— აი, ეს ერთი ზურგჩანთა ძლივს გადავირჩინე, ჩემია-მეთქი, ვუთ-
ხარი.

— კაცი ხარ კაცური, ჩემი ქონების ნახევარი ამ ჩანთაშია, გასაჭირი
ვიაზრე და ყველაფერი შუაზე გავყავი.

სადგურის მოედანზე გავიდნენ.

თებერვალი იდგა. თეთრად გადაპენტილი ტყემლები ზეგონებდნენ ბიდან ვეებერთელა თაიგულებად მოჩანდა, საადრეო ატმის ხეებს ნაპერწკლებით აჩნდა ახალგაშლილი ალისფერი ყვავილები. უფრო ახლოს, ზამთრისაგან გაძარცულ ასწლოვან ჭადართან, მუშტრის მოლოდინში მეეტლეები გადახრილ მხეს მიფიცებოდნენ.

მელიტონმა მოახლოებულ გაზაფხულს შეჰღიმა, საკინძე ჩაიხსნა და სითბო უბიდან ძარღვებში ჩაიღვარა.

— ნესტორავ, ამ დაქანტული მხრებითა და მოსაგებული ფეხებით რამხელა სიხარული მიგვაქვს. ვინ იცის, იქნებ გამოგვიგლოვეს. ცოცხლებს რომ დავგინახავენ, შეიძლება სიხარულით შეიშალონ.

ნესტორს პასუხი არ მიუცია, თავდახრილი უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს.

— სახე რას ჩამოგტირის, ბიჭო, ისე გამოიყურები, თითქოს განძი დენიკინთან დაგჩა და ახლა მოგაგონდა.

— მელიტონ, — გაუბედავად შეაპარა ნესტორმა, — ვაჟკაცურად მითხარი, რას მიპირებ.

— რამ შეგშალა, ბიჭო, რას უნდა გიპირებდე?

— ჩემი სული შენს ხელთ არის, ნუ ჩადგები ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში.

— დედაცაცივით ნუ წუწუნებ, რა გჭირს, მითხარი.

— ერთი სიტყვა რომ დაგცდეს, ხომ იცი, კედელთან დამაყენებენ.

— ფუი, შენს კაცობას, — მელიტონს სახეზე ზიზღი გამოეხატა, —

— არ გრცხვენია, ნესტორავ? შენ გამცემდი?

— არ ვიცი, რა გითხრა. შენს გულში ხომ არ ვზივარ. იქნებ სხვა ჭკუაზე დადექი, მაშინ? მშვიდად ველარ უნდა დავიძინო?

— დაიძინე, ბიჭო, დაიძინე, ჩემგან ნურაფრის გეშინია.

— არა, მელიტონ, მასეთი სიტყვა არ მყოფნის. ეს საიდუმლო შემინახე და სამაგიერო, რაც გინდა მთხოვე.

— ორი სურვილი შემისრულე და გეფიცები ყველა საფიცარს, ქვეყანა რომ გასკდეს, მაინც არ გაგთქვამ.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— პირველი დავალება ასეთია, მეეტლეს მოელანარაკე, სანამ გზა არის, წაგვიყვანოს. ნიკოლოზას ბონები თუ არ მიიღოს, მარილი ან სხვა რაიმე მიეცი, მე გასაცემი აღარაფერი მაქვს, თორემ სიტყვას არ გათქმევინებდი. მეორე დავალება უფრო ადვილია, ჩვენებთან მახარობლად მიდი, დედაჩემს ფრთხილად აუხსენი, რომ ცოცხალი ვარ, რომ ერთად ჩამოვედით. გულსუსტია, მეშინია მოულოდნელმა სიხარულმა არ გადაიყოლოს.

— რას მეხუმრები, ეგ რა დავალებებია.

— არ გეხუმრები. შენ ნუ უღალატებ შენს თავს, ჩემი იმედი გქონ-
დეს.

ნესტორმა უნდობლად ახედა თანამგზავს.

მელიტონმა მეგობრულად მოხვია ხელი.

— შენდე, ნესტორავ, დედას გეფიცები, რა ჭირშიც არ უნდა ჩამა-
ყენო, მაინც არ გაგცემ, — ისეთი სმით უთხრა, რომ ნესტორს შერცხვა
თავისი ექვისა.

II

მელიტონი სოფლის ორღობეს აჰყვამო. ჩიტებს სამხიარულო ჟიჟივი
აეტეხათ. სოფლის ატალახებულ შარას ბილიკივით აჩნდა მშრალი ად-
გილები. კლდეებიდან ნაკადულები მოწანწკარებდნენ. ნაზამთრალი დე-
დამიწა ზედმეტი წყლისაგან იწრითებოდა.

მელიტონმა პატარა ჭიშკარი შეადო. ეზოში დაუკითხავად შევიდა.
ფაცხის გვერდით მხრებში მოხრილი, ერთიანად გადათეთრებული მამა-
კაცი შეშას ჩეხდა. სიბოზ იყო, მამაკაცს მაინც დაბამბული ეცვა და ნაქ-
სოვი ყელსახვევი შემოეხვია.

ჭიშკრის სმაურზე ფიცრული ოდის ქვეშ ბოძზე ჯაჭვით მიბმული
ქოფაკი ყეფით წინ გავარდა, მაგრამ რკინის სალტე ყელზე მიეხვინა და
უკან გადაეარდა.

მასპინძელმა ცული კუნძზე დაასო, ყელსახვევი გაისწორა და სტუმ-
რის შესახვედრად გამოემართა.

— გამარჯობა, ბიძია ივლიანე.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო. — ივლიანე უფრო ბეჯითად და-
აკვირდა ნახევრად სამხედრო ფორმაში გამოწყობილ კაცს.

— მართალი გითხრათ, ვერ გიცანით.

— მე ისიღორე ქორიძის შვილი ვარ, მელიტონი.

— ოო... ოო... რაღა გამოცვლილხარ, მხრები გაგიშლია, დავაჟკაცე-
ბულხარ. ამას წინათ მითხრეს ფრონტიდან დაბრუნდაო. რამდენი წელი
გავიდა, რაც არ მინახიხარ? 1906 წელს გადამასახლეს, ბარე ცამეტი წელი
გასულა.

ფაცხიდან ქალმა გამოიხედა.

— მართა, მწვადი შეგვიწვი და კეცის მჭადი გამოგვიცხვე, ამ კაცს
მერე გაგაცნობ.

— რას ამბობ, ივლიანე, — გაიცინა მართამ, — მაგი კაცი შენზე ად-
რე ვნახე, ამბავი მე არ ამოგიტანე?

— ჰოდა, მით უკეთესი, აბა შენ იცი.

ივლიანემ მელიტონს მკლავი გამოსდო და მსხლეების მხარეს ნაჩა-
ლევს აჰყვანა.

— ათი წლის ვიყავი, — მოიგონა მელიტონმა, — ნასაკირალის ამ-
ბეები რომ დატრიალდა. გუშინდელივით თვალწინ მიდგას, მსხლის ხეზე
პატარა გიდელში ყურძენს ვკრეფდი. უცებ სოფელში ომახიანი სიმღერა
შემოიჭრა, „მოვდივართ, მოგვიხარიაო“... ხმები თანდათან მოახლოვდა და
სივრცე აავსო, შემდეგ გამოჩნდნენ კაზაკურ ცხენებზე ამხედრებული მე-
ზობლები, ხელში ნამდვილი შაშხანები ეჭირათ. ისეთი დღე დავაყარეთ,
მთელი რუსეთი გაიგებს, გაბედონ და კიდევ დაგვცხონ მათრახებიო,
იმუქრებოდნენ გამარჯვებით გათამამებულნი. დამამახსოვრდა მზესავით
ანთებული მათი სახეები. ისეთი განწყობილება დაუფლებოდათ, მზად
იყვნენ დევებს შებმოდნენ. მამაჩემმა თქვა, ამ ამბებს ცუდი შედეგი მო-
ჰყვებაო. გამიკვირდა, მე მათ მდგომარეობას შევნატროდი, მამაჩემი კი
უკმაყოფილოდ აქნევდა თავს. ერთი კვირის შემდეგ სოფელში ეგზეკუცია
ჩამოაყენეს. ბევრი სახლი გადაწვეს, ბევრი ახალგაზრდა გააციმიბირეს,
თქვენნი ჯგუფი ნაბელაუვის ტყეში გაიხიზნა.

აღმართში ივლიანეს სახე ცივი ოფლით დაეცვარა, ღრმად სუნთქა-
ვდა, რომ დაქანცული ფილტვები ჰაერით აევსო. შეჩერდნენ, სოფელს
ზევიდან დახედეს.

— ეჰ, ჩემო მელიტონ, — ამოიხვნეშა ივლიანემ, — აღარ დაგვცა-
ლდა, ლალატიმ ჩავვიგდეს ხელში, სამუდამო კატორღა მომისაჯეს.

— ეგზეკუციამ ერთ წელს გასტანა, მაგრამ სოფელში სიმშვიდე მა-
ინც ვერ დაამყარეს, — განაგრძო მელიტონმა, — იმხანად ფირალად გაი-
ჭრნენ შევარდნაძე, დოლიძე, მუხაშვარია, ეგზეკუციის შემდეგ მათ კალა-
ნდაძეც შეუერთდა.

მთავრობამ ჩოხატაურში კაზაკთა ოცეული დატოვა. ვილაცამ ამბავი
ჩაიტანა, პოლიტიკური კალანდაძე სიხარულიძისას იმალებათ. ხუთი კა-
ზაკი გამოეშვათ, მაგრამ იქ კალანდაძე მარტოდ არ იყო. ძალღიშვილებმა
სადილი არ შეგვარგესო, ეთქვა დათიკო შევარდნაძეს. კარი გამოაღო და
ერთი კაზაკი პირველსავე გასროლაზე უსულოდ დაადგო. გაჩაღდა სრო-
ლა. კაზაკები მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე, მკვდარი მიატოვეს და
მოკურცხლეს. ერთ საათში ოცდახუთი კაზაკი ამოვიდა. მაგრამ ფირალე-
ბი უკვე შორს იყვნენ. კაზაკები სხვას რომ ვერაფერს გახდნენ, სოფელს
დაერივნენ, დიდი და პატარა მკვდართან მირეკეს, ჯალამბარი გააკეთები-
ნეს, მკვდარი კაზაკი ზედ დაასვენებინეს და მათრახების ცემით უბრძანეს
ეგლოვათ. მასხოვს, მაშინ ვილაც დედაკაცმა თმები ჩამოიწეწა და ქართუ-
ლად დაატირა: „ძმაო რუსო, ძმაო რუსო, რა გიტყვი რომ არ მსურსო“.
ხალხში ხითხითი ატყდა. ეს ლექსი შემდეგ მთელს საქართველოს მოედო.

შქერის ფოთოლში გამომცხვარი მჭადისა და ღორის მწვადის სურ-
ნელებამ ნაჩაღევამდე მიადწია.

საუბრით თავქვე დაეშვნენ.

სტუმარს მართა დოქითა და ხელსახოცით გამოეგება.

კერიასთან დაბალი მაგიდა იდგა. შამფურზე წამოგებულ მწვადსა და ახალდაჭრილ კეცის მჭადს მადის გამაღიზიანებელი ოხშივარი ასდიოდა. პატარა ხელადით სუფრის ბოლოში ღვინო იდგა. ხელადის საცობი ფუჩეჩი ღვინისაგან წითლად იყო შეღებილი. დიასახლისმა სუფრაზე თეფშით თხილი და ხეჭეჭური დადგა.

— ბატონო მელიტონ, სხვა არაფერი გვაქვს. ხომ იცით, რა დროა.

— ქალბატონო მართა, თქვენს სუფრაზე ყველაფერია. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. — მოიბოდიშა მელიტონმა.

მამაკაცები მარტოდ დარჩნენ, შეწყვეტილი საუბარი განაგრძეს.

ივლიანემ მშვიდობის სადღეგრძელო წარმოთქვა, ღვინო ოდნავ მოსვა და ჭიქა დადგა. მელიტონი ხარბად დაეწაფა შარბათივით ტკბილ ღვინოს.

— ძირი დაგელოცოს, პირდაპირ ძარღვებში ჩადის. — მწვადი და ცხელი მჭადი გადმოიღო.

ივლიანემ დაცლილი ჭიქა შეავსო.

— პარტია რა მდგომარეობაშია? — იკითხა მელიტონმა.

— ნახევრად ლეგალიზებულნი ვართ. მენშევიკებს რომ ჰკითხო, გეტყვიან, პოლიტიკურ ბრძოლას თავი დაანებეთ, მხარში ამოგვიდექითო, ქვეყნის აღორძინებაზე და ხალხის კეთილდღეობაზე ვიზრუნოთო. რომელ აღორძინებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ქვეყანას დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს. შარშან გერმანელების წინაშე ვიყავით მუხლმოდრეკილნი, ახლა ფრანგები და ინგლისელები მბრძანებლობენ. საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნით, კაპიტალისტური ევროპის სათარეშო გავხდით. ჩვენი პარტიისადმი მენშევიკების პოლიტიკური კომპრომისი, ვფიქრობ, მხოლოდ ვერაგული ფანდია. ხელს არ გვაძლევს მენშევიკებთან თანამშრომლობა, ჩვენ იმ გზით უნდა წავიდეთ, რომელი გზითაც რუსეთის პროლეტარიატი, ლენინი მიდის.

— სრული ჭეშმარიტებაა, — დაეთანხმა მელიტონი.

— შენ მტკიცედ გადაწყვიტე ჩვენთან მოსვლა?

— რა თქმა უნდა, მე იმ ბილიკს არ დავაგდებ, რომელმაც თქვენთან ნაბეღლავის ტყეში მომიყვანა.

— ბარაქალა შენს კაცობას, ჩემო მელიტონ. სწორედ ისეთი გამოცდილი და თავდადებული მებრძოლეები გვჭირდება, როგორიც შენ ხარ. ბიჭებს გაგაცნობ, დავალებას მოგცემთ, დრო გაივლის, დაიმსახურებ და პარტიაშიც მიგიღებთ.

მელიტონს ღიმილი მოერია, უბე გაიხსნა, შიგნითა ჯიბიდან ყავისფერი მუყაოს ყდიანი პატარა წიგნაკი ამოიღო და ივლიანეს გადასცა.

წიგნაკის გარეკანზე სტამბური შრიფტით ეწერა „დროებითი მანდა-

ტი“, შიგნითა ფურცლები რუსული ლამაზი კალიგრაფიით იყო შევსებული „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა)“. ხელს აწერდა არალეგალური კომიტეტის მდივანი ა. ლიტვინოვი.

ივლიანე უცნაურად გამოცოცხლდა, დაქანცული, მიმცხრალი თვალები შუქით აევსო, ფერმიხდილ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— ალექსანდრე ლიტვინოვი, ორმოც წელს გადაცილებული, საშუალო ტანის, მაღალი შუბლი, არწივისებური გამოხედვა, საფეთქლებთან ოდნავ შეჭალარავებული, მოუსვენარი, შთამაგონებელი ბუბუნა ხმით...

— დიახ, დიახ. თქვენ იცნობთ?

— 1914-1915 წლებში გავიცანი, ჩვენი კოლონიის პოლიციის სამმართველოში იყო შეგზავნილი. ცნობილი პოლიტიკური პატიმრების გაქცევა ჰოაწყო. ფრონტზე რას აკეთებდა?

— ოცეულს მეთაურობდა. ფაქტიურად პოლკის კომისარი იყო. 1917 წლის შემოდგომაზე პოლკში აჯანყება მოაწყო. ოფიცრები დააპატიმრა და მეთაურები თვითონ შეარჩია, მინსკში იერიში მივიტანეთ ციხეზე და შვიდასი პოლიტიკური პატიმარი გავათავისუფლეთ. შემდეგ სარდლობის დავალებით დონზე დავეშვიტ. იქ სამი უნტეროფიცერო საგანგებო დავალებით აჯანყებული კაზაკების ზურგში გავგვზავნეს. დავალება წარმატებით შევასრულეთ. აჯანყებულები დენიკინის არმიას დაუქვემდებარდა, ჩვენც დენიკინელებთან აღმოვჩნდით. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჩვენების ყუმბარის ნამსხვრევებისაგან მძიმედ დავიჭერი და ლაზარეთში გამგზავნეს. იმხანად დენიკინი იერიშზე გადავიდა და წითელი პოლკები გვარიანად შეფერთხა. განკურნების შემდეგ სამშობლოსაკენ გამოვეშურე.

— შენ უკვე რევოლუციური წრთობა მიგიღია, ეს შესანიშნავია, ახლა უფრო გულახდილი ლაპარაკი შეიძლება.

— მთლიანად არ მენდობოდით ხომ? — ნიშნის მოგებით ჰკითხა მელიტონმა, მანდატი გამოართვა და ჯიბეში შეინახა.

— ეს არც არის გასაკვირი, სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, ხომ გავიგონია. ზოგჯერ ძმასაც ვეღარ ენდობი. ერთი ძმა მენშევიკია, მეორე ბოლშევიკი. აკაკი და თევდორე სიხარულიძეებმა ტყვია დაახლეს ალალ ბიძაშვილებს, შალვა და ბიკტორ სიხარულიძეებს. კამათში შეჰყვნენ და შემდეგ თოფებს მივარდნენ. სასიკვდილოდ ერთმანეთს ჯერ ვერ იმეტებენ, მაგრამ ბევრი აღარ უკლიათ.

— ჩვენთან როგორია ძალთა თანაფარდობა?

— ხიდისთავის, წიფლიგვარასა და პაიჭესოულის ბოლშევიკები ერთად ვართ გაერთიანებულნი. ახლა ჩვენ ჩოხატაურის ყველაზე მძლავრ უჯრედად ვითვლებით. პატიოსანი, ენერგიული, ავტორიტეტიანი ხალხი გვყავს შემოკრებილი, სოფელს ჩვენი სწამს და მხარსაც გვიჭერს. ხელისუფლება მენშევიკების ხელშია, მაგრამ გულხელდაკრეფილნი არც

ჩვენ ვართ, თხუთმეტი შაშხანა და რამდენიმე რევოლვერი გვაქვს. კომიტეტში გვითხრეს, იარაღი შეიძინეთ და ბრძოლისათვის ემზადდეთ. გვპირდება, რომელიც კარგად ერკვევა იარაღის ხმარებაში, ბრძოლის ამბებში.

* * *

მელიტონის ჭიშკართან ურემი გაჩერდა. ურმიდან თექვსმეტიოდე წლის ბიჭი ჩამოხტა. კუნთმაგარი და ჩაფსკვნილი ჩანდა. შავი, სქელი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. მოახლოებისთანავე მშვიდი, დიდრონი თვალებით მელიტონს ტკბილი, გულში ჩამწვდომი ღიმილი შეაგება. ბიჭს მამისეული, ხანგრძლივი ხმარებისაგან გაცვეთილი ბლუზა და შარვალი ეცვა. ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ხომ ხედავთ, კაცობამდე ერთი პატარა ნაბიჯილა მაკლიაო. ის ერთი ნაბიჯი ხდილა უცნაურს.

— მე თევდორე სიხარულიძის შვილი ვარ, დათო. თქვენთან მამამ გამომგზავნა.

— ძალიან კარგი, ჩემო დათო, მეც მზად ვარ.

მელიტონმა ცული და თოკი ურემზე დადო. ორივენი ურემზე დასხდნენ. ხარები ღინჯად აჰყვნენ ტყისაკენ მიმავალ გზას.

ასე ჩაება მელიტონი სოფლის ცხოვრების ფერხულში. მამისა არაფერი ისმოდა. მარტოდ დარჩენილ დედას უძნელდებოდა მწუხარებასა და უქონლობას გამკლავებოდა. ოთხი წლის განმავლობაში ოჯახს დაეტყო უკაცობა. ღობე ჩაღბა, ჭალა სარეველამ დაჯახნა. ნათესავები დიდად ვერ შველოდნენ. ქალს ძლივს გაჰქონდა თავი. მელიტონის დაბრუნებამ ოჯახი გამოაცოცხლა, მამაკაცის ხელი უშალვე დააჩნდა სახლ-კარს. სახლის სახურავი შეაკეთა, ოდაზე ასასვლელი კიბე გამოცვალა, ტყეში წნელი დაამზადა დამბალი ღობის შესაცვლელად.

— დათო, — საუბარი წამოიწყო მელიტონმა, — გავიგე, თურქებთან ბრძოლაში თავი გამოგიდვია, მითხარი, როგორ იყო.

— ეჰ, — ბიჭმა თავი დახარა და დაიმორცხვა, — თქვენთან ჩემი რა სათქმელია. თქვენ, თურმე ათი წლის ყოფილხარტ ფირალებს რომ ეხმარებოდით. მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა და სოფელი მაინც არ ივიწყებს. იქ, ფრონტზეც გამოგიჩენიათ თავი.

— ჯერ შენი მოყვეი, ფრონტის ამბებს შემდეგ ჩამოგიკაკლავ, მთელი დღე ჩვენს ხელთაა.

დათო შეიმშუშნა, ჩამოცურებული წინდა წვივამდე აქაჩა, ხარები შოლტით მოაფხიზლა, უხერხულობა დასძლია და მოჰყვა.

— ივლიანე ბიძია ავად იყო, მთხოვა ბათუმში ჩავსულიყავი. ეს შარშან მოხდა, 30 მარტს. ბათუმი საშინელ დღეში დამხვდა. ხალხი ქალაქი-

დან გარბოდა. ჭოროხის მხრიდან ბრძოლა იყო გაჩაღებული, ამბობდნენ. ქალაქს ოსმალეთის თხუთმეტათასიანი არმია უტევსო. ჩვენებს რეგულარული ჯარი არ ჰყავდათ. ვისაც როგორ შეეძლო, ისე იცავდა ქალაქს, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლეს. პირველ აპრილს ქალაქში თურქები შემოიჭრნენ. ოჰ, რა ვნახე. დაცარიელებულ ქალაქში, სადაც კარგ სახლს წააწყდებოდნენ, ფანჯრებსა და კარებს ამტვრევდნენ და ძარცვავდნენ. ნაძარცვი საღდაც მიჰქონდათ. გამკითხავი არავინ იყო. ჩემთვის ვნატრობდი, ოჰ, ერთი ხუთი ათასი შეიარაღებული ქართველი მომცა, ამ ყაჩაღებს კუდიტ ქვას ვასროლინებ-მეთქი. ივლიანე ბიძიას დავალება რომ შეევასრულე...

— ისეთი რა დაგავალა ივლიანემ? — შეაწყვეტინა მელიტონმა.

— დიდი არაფერი. ერთი მისი ნაცნობი უნდა მენახა, — დათომ მთავარი დაფარა. მელიტონს ღიმილი მოერია, ესიამოვნა, რომ ბიჭმა საიდუმლო არ გათქვა.

— საქმეს რომ მოვრჩი, — დათომ ისევ განაგრძო, — ნავსადგურში გავედი. იქ სამხედრო გემები დავინახე. თქვეს, რამდენიმე გემი გერმანელების არისო. თურქმა დარაჯმა ჭიშკარში არ გამიშვა, მაინც არ მოვშორდი. მაშინ ისეთი მითაქა, თვალებიდან ნაპერწკლები დამაყრევინა. არც ეს მაკმარა, წიხლი ზურგში ისე ჩამაზილა, იქვე ჩავიკეცე. რალა მექნა, ნაცემი ძაღლივით გავიძურწე. მატარებელი აღარ გავიდა. ფეხით დავადექი გზას. მახინჯაურში იმ ქოფაკებს ძლივს დავაღწიე თავი. მთელი დღე და ღამე მივდიოდი. ქობულეთთან და ოზურგეთთან ჩასაფრებულმა რაზმელებმა გამაჩერეს. ჩვენები იყვნენ. რა თქმა უნდა, რაც ვიცოდი ყველაფერი ვუთხარი.

ოზურგეთის დასაცავად მაზრაში ხალხს აგროვებდნენ. მამაჩემს ძველი შაშხანა ჰქონდა, ის მოვპარე და რაზმს ავედევნე. ქალაქის სამხრეთით, აჭისწყალს გამოღმა მიგვიჩინეს საბრძოლო პოზიცია. არც თურქებმა დააყოვნეს. ცხენოსან მშვერავებს ისეთი ცეცხლი გაუფხვნიტ, უმრავლესობა დავხოცეთ. დაზვერვამ ცნობა მოიტანა, ოსმალები დიდი ძალებით გვიახლოვდებიანო. დავალება მივიღეთ, როგორმე მტერი ერთი დღით შეგვეჩერებინა. ქალაქიდან მოსახლეობა იხიზნებოდა. პირველი იერიში მოვიგერიეთ. შემდეგ თურქებმა ექადიის მაღლობები ბრძოლით დაიკავეს. გადაწყდა, ქალაქი დაგვეტოვებინა. ბრძანება მივიღეთ ნაშუალამევს უკან დავეხია და ვაკიჯვისისაკენ მიმავალი გზა გაგვემაგრებინა. მოსაღამოვდა. ექადიის მაღლობზე ნათლად ვხედავდით თურქების ფაცაფუცს, ტყვიამფრქვევებს დგამდნენ. ოფიცერი ბინოკლით ჩვენს საფარს დაჰყურებდა. ისეთი სროლა შემეძლოს, ის ძალი მაშინვე ამაკოტრილებიაო, ინატრა ჩვენი ჯგუფის უფროსმა. სროლაში გვარიანად ვიყავი გაწაფული. ბიძია, ერთი მაგი შაშხანა მათხოვე, ჩემი ნამეტანი ძველია-

მეტეი, ვუთხარი. შეილო, იმას თუ მოახვედრებ, ერთი ოქრო ჩემზე იყო-
სო, მითხრა. წაქეზება რად მინდოდა, სისხლი ისედაც ყელში მაწვებოდა,
რჯულძალი ჩემს მიწას თელავდა, ჩემს ხალხს აწიოკებდა. სამიზნე ოთხას
მეტრზე დაეაყენე, სანგართან გავწექი და მშვიდად ვუმიზნე. იმისი ჯინი
კი ვიყარეთ, ტომარასავით დავარდა მიწაზე. მიცვივდნენ ასკერები, დავუ-
მიზნე და იმ ჯგუფში მეორეც დავარდა. ჩვენს სანგარში სიხარულის ყი-
ჟინი ატყდა. იმათ ტყვიამფრქვევები დაგვცხეს და კაცი დაგვიჭრეს, იმავე
ღამით პოზიცია დავტოვეთ.

სანამ დათო ყვებოდა, თვალები ცეცხლით ჰქონდა სავსე, მოგონებე-
ბი სისხლს უფორიაქებდა.

სადილობამდე ორი ურემი წნელი ჩაზიდეს, ნასადილევს — მესამეც.

— სალამოს მაღაზიასთან გამოხვალთ? — გამოთხოვებისას ჰკითხა
დათომ.

— რა იყო, დათო?

— არაფერი, ისე გკითხეთ, მიყვარს თქვენი მოსმენა.

მელიტონს ღიმილი მოერია, მოვალე, უთხრა.

მეზობლები სადამოობით სოფლის მაღაზიასთან იკრიბებოდნენ, ქვე-
ყნის ამბებზე საუბრობდნენ, ახალ გახეთს ერთად კითხულობდნენ.

გლეხებს განსაკუთრებით ფრონტის ამბების მოსმენა უყვარდათ. მე-
ლიტონი ოფიცერი იყო და სხვაზე მეტად ერკვეოდა სამხედრო ვითარე-
ბაში, ამიტომაც მუდამ მას ეკითხებოდნენ. როგორც ივლიანემ დაარიგა,
მელიტონმა ორმაგი თამაში წამოიწყო. მეზობლებს თავს ისე აჩვენებდა,
თითქოს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ემხრობოდა, მოვლენებს კი
ისე ხატავდა, რომ ხალხი მისი საუბრის შემდეგ მთლიანად ბოლშევი-
კებს თანაუგრძნობდა.

— მეფის გენერლებს ფრანგები და ინგლისელები ეხმარებიან, იარა-
ღი უკეთესი აქვთ, ბრძოლებში გამოცდილი მეთაურებიც ჰყავთ, მაგრამ
წითლები მაინც ვერ გასტეხეს. იცით რატომ? იმიტომ, რომ მეფეს წინათ
მთელი რუსეთი დამონებული ჰყავდა. დამონებული ხალხი მიხვდა, რომ
თავისუფლების მოპოვება მხოლოდ იარაღით შეიძლება. თქვენ გგონიათ
ფრანგები და ინგლისელები გულით იბრძვიან? ისინი ფიქრობენ, რუსმა
როგორც სურს, ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, ან მე რატომ უნდა მო-
ვკლა, ან მას რატომ შევაკლა თავიო. კომუნისტები მარტო რუსეთში კი
არ არიან, ყველა ქვეყანაში არიან. იმ ჯარშიც არიან, რუსეთში რომ იბრ-
ძვის. ჰოდა, ფრანგ და ინგლისელ კომუნისტებს უბრალო ჯარისკაცები-
სათვის უთქვამთ, რუსეთში რევოლუციას ისეთივე მუშები და გლეხები
იცავენ, როგორიც ჩვენ ვართ, ამიტომ ჩვენ მათ კი არ უნდა ვებრძოლოთ,
პირიქით, დავეხმაროთ. თურმე ბევრი გადადის წითლების მხარეზე.

— რაც რუსეთში მუშა და გლეხია, ყველამ თუ იარაღს მოჰკიდა ხელი, წინ რა დაუდგება.

— რუსეთში საქმეს რომ მორჩებიან, შეიძლება საქართველოსაც მოადგნენ.

— საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ომს არ გამოაცხადებენ.

— ჯერ რუსეთს არ სცალია, როცა მოიცლის, მაშინ ვნახოთ, რას იტყვის.

— ამბობენ, წითლების რუსეთში ბევრი ქართველიაო. ისინი არ ურჩევენ ლენინს, საქართველოს კომუნისტებსაც დავენმაროთო?

— გამოდის, რომ რუსეთთან ომი გვექნება?

— მე შენ გეტყვი, ცხვირპირი არ დააძტვრიო, ერთს სულს შეგიბერავს და მორჩა, გაგაქრობს.

— მოიცა, კაცო, თქვენ თვითონ არ იცით, რას პრუტუნობთ, მოდი, მელიტონს მოვუსმინოთ, უფრო იცის.

მელიტონი შეიმშუშნა, დაფიქრდა, თამბაქო შეახვია და გვერდით მყოფს კვესაბედი გააჩაღებინა.

— ძნელი გამოსაცნობია, რა მოხდება, — წამოიწყა მელიტონმა, — ისე, ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. ხალხი რამიშვილს და ჟორდანიას თუ დაუჭერს მხარს და იტყვის, არ გვინდა ბოლშევიკებიო, ომს არავინ არ დაგვიწყებს, გვექნება მენშევიკური ხელისუფლება. მაგრამ მუშებსა და გლეხებს თუ კითხეს, რა მოგცეს მენშევიკებმაო, რას უპასუხებენ?

— როვა რა მისცა, — ფიცრის გრძელი სკამიდან წამოხტა მენშევიკი ბიკტორი, — რა მისცა და თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. არ კმარა?

— ბიკტორავ, მაგ შენი ლამაზი სიტყვებით ცოლ-შვილი ვერ გავაძლევ, — შეედავა აკაკი სიხარულიძე.

— მე ჩემი თვალთ ვნახე, — ჩაერია მელიტონი, — დონზე წითლებმა მდიდარ კაზაკებს ზედმეტი მიწა ჩამოართვეს და ღარიბებს დაურიგეს. ისიც ვიცი, რომ მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა ქალაქებში ფაბრიკები მუშებს გადასცეს.

— შენ, მელიტონ, — ხმას აუწია ბიკტორმა, — ისე ლაპარაკობ, როგორც ბოლშევიკების პროპაგანდისტი.

— სიმართლის თქმა დანაშაული არ არის, ჩემო ბიკტორ, — მშვიდად შეაგება მელიტონმა, — მე რაც ვნახე და რასაც ვფიქრობ, იმას მოგახსენებთ.

— მე არ ვიცი, შენ რა ნახე და რაც ნახე, ნამდვილად მასე თუ იყო. ერთს გთხოვ, ამ ხალხს ჰკუთას ნუ ურევ.

კამათს გვიან ღამემდე შეჰყვნენ.

მელიტონი და ნესტორი ერთად დაბრუნდნენ.

— მელიტონ, საში თვე გავიდა, რაც ფრონტიდან ჩამოვედით. სანამდე უნდა ვიყოთ ასე ხელდაკრფილნი?

— რა ვქნათ, სხვა რა გზაა?

— რამე საქმეს მოვიკიდოთ ხელი. მამაჩემი ლოგინად ჩავარდა, ქალებს რა შეუძლიათ, ამხელა ოჯახი როგორ ვარჩინო?

— საზიაროდ ყანა აილე, მეც დაგეხმარები. ტყეში წავიდეთ, შეშა მოჭერი და გაყიდე.

— ცულსა და თოხს თავს ვერ შევაკლავ, ჩემი ჯანმრთელობა ფრონტს შევალიე.

— აბა, რას ფიქრობ, ნესტორ?

— ძილიციაში ან გვარდიაში დავიწყებ სამსახურს, ჯამაგირს მომცემენ.

— მთავრობამ რომ დაგავალოს, მეზობელს ესროლეო, ესვრი?

— ამას რატომ დამავალებს, შე კაცო.

— იქნებ ის მეზობელი არ წავიდა რამიშვილ-ქორდანიას გზით, გადაუდგა მთავრობას და ტყეში გაიქცა, მაშინ?

— ჭკუით იყოს, მთავრობას გაუგონოს და არც ტყეში გასაქცევად ექნება საქმე.

— ჩემო ნესტორ, გვარდიაში შესვლას მაინც არ გირჩევ. ახლა ქვეყანა ხაძეტაში არეულია. ვიხ იცის, ქარიშხალი საიდან დაუბეგავს, ისე არ ჰოხდეს, რომ ტყეში გასაქცევად შენ გაგზავნოს საქმე. ერთი-ორი წელი მოითმინე, ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს ამბები.

— ორი წელი ასე თუ ვიჯახირე, ჩემს ცოლ-შვილს სული ამოხდება.

— აქ არ იყავი და შიმშილით არ მომკვდარან, ახლა მხარში უდგებარ და რალა უჭირთ.

— მაინც რას უწუნებ ამ მენშევიკებს, ვერ გამიგია. ერობის თავმჯდომარემ დომენტი თავბერიძემ მითხრა, გვარდიაში შემოდი, რწმუნებულად ხიდისთავში დაგნიშნავ, თავს თუ გამოიღებ, ოფიცრობასაც დაიმსახურებო.

— „თავის გამოღება“ იცი, რას ნიშნავს, ნესტორ?

— რას?

— რას და იმნაძეებს, სიხარულიძეებს, ქერქაძეებს და მისთანებს მიაყურადო, ჯაშუშობა დაიწყო, შეიძლება მეზობლის მოკვლაც დაგავალონ, მაშინ? ხომ იცი, რომ იმათაც მომხრეები ჰყავთ, იარაღიც ექნებათ, შენს ცოლ-შვილს რომ...

— ნუ მაშინებ, მელიტონ. შენ ისე იქცევი, მგონი მართლა ბოლშევიკი ხარ.

— ბოლშევიკებმა ცუდი რა გაგიკეთეს?

— არაფერი, ისე ვთქვი. ბიკტორა სიხარულით ამბობდა, თავს მოვიკლავ, მელიტონ ქორიძე ბოლშევიკების კაცი თუ არ იქნებაო.

— შენ რჩევა მკითხე, მე ჩემი გითხარი. აწი როგორც ჰქუამ გაგიჭრას, ისე მოიქეცი.

მელიტონმა მესრის ჭიშკარი შეაღო.

* * *

ნესტორი ამაყად მიაბიჯებდა სოფლის შუკაში. მას გვარდიელის ფორმა ეცვა და კოკარდიანი ქუდი ეხურა, მკლავზე გრძელი ფარაჯა გადაეკიდა, მეორე ხელში ჭილის კალათი ეჭირა, კალათში ნავაჭრი ეწყო.

მელიტონი ეზოს ღობავდა. ასე გამოწყობილი ნესტორი რომ დაინახა სახეზე ზიზღი გამოეხატა.

— ჰა, რას იტყვი, არ მოგწონს? — ნესტორმა გამომწვევად შეხედა და მის წინ მთელი აღჭურვილობით შემოტრიალდა.

— გშენის, მაგრამ ეს ნაბიჯი მაინც ვერ მოგიწონე.

— ოხანდარაში მჭადი შემოგელევა და შენც ამ გზით წამოხვალ. პირველი თვის ხელფასს ავანსად იძლევიან, ტაღონებით შაქარი, კამფეტები, ორცხობილა და ქსოვილი გვერგება, — ნესტორმა კალათი გადახსნა, გამოჩნდა ინგლისური და ფრანგული ეტიკეტებით ლამაზად მოხატული მუყაოს პატარა ყუთები.

ნესტორს სახლში ზეიმით შეხვდნენ. მათი ლაპარაკი მეზობელ ეზოში გარკვევით ისმოდა. „ოჰ, რამდენი ხანია შაქარი არ მინახავს! ამაში რა არის კაცო, კამფეტებია? ყოჩაღ ნესტორავ, მოდი, შეილო დათუნია, ნახე რა არის კამფეტი“. ცოტა ხნის შემდეგ პატარა დათომ კიბე ბაჯბაჯით ჩამოათავა, ერთ ხელში ორცხობილა ეჭირა, მეორეში გრძელი კამფეტი. ღობეზე მომდგარ ბავშვებთან ხანგრძლივი კამათი იმით დამთავრდა, რომ გრძელი კამფეტი თითოჯერ გაალოკვინა. ბავშვები გაფართოებული თვალებით შეჰყურებდნენ ვარდისფერ და საოცრად ტკბილ კამფეტს, რომლითაც დათოს მთელი სახე მოეთხუპნა.

* * *

იმხანად უჯრედის ხელმძღვანელი ივლიანე ლომთათიძე გაცივდა, ფილტვების ანთება გაუჩნდა და ლოგინად ჩავარდა.

— ჩვენს ორგანიზაციას შენ გაბარებ, — უთხრა ივლიანემ მელიტონს. ავადმყოფობა, ეტყობა გამიგრძელდება, შეიძლება სულაც გადამიყოლიოს. კონსპირაციული მუშაობის დიდი გამოცდილება არ გაქვს, მაგრამ ხომ გაგიგონია, გაჭირვება მაჩვენე და გაქცეvas გაჩვენებო. სანამ გაჭრიდე, ასჯერ გაზომე, რომ შემდეგ სანანებელი არ გაგიხდეს. ახალგა-

ხრდულმა სულწასულობამ არ დაგძლიოს, შენ გაბარია ხალხის ბედით. რადის ბედი. გაიხსენე კონსპირაციაში როგორ მუშაობდა ლიტვინოვი, როგორ ვმუშაობდით ჩვენ. შენ იქნებ უკეთესი მეთოდი გამონახო.

მთელი საღამო ისაუბრეს. ივლიანემ გაანდო როგორ უნდა დაკავშირებოდა ბათუმისა და ოზურგეთის კომიტეტებს, ვისგან უნდა მიეღო მითითებები და პარტიული ლიტერატურა.

მელიტონი მეორე დღეს სამტრედიისში ჩავიდა, იქ მატარებელში ჩაჯდა და ბათუმში გაემგზავრა.

კონსპირაციულ ბინაზე მელიტონს მეთევზის კომბინეზონი ჩააცვეს, რამდენიმე ანკესი მისცეს, მეთევზეთა ნავმისადგომამდე გააცილეს და უთხრეს, იმ ნავში ჩამჯდარიყო, რომელსაც „თოლია“ ეწერა. მელიტონს მენავე ელოდა. ისინი გაშლილ ზღვაში გავიდნენ.

სიტყვაძუნწი მენავე ერთბაშად ალაპარაკდა.

— აი, ის სამხედრო გემები მოკავშირეებს ეკუთვნის. ამჟამად აჭარაში ინგლისისა და იტალიის თხუთმეტათასიანი არმია დგას. ძალაუფლება სამხედრო გუბერნატორ კუკ-კოლისის ხელშია. დამპყრობლებმა აჭარა საქართველოს მოწყვეტეს და ინგლისის კოლონიალ გადააქციეს. მათ გამყიდველი შავრაზმელები შეუერთდნენ და გაერთიანებული ძალით დაარბიეს ჩვენი ორგანიზაციები. ათობით, საუკეთესო პარტიული და პროფკავშირული მუშაკი დახვრიტეს და დააპატიმრეს. მენშევიკურ მთავრზებას ძალა არ შესწევს ინგლისელები გარეკოს... ჩვენ იმედით შევყურებთ რუსეთის პროლეტარიატს და ვემზადებით გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მელიტონი დაღონებული დაბრუნდა ბათუმიდან. აჭარის პოლიტიკურმა მდგომარეობამ იგი ღრმად დააფიქრა.

* * *

ხმა დაირბა, რაჭაში და ლეჩხუმში ხალხი აჯანყდა, იარაღს მოჰკიდა ხელი და ხეობებში შესასვლელი გზები ჩაჰკეტაო. იმასაც ამბობდნენ, კავკასიონზე როგორც კი თოვლი დადნება, ჩრდილო კავკასიიდან აჯანყებულთა დასახმარებლად წითელი რაზმები გადმოვლენო.

ნესტორი და სხვა გვარდიელები საღლაც გაქრნენ.

ნესტორი სამი კვირის შემდეგ გამოჩნდა, მთიულურ, მოკლევადიან, ძუღადმოკლებულ ცხენზე იჯდა. დამტვერილი და დაქანცული ძლივს ჩამოვიდა უნაგირიდან.

მელიტონი უმაღლეს მიხვდა, ნესტორი საიდანაც ბრუნდებოდა. ამბის გასაგებად ღობეზე გადახტა, შაშხანა და ცხენი ჩამოართვა.

— განახევრებულხარ, სად იყავი, კაცო?

— ჯანდაბაში, — მოკლედ მოუჭრა ნესტორმა.

— ცხენი მთისაა, რაჭიდან ჩამოხველ?

— არა, ლეჩხუმიდან.

— აჯანყებულებს ებრძოდი?

— აბა, ლეჩხუმის სანახავად კი არ წავსულვარ.

— ვის ებრძოდით, ბიჭო?

— რა ვიცი, თავადებმა, მეფის ჩინოვნიკებმა ხალხი ააბუნტესო. სა-
ნამ ზარბაზნები არ დავცხეთ, უკან ვერ დავახევინეთ.

— შემდეგ რა მოხდა?

— რა მოხდებოდა, შევიჭერთ სოფლებში და ისეთი დღე დავაყენეთ,
მათ შვილიშვილებსაც ემახსოვრებათ.

სახლის კარი ხმაურით გაიღო. ეზოში ნესტორის ცოლ-შვილი გამო-
ეფინა და შორი გზით მოსულს შემოეხვივნენ.

ნესტორმა უნაგირიდან ფუთა ჩამოხსნა. მეუღლემ ვერ მოითშინა,
ფუთა იქვე გაშალა. მწვანეზე გაითანტა ქალის რამდენიმე ნახმარი კაბა,
მამაკაცის გაცვეთილი ჩექმები, მოთელილი პატარა ხალიჩა.

— ნესტორავ, რა არის ეს? — თავი ვერ შეიკავა მელიტონმა.

— ვერ ხედავ, რაც არის? — მკვახედ გასცა პასუხი.

— ვის წაართვი, ბიჭო?

მდიდრების სასახლეში შევიჭერთ, რა ვიცი, გოლეთიანებისა იყო
თუ გოშხეთელიანებისა. ეს ცხენიც იქიდან წამოვიყვანე.

— ბიჭო, შენ ვის ატყუებ. ასეთ ჩვრებს თავადი სახლში გაიჩერებ-
და? საწყალ ხალხს გახადე ტყავი?

— მელიტონ, იცი რა, — ნესტორმა მედიდურად დაუბრიალა თვა-
ლები, — ყელში ამომივიდა შენი დარიგებები. თავი დამანებე, თორემ...

— რა, ნესტორავ, თქვი, გაბედე!

— მაშინ ნახავ! — დაემუქრა. ცხენს უნაგირი მოხსნა და ეზოში მო-
ლზე მიუშვა.

ამ დღიდან ნესტორისა და მელიტონის ურთიერთობაში ღრმა ბზარი
გაჩნდა.

გაგრძელება იქნება

ფერადი სიმღერა

ხვალ უკეთესი დილა იქნება,
 ჩიტებითა და ბევრი მერცხლებით,
 ხვალ უკეთესი დილა იქნება
 და წასასვლელად მთებში გვეცლება.
 ხვალ უფრო კარგი დილა იქნება
 ჩიტებითა და ბევრი მერცხლებით.
 ხვალ უფრო კარგი დილა იქნება
 და გულის მზისებრ დანაკვერცხლება.
 ხვალ გველოდება საქმე ახალი,
 კერის ღველფი და კერის ნაცარი...
 და მე პირველმა მიიწა გახარო,
 რომ სიყვარულის დაგწვავს წანძარი.
 ფერად-ფერადი ცისარტყელებით,
 თეთრი მაისის თბილი წვიმებით,
 დგანან ხეები, როგორც ტყვეები
 და გაზაფხულებს ინაწილებენ.
 ამ გაზაფხულზე შენთან დავრჩები...
 ყაყაჩოებში იწვის მარტყრფი,
 მე მუდამ ვიყავ შენი არჩივი
 და ღმერთმა კიდევ დიდხანს მამყოფოს.

* * *

მე შენი ოქროს ღლეები მზრდიდა,
 მე მზრდიდა შენი მზე და ეკლები.
 თუ შევძელ შენი ვალების ზიდვა,
 სხვა ვალი ქვეყნად აღარ მექნება.

ჩემი ხომალდი ზღვაზე ირწევა
და ზღვა ირწევა, როგორც ხომალდი.
და თოლიების ელეთმელეთი
მოაწყდა ზღვას და დასცა თავზარი,
ალავერდივით გაჩნდა ხმელეთი
აელვარებულ მზით და ხანძარით.

ნახევარზღაპარი

ახლა წავალ და შენაც წაგიყვან
უშენოდ ჩემთვის უხერხულია.
ეს გზა იმ მაღალ მთებში აგვიყვანს
წყაროები რომ ფერხულს უვლიან.
შენ იქ მოგელის მთების კესანე,
ტყის ზღაპარი და მთების ზღაპარი.
მშვიდად ვიქნებით შენი კვნესამე,
ნაძვი იქნება ჩვენი საფარი.
ჩვენი ავდრის და წვიმის საფარი
ტყე იქნება და დილა მზიანი
წამოდი, გითხრა მთების ზღაპარი
და სიხარული გაგიზიარო.

ჩემი მხარე

ჭიგოს ვაზი ჩახვევია,
გაუშლია ფრთები ნიავს,
ზეცას უბე ჩახვევია,
ვარსკვლავები დაპნევია.

ვარსკვლავების მწიფე ხვავი,
მოსამკელი ცათა ყანა,
ცაა მიწყვი სალოცავი,
მიწა მიწყვი სათაყვანო.

აქ ზეფირი ფერხულს უელის,
ცაზე მთვარე იბადრება,
ამ სიცოცხლის სიყვარულით
მზე ყოველდღე იბადება.

თვალი ამ ცას მიჩვევია,
გული ამ მზეს მიჩვევია,
ეს ცა,
ეს მზე
და ეს მიწა
სუყველაფერს მირჩევნია.

მიწაა და ხვავით სავსე,
ცა კი ისე სადა ცაა,

სიყვარულით ალბათ თავზე
დაგვადნება სადაცაა.

ასე ტკბილად რას ჩურჩულებს,
ყური უგდეთ ნიავს ერთ წამს,
უკვდავების სასიმღეროდ
გაუღადრავს ყელი ლერწამს.

გულს ოცნებას ვერ დაუშლი
აქ ისეთი სადა ცაა,
სიყვარულით ალბათ სულში
ჩაგვადნება სადაცაა.

უამთებოდ,
უამზღვებოდ,
უამცოდ და უამმიწოდ,
რამ მაზაროს,
რამ მამღეროს,
რამ მაცოცხლოს უამისოდ.

თვალი ამ ცას მიჩვევია,
გული ამ მზეს მიჩვევია,
ეს მზე,
ეს ცა
და ეს მიწა
მთელ სიცოცხლეს მირჩევნია.

ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრი კიდევ ჩაიარს,
ჩიმჩაირა ჩარი რამა,
ჩიმჩაირა ჩაირა.

წყალნი მოვლენ,
წყალნი წავლენ,
დარჩებიან ქვიშანი,
როგორც ჟამთა მდინარების
უტყუარი ნიშანი.

წყალი წავა,
თან წაიღებს,
რაც წყლის წასაღებია,
გაცლა სჯობსო,
სადაც ბრძოლა
მართლაც წასაგებია.

წყალი თავქვე მიდის მიწყივ,
გული მაღლა მიიწევს,
ბევრმა ვინმემ დამივიწყა,
ბევრიც მე დავივიწყე.

ბევრი რამე გავატანე
დროის მღვრიე მდინარეს,

შემდეგ ბევრი ვივალაღე,
შემდეგ ბევრი ვინანე.

დრო მიდის და თვალთ არ ჩანს
დენა დროის მდინარის,
ბევრი რამე უკან დარჩა,
უფრო მეტი წინ არის.

წყალნი წავლენ,
წყალნი მოვლენ,
დახვდებიან ქვიშანი,
ვეძებ დროსთან სიახლოვეს
დროის გარდანქეშანი.

ბევრი რამის მომლოდინეს
წამომისწრებს სიბერე,
უფრო მძაფრად მაგრძნობინებს
სიცოტავე-სიბევრეს.

ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრი კიდევ ჩაიარს,
ჩიმჩაირა ჩარი რამა,
ჩიმჩაირა ჩაირა.

აზიზ ნასინი

ქალბატონი მაიმუნი

მავთულის ბადურიან გალიაში ათამდე მაიმუნი დაბორიალობდა. ქა-
ნდარებზე ჯამბაზებივით დახტოდნენ და იმანჭებოდნენ. მათ შორის ერთი
ისე გარიხდებულყო, რომ როდენის ქანდაკება „ფიქრი“ გეგონებოდათ.

— როგორა ჰგავს ადამიანს-მეთქი, — წამით გავიფიქრე.

ის იყო შიმპანზეზე ღიდი, მანამდე ჩემთვის უცნობი სახეობის მაი-
მუნი. კარგახანს ვათვალიერებდით ერთმანეთს. გალიას მოვცილდი თუ
არა, მომადიხა:

— არ მოისურვებთ, კიდეც მიცქიროთ?

სწრაფად უკან მოვიხედე.

— თქვენ გეუბნებით, ბატონო, მინდა ერთი წუთით მომისმინოთ, —
ნაღვლიანად მითხრა მან.

— ნუთუ, თქვენ ლაპარაკი შეგიძლიათ?

— ჩუმაღ, ზედამხედველმა არ გაგვიგონოს, თორემ...

— ეს როგორ, თქვენ ადამიანივით მეტყველებთ?!

— რად გიკვიროთ, მაიმუნი ხომ არ გეგონეთ, მე ნამდვილი ადამიანი
ვარ.

— ადამიანი?! თუ აგრეა, მაშინ გალიაში როგორღა მოხვდით? — გა-
ოცებით ვკითხე.

— განა მე ვარ ამ დღეში მარტო?! ზოგი ქორწინების შემდეგ მოხ-
ვდება გალიაში, ზოგიც კიდეც სხვა მიზეზით; ნუ გაგიკვირდებათ, ზოგ-
ჯერ ასეთ ბედსაც გარგუნებს ცხოვრება. განა თქვენ არასდროს ყოფილ-
ხართ გალიაში?

— ო, როგორ არა. მე მწერალი ვარ, თანაც იუმორისტი. ამიტომ ხა-

ნდახან მეც ძალას მატანენ, მიწვევენ ხოლმე, „ლომი მხოლოდ გალიაში უნდა იყოსო“.

— ბატონო იუმორისტო, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, თუ პატივს დამდებთ...

— ბრძანეთ, ბატონო მაიმუნო.

— მე ბატონი კი არა, ქალბატონი გახლავართ.

— უკაცრავად, ვერ გავერკვიე, მაპატიეთ, აბა, გისმენთ, ქალბატონო მაიმუნო.

— აკი გითხარით, მე მაიმუნი არა ვარ, ადამიანი ვარ-მეთქი. ღმერთო ჩემო, ეს რა ხალხია!

— შენ თუ მართალს ამბობ, მაშინ რა გინდოდა ამ სამხეცეში?

— მეც სწორედ ეგ მინდა გამბოთ და ჩემთვის საინტერესო რამაც გკითხოთ, მოკლედ გეტყვით.

მე კინოს მოტრფიალე ვარ. ერთ დროს გამიტაცა ცნობილმა კინოვარსკვლავმა გრეტა გარბომ, მას ვბაძავდი ყველაფერში. თმები გავიზარდე და მასავით მხრებზე თმებდაყრილი დავდიოდი. ერთი მაშინ უნდა გენახათ, რა შესახედავი ვიყავი!

შემდეგ მარლენ დიეტრიჩის ხატებამ გადამრია. ახლა მას ვბაძავდი. წარბები დავიწვრილე, სახეზე მკრთალი ფერის პუდრი წავიცხე, ლოყებიც ისე ჩავიგდე, როგორც მარლენ დიეტრიჩს ჰქონდა. არ გასულა დიდი ხანი და, საქვეყნოდ ცნობილი გახდა ზარახ ლეანდერი. ძალზე ორიგინალური პიროვნება იყო ის დალოცვილი. სულმა წამძლია, კაბებს უკვე ლეანდერის მოდაზე ვიკერავდი, ხმაშიც მას ვბაძავდი — ყრუ ხმაზე ვმღეროდი.

— ყველაფერი გასაგებია ქალბატონო, მაგრამ ძალზე საინტერესოა, როგორ მოხვდით აქ?

— დიახ, დიახ, მეც სწორედ მაგაზე მინდა მოგიხსოვროთ.

— ლეანდერის შემდეგ ჩემი იდეალი იყო კლარა ბოვი. ამჯერად თმები მუქ-შავ ფერად შევიღებე. ბევრს ვჭამდი და მეც დავმრგვალდი. ერთი სიტყვით, ისეთივე ცოცხალი და მხიარული გავხდი, როგორიც იყო კლარა. მაგრამ ცხოვრება როდია უმოძრაო, ყველაფერი მალე იცვლება. როგორც კი გამოჩნდა ჟანა პარლოვი, სხვებმა ფასი დაჰკარგეს ჩემს თვალში. ახლა ჩემი დიდი ტრფიალი ეს ქერათმიანი ვარსკვლავი გახდა. თმები ღია-ყვითელ ფერად შევიღებე. წელი კორსეტებით დავიყენე და წარბებიც უფრო დავიწვრილე.

ძალიან მეწყინა, როდესაც, გავიგე, ჟანა საავიაციო კატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპაო. ასე გამომეცალა ხელიდან ჩემი საყვარელი ხატი. მაგრამ მალე სათაყვანებლად გავიხადე ვერონიკა ლაკიე. შეიცვალა ჩემი

ვარცხნილობა. თმები წინ მქონდა გადმოყრილი და ნახევარ სახეს მიჰყარავდა, ტუჩებს ალისფრად ვიღებავდი.

— ქალბატონო, ყველაფერი გასაგებია. ოღონდ მითხარით, შე რას მთხოვთ, რა გინდათ ჩემგან.

— თუ კიდევ ხუთიოდე წუთს მომისმენთ, ყველაფერს მიხვდებით და ჩემს სათხოვარსაც მოგახსენებთ. ჰო, ის უნდა მეთქვა, რომ ვერონიკა მოდიდან, სამწუხაროდ, ჩქარა გავიდა. სწორედ იმ დროს ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა. ეს ელიზაბეტ ტეილორი გახლდათ. მოვიხიბლე ამ ადამიანის მშვენიერებით და, აბა, ვისთვის უნდა მიმეხატა, თუ არა ამ ვარსკვლავისათვის. მეც მისებრ შევიღებე სახე, წამწაშები პაწაწინტელა ფუნჯებად დავიყენე, ერთი სიტყვით, ელიზაბეტისაგან ველარ გამარჩევლით, თითქოსდა მისი ორეული ვიყავი. მაგრამ არც ეს გაგრძელებულა დიდხანს. რიტა ჰავორდი აღა-ხანს ცოლად რომ გაჰყვა, კარგად მახსოვს, თმები გავიწითელაფრე, სახეზე კი ხელოვნური ჭორფლი გავიჩინე, — რიტას ხომ ამშვენებდა იგი.

რიტას შემდეგ საქვეყნოდ პოპულარული გახდა მერილინ მონრო. ახლა ყველაზე უფრო ის მომეწონა. შევისწავლე მისი მანერები, მეც ისე ვიღებავდი სახეს და ისე ვიცვამდი, როგორც მონრო. ყველა ამბობდა. ეს ჩვენი მერილინ მონროაო, და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ქალბატონო, გთხოვთ მოკლედ მითხრათ რა გნებავთ.

— კიდევ ერთი წუთი მაცალეთ. თქვენ ალბათ გემახსოვრებათ აუღრეი ხეფბურნი. როდესაც მან საქვეყნოდ გაითქვა სახელი, მეც თმები მისებრ მამაკაცივით შევიკრიჭე და შარვალიც ჩავიცვი. მაგრამ ჯინა ლო-ლობრიჯიდან ყველაფერი წყალში ჩამიყარა.

— გავიგე, ახლა ჯინას მიბაძეთ, შემდეგ სოფი ლორენს და ასე შემდეგ, არა?

— დიახ, თქვენ უკვე მიმიხვდით. ბოლოს გრასე კელის დავემსგავსე. დიდ ფარფლებიან შლაპას ვატარებდი, კოსმეტიკაშიც მას ვბაძავდი, ასე მიდიოდა ჩემი ცხოვრება, სანამ ქეჩოში ხელი არ ჩამავლეს და...

— ესე იგი, თქვენ დაგაპატიმრეს არა?

— დიახ, ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში რომ მივდიოდი, დამიჭირეს და აქ მომიყვანეს — გალიიდან გაქცეული ვეგონე. ხელი რომ ჩამავლეს, მაშინვე ყვირილი მოვრთე, გამიშვით, რას მერჩით, თავი დამანებეთ, მეც ადამიანი ვარ, არსაიდანაც არ გამოვქცეულვარ-მეთქი. შენც არ მომიკდე, ყური არავინ მათხოვა, არავინ შეისმინა ჩემი ვედრება.

— მერედა გაგესაჩივრებინათ, სასამართლოსათვის მიგემართათ.

— დიახ, ასეც მოვიქეცი. შესამოწმებლად სპეციალისტებთან გაშვ-ზავნეს. ექსპერტებმა კი დაასკვნეს, მე თითქოს მაიმუნის ერთ-ერთ სახე-ობას ვეკუთვნოდი. აბა მითხარით ერთი, ამის შემდეგ რამე მიშველიდა?

ბატონო იუმორისტო, ახლა ხომ ყველაფერი იცით ჩემზე. ჰოდა ერთი სათხოვარილა მაქვს თქვენთან, ხომ არ მეტყვი, ვინ არის ამ ბოლო დროის კინოვარსკვლავი, როგორ იცვამს და იხურავს, როგორ იღებავს სახეს და თმებს, როგორია მისი მიხვრა-მოხვრა, მაინტერესებს მისი საუბრის მანერაც.

ამ საუბრით ვიყავით გართულნი, როცა თავს წამოგვადგა ზედამხედველი.

— კიდევ არ იშლი შენსას, — მრისხანედ დაუყვირა მან ჩემს თანამოსაუბრეს. — გინდა ყველა გამვლელ-გამომვლელი დააჯერო, რომ თითქოს შენ ადამიანი ხარ? — ეს უთხრა და უმაღლვე ჯოხი უთაქა და უთაქა.

ეს სურათი ვერ ავიტანე, ხელი ჩავავლე ზედამხედველს, შევანჯღრიე და შევუთხრე:

— რას სჩადიხარ, რასა ჰგავს შენი საქციელი; ეს ხომ ადამიანის ღირსების შელახვა და ფეხქვეშ გათელვაა. განა შეიძლება ასე მხეცურად მოეპყრათ ადამიანს?!

— პატივცემულო მოქალაქე, ნუთუ გჯერათ მისი. აბა დააკვირდით, ზედგამოჭრილი მაიმუნია. მის ფიზიონომიაში ადამიანის მსგავსების ნატამალიც კი არ არის.

გალიაში მყოფი ქალი ახლა უფრო მეტი ყურადღებით შევათვალიერე და დავრწმუნდი, რომ ზედამხედველი ცამდე მართალი იყო. დიახ, იგი მაიმუნს... არა, ნამდვილად მაიმუნი იყო. პროფესორებმა, ექიმებმა, ვეტერინარებმა და სხვებმაც ხომ შეამოწმეს და დაასკვნეს, რომ იგი მაიმუნის ერთ-ერთ სახეობას განეკუთვნება.

გალიას რომ გავცილდი, ეს ქალბატონი კიდევ ერთხელ შემევედრა.

— მითხარით გეთაყვა, ვინ არის ამ ბოლო დროის კინოვარსკვლავი?

თურქულიდან თარგმნა ნ. ჩიჯავაძე

აღმსარება ჩხაიძე

ათი დღე ბულგარეთში

სიმღერა, ხუმრობა, მახვილგონივრულად იმპროვიზებული სცენები ახალისებს ჩვენს მგზავრობას, მაგრამ არავის ერთი წუთითაც არ ავიწყდება, ვინცა ვართ, სად და რატომ მივდივართ, რომ, მართალია, გულითად მეგობრებს უნდა ვესტუმროთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული თეატრალური ხელოვნების ელჩები ვართ. თანაც სულ ორიოდ დღის წინ ბულგარეთში დაიწყო საბჭოთა კულტურის დღეები და ბათუმის თეატრის გასტროლები ამ საერთო პროგრამაშია ჩართული. ამიტომ ყურადღებაც და ინტერესიც მეტი იქნება ჩვენდამი. მართა იმის გაფიქრება, რომ ბულგარეთში ამეამად იმყოფებიან სახელოვანი სამხატვრო თეატრი, ლენინგრადელი ბალეტის ოსტატები, ობრაზცოვის განსაცვიფრებელი თოჯინები, ორმაგ გრძნობას ბადებს — სიამაყესა და მღელვარებას.

ჩვენი თარჯიმანი ივეტა გოცირიძე ბულგარული ენის სპეციალისტია, მაგრამ თეატრალური სპექტაკლი არასოდეს უფარგმნია სინქრონულად და ეს, ცოტა არ იყოს, აფიქრებს. ბულგარულად ნათარგმნი საგასტროლო პიესები უკავია ხელში და რეპეტიციას გადის. მომავალი სპექტაკლის განწყობილება რომ შეჰქმნას, თეატრის მთავარი რეჟისორი ვარლამ ნიკოლაძე ამ პიესების ორიგინალებს დასცქერის და ერთდროულად

ასახიერებს ბეზიასაც და ილარიონსაც, დარისპანსაც და კაროენასაც. სხვათა შორის, მაყურებლებიც აქ არიან, მოსკოვიდან სამშობლოში მიმავალი ბულგარელები, რომლებიც სიცილით კვდებიან გურულ ენამახვილობაზე, თან გზადაგზა საქმიან შენიშვნებსაც იძლევიან ამა თუ იმ სიტყვის გამოთქმის თუ მახვილის სწორად დასმის თაობაზე. ყველაზე მეტად მაინც ნიკოლაძეა მოგებული, ამასობაში ბულგარული ენა შევისწავლო.

კიდევ ერთი საზღვარი გადავიარეთ, რუმინეთ-ბულგარეთისა. თავი უცხოდ არც რუმინეთში გვიგრძენია, მაგრამ ამჯერად ჩვენ ბულგარეთი გვემასპინძლობს და ეს გულითადობა აქედანვე იგრძნობა, ბულგარელ მესაზღვრეთა მეგობრულ დიმილში, პირველსავე ქალაქის — რუსეს ვაგზალში გამოკრულ პლკატებსა და ლოზუნგებზე, მოახლოებულ საშვიდნოემბრო ზეიმსა და საბჭოთა კულტურის დღეებზე რომ იუწყებიან.

— მოემზადეთ, ნახევარ საათში ჩავდივართ! — გვაფრთხილებს გამყოლი.

ჩვენც მზადა ვართ. საათის ისრები გადავწვიეთ. ადგილობრივი დროით ახლა შუალამის თორმეტი საათია, ჩვენთან კი ორი საათი. ცოტა უხერხული დრო კია დასახვედრად. ეს განსაკუთრებით ტელევიზიის მუშაკებს ადარდებთ, რა თქმა უნდა, პროფესიული თვალსაზრისით,

რადგან გადალება არ მოხერხდება. კვლავ დაგვეუფლა მოახლოებული შეხვედრით გააოწვეული მღელვარება.

ვაგონებიდან ჩამოსვლას და მიხედვით მოხედვას ვერ ვასწრებთ, უმალ მასპინძელთა მკლავებში აღმოვჩნდით. სანამ სინანულს შევაჩვევთ თვალს, ისინი უფრო ადრე გვცნობენ, გვეხვევიან, გვკოცნიან.

დამხვდურთა შორის არიან ცენტრალური პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები, ჩვენი ძველი ნაცნობები — აარტიის ბლაგოვეგრადის საოკრუგო კომიტეტის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე მეთოდე დელინი, კულტურისა და ხელოვნების საოკრუგო საბჭოს თავმჯდომარე ასენ ანგელოვი, ბულგარეთის თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი დიმიტრი ბაუნოვი, ნიკოლა ვაპცაროვის სახელობის თეატრის მსახიობები...

სახეგაბადრული ანტონ ფილიპოვი ისე ხაოთას ჩვეთან შეხვედრით, თითქმის ათი წელია ერთმანეთი არ გვენახოს. იგი ადრე ჩავიდა ბულგარეთში, რომ სექტატეის დეკორაციები მოეზადებინა.

გულთბილი შეხვედრისა და ერთურობის მოკითხვის შემდეგ ავტობუსებში ვსხდებით. ყოველ სავარძელზე ქალაქის პარკი დევს. თითო ბოთლი „კოაკკოლა“ და ვანშამია შიგ. იწყება ნაჭები ბულგარული ზრუნვა და ყურადღება ჩვესდამი. თან მასპინძლები გვიბოდიშებენ, ძალზე გვიანია და ასეთი შეხვედრისათვის აუ დაგვირახავთ.

ვაილამ სიკოლაძესა და მე რეჟისორი კირილე ალექსანდროვი თავის „შოკლადში“ გვხვამს. ავტობუსები და მსუბუქი მანქანები გამწყრივდნენ ბლაგოვეგრადისაკენ მიმავალ ფართო მაგისტრალზე.

დამის სამი საათი იქნებოდა, რომ დავინავდით, მაგრამ, ალბათ, ბევრ ჩვენგანს კიდევ დიდხანს არ მოუხუშავს თვალი, იმდენად დიდი იყო პირველი შეხვედრის სიხარული და მღელვარება.

...უცხოეთში ჩასული კაცის ყოველი დღე იმით იწყება, რომ უპირველეს ყოვლისა, ცას გახედავს, როგორი ამინდიაო. დილით, როგორც კი გადავწიფთ ფანჯრის ფარდა, მთელი ოთახი უცებ აივსო მზითა და სინათლით. გამოჩნდა თვალისმომკრელად ლურჯი ცის ნაჭერი.

უპირველეს ყოვლისა, ვეცნობით პროგრამას, რომელიც უდიდესი პატივისცემითა და მზრუნველობითაა შედგენილი. ათი დღის ყოველი საათი ისეთიარადაა დაგეგმილი, რომ რაც შეიძლება მეტი გუხვენოთ, ამავე დროს ბევრი ვნახოთ და სიამოვნებაც არ მივიკლოთ.

ქალაქში გავდივართ და პარტიის საოკრუგო კომიტეტისაკენ მივემართებთ.

— შეხედეთ, — გვეუბნება თეატრის დირექტორი ემილ კიოსტებეკოვი.

შენობათა აბრებს აწერია — „ბათუმის ქუჩა“.

— მე ამ ქუჩაზე ვცხოვრობ. — ამაყად ამბობს ემილი. — აი, იქ კი კაფე „პარაა“.

აქაურობა მხოლოდ აბრებით კი არ გვაგოაებს ბათუმს, უპირველეს ყოვლისა, აღმართა ურთიერთობით. ისე, როგორც ბათუმში, გავლელთა უმეტესობა ესალმება ერთმანეთს. ისინი გვესალმებიან ჩვენც. არავინ არ კითხულობს ჩვენს ვინაობას, მთელმა ქალაქმა იცის, ვინცა ვართ, საიდანა ვართ და რატომ ჩამოვსულვართ ბლაგოვეგრადში.

...პარტიის ბლაგოვეგრადის საოკრუგო კომიტეტის პირველი მდივანი პეტრე დიულგეროვი კიბეზე შემოგვევება. ეს ახოვანი, სიმართიური კაცი შესაბამისად რუსულით ლაპარაკობს. თარჯიმანი ნამდვილად არ დავეჭირებოდა. აქვეა საოკრუგო კომიტეტის მეორე მდივანი ბორის ავრამოვი. ორთავე ნამყოფია აჭარაში და ჩვენი საუბარი საერთო ნაცნობების მოკითხვით იწყება.

ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა, როცა ბევრ ჩვენებურ სიხალეზე საოკრუგო

კომიტეტის ხელმძღვანელებმა გვიბრუნეს, ვიცითო.

— უმთავრესად აი აქედან, — გვეუბნება დიულგეროვი და გვიჩვენებს ჩვენებურ გაზეთებს. — აბა რისი მეგობრები ვართ, ერთმანეთის ამბავი თუ არ გვეცოდინება.

მაგრამ ყველაფერი ერთმანეთის შესახებ მაინც არ ვიცით და პეტრე დიულგეროვი დაწვრილებით გვიყვება ბულგარელი ხალხის, ბლაგოევგრადის მშრომელების ცხოვრებასა და საქმიანობაზე, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1973 წელი მნიშვნელოვანი წელია როგორც სასოთხა, ისე ბულგარელი ხალხისათვის. ორი მოძვე ქვეყნის პარტიებსა და მთავრობებს შორის კიდევ უფრო განმტკიცდა კონტაქტები, საბჭურ-ნეო და კულტურული ცხოვრების ბევრ სფეროში განვითარდა საქმიანი ურთიერთობა.

ბლაგოევგრადელი ხელმძღვანელები უდიდესი ყურადღებითა და იატერესით კითხულობენ ჩვენს ამბებს. ჩვენი კულტურის მინისტრი ლამარა ბოლქვაძე მოეხიბობს მათ აჭარის სახელოვანი მეჩაიეთა წლევანდელ წარმატებაზე (ვიცით, თავს იქნებს დიულგეროვი, ამდენი ჩაი პათ არასოდეს მოუთხოფიათო); იმაზე, რომ ახლა ოქროს რთველია გაჩაღებული (გაიგებთ, 40 ათასი ტონა ციტრუსის ჩაბარებას აპირებთო, ამბობს აგრამოვი); იმ სიახლეებზე, რაც დღეს ხორციელდება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და რაც კიდევ უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს ქართველ ხალხს (ცაყც ვიცითო, გვეუბნებიან მასპინძლები).

გამოთხოვებისას პეტრე დიულგეროვს და საოკრუგო კომიტეტის სხვა ხელმძღვანელებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემა.

— შეიძლება ქართველებს სტუმართმოყვარეობაში ვერ ვაჯობოთ, — იღიმება დიულგეროვი, — მაგრამ ამ ათი დღის განმავლობაში თქვენი ყოველი

სურვილი ჩვენთვის კანონია. თუ კარა-იშე შეფერხებას, ან გაუგებრობას ექნება ადგილი, იცოდეთ, მე ვარ თქვენი პირველი მასპინძელი. — ტელეფონის ნომერს გვაწვდინებს: — ამ საღამოს თეატრში შევხვდებით ჩვენს საერთო ზვიმზე.

...ნახევრადჩაბნელებულ მაყურებელთა დარბაზში სიმყუდროვეა. სცენაზე მართა ქეიტირიძის სახლი დგას, ზუსტად ისეთი, როგორიც ამ რამდენიმე დღის წინათ ვნახეთ ბათუმის თეატრში „დარისპანის გასაჭირის“ უმაყურებლო პრემიერაზე. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქმის ბათუმიდან არც წამოვსულვართ.

ვარლამ ნიკოლაძე ხან დარბაზიდან ზევრავს დეკორაციას, ხან სცენაზე ადის და დაბეჯითებით აკვირდება თითოეულ დეტალს. კუსუ ოდიკაძე თავის ბიჭებთან ერთად, ბლაგოევგრადელი კოლეგის დახმარებით, ყურადღებით სწავლობს სცენას. აქვეა ანტონ ფილიპოვი. ეს დეკორაცია მისი ნახელავია. სხვა ორი სპექტაკლის დეკორაციებიც აქვე დამზადდა ჩვენი მხატვრის ხელმძღვანელობით, თანაც ძალიან მოკლე დროში და ისე ჩინებულად, რომ მთავარი რეჟისორი გირაფერს უწუნებს და მოკლედ ამბობს:

— აბა, დავიწყეთ.

...თეატრის ერთ-ერთ დარბაზში ეწყობა პრესკონფერენცია ჟურნალისტებისათვის. გვაძლევენ შეკითხვებს და ჩვენც ვპასუხობთ. მერაბ ხინიკაძე ლაპარაკობს ბათუმის თეატრის ისტორიაზე, მის საიტაპო სპექტაკლებზე. თეატრის დირექტორი შოთა დავითაძე და ვარლამ ნიკოლაძე ჟურნალისტებს აცნობენ საგასტროლო რეპერტუარს, ვაჟას და დავით კლდიაშვილის როლსა და მნიშვნელობას ქართულ მწერლობაში. ლამარა ბოლქვაძე შეკრებილ მოუთხრობს საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში მომხდარ კულტურულ ძეგრებზე, მოჰყავს ციფრები, ფაქტები. ზე მთხოვენ, გავაცნო მასპინძლებს, თუ

რა პრობლემებზე მუშაობენ ქართველი დრამატურგები, როგორი ურთიერთობაა თეატრსა და ავტორებს შორის, რა პრინციპით დგება რეპერტუარი.

...სამი საათისათვის ბავშვებმა გაავსეს დარბაზი. ისინი მოდიან როგორც ნამდვილ ზეიმზე. ყოველ მათგანს მოსწავლის ფორმა აცვია; თავიანთ ადგილს იკავებენ და წყნარად საუბრობენ; ეზოებში, სახლებში, ალბათ, ისინიც ქართველი ბავშვებივით ბურთაობენ, ანტოზენ, შეიძლება ფანჯრებსაც ამტვრევენ, მაგრამ იციან, რომ აქ თეატრია და თან ქართული სპექტაკლი უნდა ნახონ, მოუსმინონ მსახიობებს, რომლებიც ლაბარაკობენ მათთვის უცნობ ენაზე. ეს ცნობისმოყვარეობა გამოხატულია მათს სახეებზე. ყოველ მათგანს გულზე ჰკიდია ერთი ციკქნა მიმღები აპარატი და ყურსაცვამი, რამაც გასაგები უნდა გახადოს სცენაზე ნათქვამი ყოველი სიტყვა. სინათლე ქრება: თავის აპარატურასთან მოკალათებულმა ხმის რეჟისორმა ელოდია ოქუაშვილმა ჩართო ფირი და დარბაზს მოეფინა იმერული ძელოდია. ფარდა გაიხსნა. გამოჩნდა მართა ქვეტირიძის სახლი...

მე ნაკლებად მაინტერესებს, თუ რა ხდება სცენაზე, როგორ ებრაიყება მართა უდროო დროს შემოსტუმრებულ დარისპანსა და კაროენას, მე მხოლოდ ეხედავ შევტუხა ბიჭუნას, ჩემს გვერდით რომ ზის და ცდილობს, როგორმე ცალი ყურით სცენიდან ნათქვამი გაიგონოს, ხოლო მეორე ყურით — თარგმანი, რომელსაც პირველ მაყურებლებს აწვდიან ივეტა გოცირიძე და ადგილობრივი თეატრის მსახიობი ნიკოლოზ ხრისტოვი. იგი იღიმება და ვხვდები, ყველაფერი გასაგებია ამ ბიჭუნასათვის, რომელმაც უცებ გასცა პასუხი გამოგზავრებამდე დასმულ ყველა საეჭვო და სადისკუსიო კითხვას, როგორ გავა სპექტაკლი, მიიღებენ თუ არა კლდიაშვილს, დავა თუ არა მაყურებლამდე სინქრონული თარგმანი?

ვნახოთ, რა იქნება სადამოს, ვასტროლების ოფიციალური გახსნის შემდეგ?

დღის სპექტაკლი დამთავრდა. თეატრიდან არც გავსულვართ, იქვე დავნაყრდით სახელდახელოდ. დღეს აქ უნდა გაიმართოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მთელი ჩვენი დელეგაცია მოწვეულია ამ ზეიმზე. კვლავ ივსება მაყურებელთა დარბაზი. მოხსენებით გამოდის პროფესიული კავშირების საოკრუგო საბჭოს თავმჯდომარე პეტრე პროდანოვი. იგი ლაპარაკობს „ავრორას“ ისტორიული ზალზის გამოძახილზე ბულგარეთსა და, საერთოდ, მთელს ევროპაში, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო მნიშვნელობაზე, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი გმირული არმიის უდიდეს განმათავისუფლებელ მისიაზე, საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურდევ მეგობრობაზე, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მოპოვებულ წარმატებებზე, მომავლის პერსპექტივებზე.

სიტყვა ეძლევა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, აჭარის კულტურის მინისტრს ლამარა ბოლქვაძეს. იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სახელთ ესალმება სხდომის მონაწილეებს და ულოცავს საერთაშორისო დღესასწაულს, ლაბარაკობს ბლავი-ევგრაძისა და აჭარის მშრომელთა ტრადიციულ მეგობრობაზე და იმედს გამოთქვამს, რომ ბათუმის თეატრის გასტროლები კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ურთიერთკავშირს. დარბაზი ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით გამოხატავს თავის აღტაცებას, როცა ლამარა ბოლქვაძე და ჩვენი დელეგაციის სხვა წევრებმა ბლავი-ევგრაძელ თანამომეგებს საამისოგროდ მიართვეს ბულგარელი ხალხის დიდი შვილის გიორგი დიმიტროვის ქედური პორტრეტი.

საზეიმო სხდომა დამთავრდა და ჩვენი ივე მღელვარებამ შეგვიპყრო. დარბაზში თავისუფალ ადგილს ვერ ნახავ.

ოქეთი სიტუაცია იქმნება, რომ ჩვენ ახლანდელ სტრუქტურებში ვართ და მასპინძლებიც, ერთმანეთს გუთმობთ საპატიო ადგილებს; როგორც იქნა, ყველანი მოვსაგისდით და „ქართული კლასიკის“ მეორე სპექტაკლი დაიწყო.

როგორც კი გაიხსნა ფარდა და სცენის სიორმეში, კაკაბაძისეული იმერული სოფლის ფონზე გამოჩნდა დავით კლდიაშვილის გმირების ცოცხალი ფოტოგრაფიული გამოსახულება, მაშინვე ტაშმა იფეთქა. მსახიობები გაქეპავებულბეივით სჩედან და ღვანან, მაგრამ გასაგებია, რომ რა ფასი აქვს ახლა მათთვის, ამ ტაშს, როცა გულის ძვერა მატულობს, მღელვარებისაგან ყელი გიშრება და მუხლებში სისუსტეს გრძნობ.

„დალისპანის გასაქირი“ აქამდე ორჯერ იმადგა ბათუმის სცენაზე და ამა, მესამედ უცხოეთში დაიბადა. შემსრულებელთა ახალ თაობას ზედა წილად ეს საპატიო მისია. ერთადერთი ნათელა წერეთელია ძველი შემადგენლობიდან, ისიც მაშინ კაროენას ასრულებდა, ახლა კი პელაგიას თამაშობს. კაროენა—ლინდა ლომთათიძეა, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შორშან შემოემატა დასს. ზურაბ სიხარულიძეც იმჯგუფელია, ოსიკოს ასრულებს, ამ როლის პირველი შემსრულებელი ზასან მეგრელიძე კი ამ დროს დარბაზშია და, ალბათ, ზურაბზე ნაკლებად როდი ღელავს. მაყურებელთა შორის არიან აგრეთვე სამოციანი წლების დარისპანი — მეგრად ხინიკაძე, მართას როლის ორივე შემსრულებელი — ნუნუ თეთრაძე და ნინო საკანდელიძე, სცენაზე კი ამ პერსონაჟებს ახლა ასახეირებენ იური ცანავა და თამარ სულხანიშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ აგრეთვე ცირა აბზიანიძე და კუკური ახალაძე.

დარბაზი სულგანაბული, დიდი ინტერესით აღევნებს თვალყურს სპექტაკლს. მაყურებლისათვის უკვე ყველაფერი გასაგებია, — დავით კლდიაშვილის ცრემლიანი იუმორიც, გაღატაკებული კლა-

ისი სოციალური ტრაგედია, დარისპანის სასოწარკვეთილება... ნშირად გაღისის სიცილი, ტაში. სათანადოდ შეაჯასა დარბაზმა სპექტაკლის ერთ-ერთი შესანიშნავი სცენა — კაროენასა და ნატალიას სიმღერაში გაჯიბრება, ტაშით დააჩილდოვეს მსახიობები, რა თქმა უნდა, ვარლამ ნიკოლაძეც, რომელიც ახლა, ალბათ, სადღაც კულისებში მიმაღული ყველაზე მეტად ღელავს. ეს სკესებით ვასაგებია. ახალგაზრდა კაცი სულ ალზან ჩაუღვა თეატრს სათავეში, რომ იტყვიან, მიხედვ-მოხედვაც ვერ მოასწრო და ამა, უკვე საზღვარგარეთული გასტროლები!

მცირე შესვენების შემდეგ დაიწყო მეორე სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“, რომელიც გიორგი ქავთარაძემ დადგა. საქართველოს მთებიდან ბლაგოევგრადში ჩამოტანილმა ციხე-კოშკებმა, ვაჟს ძარღვიანმა ლექსმა, პლასტიურმა მიზანსცენებმა, ბულგარელებისათვის სისხლბორცულმა სტუმარმასპინძლობისა და ხალხთა შორის მეგობრობის კეთილშობილურმა იდეებმა იპოვა გზა მაყურებელთა გულისაქენ. მარტო ის რად ღირს, ჯოყოლა — ამირან ტაყიძე და ზვიადური — სერგო კუნჭულია ვეფხეებევით რომ დანაეარდობენ სცენაზე. ალზა — ყარასაშვილი? მხოლოდ რამდენიმე კაცმა გიცით მისი ავადმყოფობა. ასეთ მდგომარეობაში სხვა პროფესიის ადამიანი, ალბათ, ლოგინად წვება, ბიულეტენზე გადის; მაგრამ მსახიობს ყოველთვის აქვს ფიზიკური თუ სულიერი მხნეობის მარაგი, რაც მას ძალღონეს მატებს, ვინაიდან სხვა გზა არ არის, მას ვერავინ შეცვლის, ფარდის იქით შენს მოლოდინში გუგუნებს დარბაზი...

მეგრ სხვა წესსა და ტრადიციასთან ერთად ერთი რამ მოგვეწონა ჩვენი მასპინძლებისა: სპექტაკლის შემდეგ საჯაროდ აცხადებენ, ვის ეკუთვნის და ვისგანაა ესა თუ ის საჩუქარი, თაიგული. სცენა გაივსო ყვავილებით. გასტროლების დაწყება და წარმატება გვი-

სურვა ემილ კიოსტებეკოვმა. სამადლო-
ბელი წარმოთქვა გარლამ ნიკოლაძემ.
ფორეში, თეატრის წინ ჩვენს მსახიო-
ბებს ავტოგრაფებისათვის ელოდნენ მა-
ყურებლები.

ეს დაუფიქსარი პირველი დღე დამ-
თავრდა მისი შესაფერისი დიდებული
ბანკეტით ზღაპრულ რესტორან „ვო-
დენიცატაში“. რაც ჩვენებურად „წის-
ჩილს“ ნიშნავს.

- - -

ნიკოლა ვაპცაროვი! ჩვენ ცოტა რამ
გიცოდით ამ ადამიანზე, რომლის სახე-
ლსაც ატარებს ბლაგოვეგრადის თეატ-
რი. დიდგვ უფრო ახლოს რომ გავც-
ნობოდით ამ შესანიშნავი პოეტისა და
მოქალაქის ცხოვრებას, დილადრიან მი-
ვემზავრებით ქალაქ ბანსკოში, რომე-
ლიც ბლაგოვეგრადიდან სამოცი კილო-
მეტრითაა დაშორებული. ბულგარეთში
ყოფნისას სპეციალური ვიდი არასო-
დის გეყოლია, მასპინძლებიდან ვინც კი
აღმოჩნდებოდა ჩვენს გვერდით, ისინი
აჯიწივდნენ მიგზურობას, თეატრის მსა-
ხიობი იქნებოდა იგი, პარტიული მოწი-
კი, თუ ავტობუსის მძღოლი. ყოველმე
ბულგარულმა შესანიშნავად იცის თავი-
სი ჩვეულების, ამა თუ იმ კუთხისა და ძე-
გლის ისტორია. ამჯერად ბულგარელი
მსახიობები არიან ჩვენს ავტობუსში და
ისინი გვაწვდიან ცნობებს ქალაქ ბანს-
კოზე. პირინის მთების კალთებზე ეს
დასახლება აღმოცენებულა მეჩვიდმეტე
საუკუნეში. ამ კუთხის მცხოვრებთა ნა-
წილს, ვისაც გამაჰმადიანებაზე უთქვამს
უარი, ტყისთვის შეუფარებია თავი. თა-
ნდათან შეეჩვივნენ აქაურობას. ტყე მა-
თი მარჩენალი იყო, ხოლო მტრის შე-
მოსიგის შემთხვევაში, — თავშესაფარი.
საცხოვრებელ სახლებსაც იმანიარად
იშენებდნენ, რომ, თუ საჭირო დარჩე-
ბოდა, გალავანშემორტყმულ ციხე-სი-
ნაგრებდალ გადაეციათ ისინი. პატარა
ბანსკომ ქვეყანას მისცა ბულგარული
აღორძინების ისეთი გამოჩენილი მოღ-
ვაწეები, როგორიც არიან მწერალი, მე-

ცნიერი და ისტორიკოსი შანის ნალენ-
დარელი, ნეოფიტ რილსკი, მიხეილ გე-
ომანოვიჩი, ხოლო ჩვენს დროში —
გამოჩენილი პოეტი-რევოლუციონერი
ნიკოლა ვაპცაროვი, რომლის სახლ-მუ-
ზეუმთან ჩერდება ჩვენი ავტობუსი.
პოეტის და რანა ვაპცაროვა შემოგვხ-
ვდა პირველი. მუზეუმში ექსკურსია-
მძღოლიცაა, მაგრამ საპატიო სტუმრებს
ყოველთვის რანა ეგებება. ჩვენ რომ
საპატიო სტუმრებად ვითვლებით ბულ-
გარეთში, ამაში უკვე ექვი აღარ გვე-
პარება.

აქ ყოველი ნივთი, ფოტო, წიგნი, ხე-
ლნაწერი, სხვა ექსპონატი დაკავშირე-
ბულია არა მარტო პოეტის ცხოვრება-
სა და შემოქმედებასთან, არამედ ბულ-
გარელი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ
ყველაზე რთულ პერიოდთან, რადგან
თვით პოეტი მთელი თავისი არსებით,
პოეტური სიტყვით, სინდისით ეკუთვ-
ნოდა თავის ხალხს და ყველაზე მძიმე
წუთებში იღვდა თავისუფლებისა და და-
მოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მე-
წიანად რიცგებში.

ნიკოლა ვაპცაროვმა განგლო მუშა კა-
ცის ცხოვრების გზა, ამიტომ კარვად იც-
ნობდა მშრომელ ადამიანს. მაგრამ იგი
ამდევ დროს მოაზროვნე იყო და ხელაგ-
და ასეთი ცხოვრებიდან თავის დაღწე-
ვის გზასაც, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლე-
ბში ჯერეტდა საფრთხეს, რასაც ფაშისმი
უმზადებდა კაცობრიობას. ამიტომ გახ-
და ვაპცაროვი პროფესიული რევოლუ-
ციონერი, მთელი თავისი ცხოვრება და-
უკავშირა ბულგარეთის კომუნისტურ
პარტიას, მგზნებარე ლექსებით გაიკვლია
გზა მშრომელი ადამიანის გულამდე. მი-
სი იდეალი იყვნენ მაქსიმ გორკი და მა-
იაკოვსკი. ამიტომ ათქმევინებს იგი თა-
ვისი ლექსის ერთ-ერთ გმირს გორკი-
ზე: „ის საკუთარ ძმასავით გვიცნობს
ყველას, შენც, მეც, მისაც“. მეორე
ლექსში კი ამბობს, რომ ქვეყანა დანა-
ღმულია ახალი, რევოლუციური იდეე-
ბით და საჭიროა ძველი სამყაროს აფე-
ოქება. მას აუხდა კიდევ ეს პოეტუ-

რი წინასწარმეტყველება. მენაღმეთა პარტიზანული რაზმის მეთაური აფეთქებდა, ცეცხლის ალში ახვევდა ფაშისტთა ეძელონებს და საწყობებს. ერთ-ერთი ოპერაციის დროს გესტაპოელებმა იგი შეიპყრეს, დიდხანს აწამეს, მაგრამ ვერ გატყუეს უშიშარი რევოლუციონერის ნებისყოფა.

ყოველივე ეს ჩვენ ენახეთ და მოვიღმინეთ ნიკოლა ვაპცაროვის სახლ-მუზეუმში. კედლებიდან გვიმზერდა ნაკვერჩხლებივით ანთებული პოეტის თვალები, და როცა ვკითხულობდით სიკვდილამდე ომდენიმე საათით ადრე დაწერილ სტრიქონებს, „და გწამდეთ, ძმებო, ბრძოლაში თქვენთან მე ვივლი ისე, როგორც მივლია“, გვჯეროდა, ეს ამაყი 'მუბლი არ დახრილა, ამ თვალებში შიში არ ჩამდგარა მაშინაც, როცა კომუნისტი პოეტი იდგა თოფმოძარჩეებულ ფაშისტთა რაზმის წინ და სულ რამდენიმე წამში უნდა შეწყვეტილიყო მისი ხანმოკლე, მაგრამ დიდი სიცოცხლე.

...ბლაგოვეგრადიდან ბანსკომდე კიდევ ერთი ქალაქი გამოვიარეთ — რაზლოგი, სადაც ამაღამ პირველად უნდა წარმოვადგინოთ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. სცენის მოსაწყობად იქ დავტოვეთ ტექნიკური პერსონალი.

ბანსკოელ მსპინძლეებს გული მოსდია, ცრტა ხნით დაგვიტოვეს თქვენი თავიო, მათაც თავიანთი გეგმა აქვთ, — ქალაქი უნდა დავვათვალიერებინოთ, რამდენიმე საწარმოში მივიყვანოთ, პარტიის საქალაქო კომიტეტშიც გველოდებიან, გამასპინძლების გარეშე აქედან წასვლაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ამიტომ ჯგუფ-ჯგუფად ვიყოფით, ვეცნობით ქალაქს, ფოტოებს ვიღებთ და თოვლილი პირინის ფონზე და შემდეგ საწარმოების დასათვალიერებლად მივემართებით.

...რაზლოგში კიდევ უფრო მეტი ხალხი დაგვხვდა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. ბულგარეთის სამი ყველაზე დიდი მთის — რილის, პირინისა და

როდოპის შუა მომწყვდეულ ქალაქს ჰყავს მდინარე მესტა, რომელიც ყოველი მსრიდან მოვარდნილი ნაკადულებითა და ჩანჩქერებით იკვებება და, როგორც გვითხრეს, ზოგჯერ საშინლად აედება, მისი გრუხუნის კინოფილმების ჩვენებას უშლის ხელს.

ნოდარ დუმბაძის პიესა წინათაც წარმოუდგენიათ ამ სცენაზე. ეს იყო „ნუ გეშინია, დედა“, გიორგი ქავთარაძემ რომ დადგა ბლაგოვეგრადის თეატრში. მაგრამ ქართველი დრამატურგის პიესა ქართულ ენაზე რაზლოგში პირველად იდგმება. თუმცა დღევანდელი სპექტაკლიც ბულგარულ ენაზე დაიწყო. გაიხსნა ფარდა, ხალხით გაჭედული დარბაზის წინაშე წარსდგა ზურიკელა — ნიკო მესხიძე და მაყურებლებს მათს მშობლიურ ენაზე მიმართა: „გამარჯობათ, ძმებო ბულგარელებო, მე ზურიკელა ვარ, ვაშალომძიე, საქართველოდან!“. რაზლოგელები ტაშითა და მხიარული სიტყვებით შეხვდნენ ქართველ სოფელ ბიჭს და შემდეგ მთელი სპექტაკლის განმავლობაში არ შეწყვეტილა ეს განწყობილება. სინქრონული თარგმანი გასაგებს ხდის ყოველ ფრაზას, ენამახვილ დიალოგებს.

ქართველი პერიოდიკები ილიკო — გორდის იმნაიშვილი და ილარიონი — მანუჩარ შერვაშიძე, მათი მეგობრობა, ერთმანეთის გატანა, როგორც ჩანს, ახლობელია ამ ადამიანებისთვისაც.

მე-370-ჯერ გამოვიდა ამ დღეს სცენაზე ოლღა ბებია — ნაზი კეჟეყმაძე და, როგორც ამბობდა: სპექტაკლის დაწყების წინ, არასოდეს ასე არ უღელვია. სამი ზურიკელა გამოიზარდა მის ხელში ბათუმის სცენაზე, ორი მათგანი — იური ცანავა და ლევან ღლონტი ახლა მაყურებელთა შორის არიან.

დარბაზში ვხედავ ქართველი ბებიათა ოლქ ქალებს, რომლებმაც ალბათ, ოლღა ბებიასავით გადაიტანეს ომის სიდუხჭირე, ახლობელთა დაღუპვა, ზამთრის გრძელ ღამეებში მასავით ქსოვდნენ წინდებს პირინის მთებში გასული პა-

რტიზანებისათვის, ქართველი ქალები-
ვით ზრდიდნენ შვილებს, შვილოშვი-
ლებს და მათაც ლხინსა თუ ჭირში გვე-
რდით ედგნენ ისეთი დიდბუნებოვანი,
სულით მხნე ადამიანები, როგორიც
არიან ილიკო და ილარიონი.

სპექტაკლის შემდეგ გამართულ ბანე-
ტზე ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა,
მაგრამ ყველაზე მეტად დაგვაშინებდა
ერთ-ერთი მასპინძლის ნათქვამი:

— ამ სპექტაკლის შემდეგ, ყველას,
გინც ვერ კიდევ არ ყოფილა საქართვე-
ლოში, აუცილებლად დაებადება სურ-
ვილი, ჩავიდეს ამ ქვეყანაში, ხოლო
თვითონ თუ ვერ მოახერხა ეს, შვი-
ლებს, შვილოშვილებს უანდერძოს, ეწ-
ვიონ ამ შესანიშნავ მხარეს, სადაც ადა-
მიანებმა იციან ასეთი მეგობრობა,
ერთგულთა და საყვარელთა.

ეს იყო სპექტაკლის ყველაზე შე-
თქმის შედეგები.

* * *

...არც ერთი ჩვენგანი ოქტომბრის
დღესასწაულს არ შეხვედრია სახლგარ-
გარეთ. ცოტა არ იყოს უხერხულად
ვგრძნობთ თავს, ვინაიდან პირველად
ჩვენს ცხოვრებაში უშუალოდ არ ვემ-
ზადებით ამ საზეიმო დღისათვის, არც
შენობებს ერთავთ, არც საშვიდნოებრო
რადიოგადამცემებს ვამზადებთ, სპექტაკ-
ლიც არაა დღეს და არც სადღესასწაუ-
ლო სუფრისათვის ვზრუნავთ. მართა-
ლია, მეგობრებს შორის ვართ, მაგრამ
შვიდი ნოემბერი, უპირველეს ყოვლისა,
ჩვენი, საბჭოთა ადამიანების, ყველაზე
დიდი დღესასწაულია და გულდასაწყ-
ვრთია, რომ ასეთ დროს შინაურებთან,
ახლობლებთან არა ხარ.

ბლაგოვევგარადში შვიდი ნოემბერი გა-
თენდა ისე, როგორც ეს დღე თენდება
ჯათუმში, თბილისში, მოსკოვში, — ქუ-
ჩიდან შემოჭრილი ხმაურით, სიმღე-
რითა და მუსიკით. რადიომიმღები ჩავ-
რთეთ, — საბჭოთა სიმღერებს გადმოს-
ცემდნენ, ფანჯარაში გადავიხედეთ, —

მოზეიმე ხალხით საგსე ქუჩა გა-
ხეთ, დერეფანში გავედით და სართუ-
ლის მორიგეში, ისე როგორც ჩვენთან
იციან, მოგვილოცა ოქტომბრის დღესა-
სწაული. ხოლო, როცა ქვემოთ ჩავედით
და სასტუმროს წინ ბლაგოვევგარდის თე-
ატრის მთელი კოლექტივი დაგვხვდა,
მოგვეჩვენა, თითქმის შინ ვიყავით და
ლენინის მოედანზე გასასვლელად ვე-
მზადებოდით. ვაპცაროველებმა სათითა-
ოდ ჩამოგვირიგეს წითელი ალმები და
წითელი ვარდები. მაგრამ ყველაზე დი-
დი საჩუქარი ჩვენთვის იყო ილია ჭავ-
ჭავაძის ვებერთელა პორტრეტი, რო-
მელიც ნიკოლა ვაპცაროვის სურათთან
ერთად უნდა წაძლიოდა ორი თეატ-
რის გაერთიანებულ კოლონას. მასპინძ-
ლებმა გვაცნობეს, რომ საშვიდნოებრო
დემონსტრაციის გახსნის პატივი ჩვენ
გვხვდა წილად.

ხალხით შემოვარული მოზეიმე მოე-
იანი ტაშით შემოგვხვდა. ჩავუარეთ
ტრიბუნას, სადაც ადგილობრივ ხელმ-
ძღვანელებთან ერთად იდგნენ ჩვენი დე-
ლეგაციის წარმომადგენლები — ლამარა
ბოლქვაძე და შოთა დავითაძე. შემდეგ
ტრიბუნის გვერდით დავითმეს საპატიო
ადგილი და იწყეს სვლა დემონსტრანტ-
თა კოლონებში. ისე როგორც ჩვენთან,
აქაც ასეთი ტრადიცია ყოფილა, მშრო-
მელთა საერთაშორისო დღესასწაულს —
შვიდი ნოემბერს შეხვედნენ საწარმოო სა-
ჩუქრებით. მოდიოდნენ ბლაგოვევგარ-
დელი მეთამბაქოეები, მეავთქმეები, ფეი-
ქრები, მშენებლები, სხვა საწარმო-და-
წესებულებათა მუშაკები და მოპქონდათ
საოქტომბრო წარმატებათა ამსახველი
პლაკატები, ტრანსპარანტები. მოსწა-
ვლეთა მწყობრი კოლონები მოაბიჯე-
დნენ ყვავილებით, მუსიკით, სიმღერე-
ბით. ვესალმებოდით ერთმანეთს, ყოვე-
ლი მხრიდან გაისმოდა: „გაუმარჯო
საბჭოთა კავშირს!“, „გაუმარჯოს ქართ-
ველ მეგობრებს!“ „ვეჩნა დრუჟბა!“,
სწორედ აქ, ასეთ ვითარებაში, თითოე-
ულმა ჩვენგანმა მთელი სიცხადითა და
სიმღიერით შევივრძინეთ ის უდიდესი

და გულწრფელი ძმობა-მეგობრობა, რაც ერთმანეთთან აკავშირებთ ბულგარელ და საბჭოთა ხალხებს.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბოლო კოლონა შემოვიდა მოედანზე. ორკესტრმა საცეკვაო დაუკრა და ახალგაზრდა ქალ-ვაჟები ჩაებნენ ფერხულში.

— ახლა კი ჩვენც ვიცეკვით, — ჩაილაპარაკა ტრიბუნაზე პეტრე დიულგეროვმა, ქვემოთ, ჩამოვიდა და მოცეკვაეებს შეუერთდა.

მას უმაღლესი ამოუდგახე გვერდში სხვა ბლაგოვევრადელი ხელმძღვანელები, აგრეთვე ლამაზა ბოლქვაძე, შოთა დავითაძე, მერაბ ხინიკაძე, ლამაზა ყარასაშვილი.

პროგრამის მიხედვით, დღის მეორე ნახევარში უნდა გაემგზავროთ რილსკის მონასტერში, ჩვეს კი პირველად ვეთიშებით კოლექტივს, ვარღვევთ დისციპლინას, მაგრამ თავს იმით ვიიმიედებთ, რომ ამისათვის გვაქვს ფრიად საპატიო მიზეზი, საღამოს ხუთ საათზე იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადიდან ტელევიზიით უნდა გადმოსცენ ოფიციალური და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა შეხვედრა ეუფა-ს თასზე. დაგეგმილია მთელი მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია. ნამდვილ გულშემატკივრებს კი არ შეგვიძლია ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება. აღგილობრივი თეატრის მსახიობის ანანი მიტევის ოჯახში გულითადად შემოგვხვდნენ.

— ჩვენები თეთრ მაისურებში თამაშობენ, — აგვისსა ანანიმ.

სამთავემ ერთმანეთს გადავხედეთ, მაგრამ ანანისთვის აღარაფერი გვიკითხავს, ვიხილან მივხვდით, ვისაც გულისხმობდა იგი „ჩვენებში“.

დინამოელებმა თბილისში სამით — ნოლზე გაიმარჯვეს. ბელგრადში ნაკლები ანგარიშით წაგებაც შველის საქმეს, მაგრამ ანანი თავს იკლავს, უნდა მოვივითო. შენს პირს შეაქარიო, უთხრა კოტე პატარაიამ და ამ დროს ვახტანგ ჭელიძის დარტყმამ კინაღამ გაგლოჯა ბა-

დე. სანამ თამაშს ცენტრიდან დაიწყებენ, ვასწრებთ პირველი სადღევანდლოს წარმოთქმას და მიტეების სტუმართმოყვარე ოჯახის დალოცვას. მერე კი თამაში ისეთნაირად აეწყო, რომ ტელევიზორის ეკრანის გარდა გარშემოვესაფერს ვხედავდით. ჩვენმა ბიჭებმა სულ ტარაბუა დააჩვენეს იუგოსლაველთა დაცვას. გივი ნოდიამ და დათო ყიფიანმა კიდევ ორი ბურთი გახვიეს მასპინძელთა კარში. ერთმანეთს ვასკდებით და ვყვირით, თითქოს ჩვენი ხმა ესმოდეთ დინამოელებს. თან მანუჩარს ვაფროთხილებთ, ხმას მოუარე, ხვალ „ბებია“ უნდა ითამაშო სოფიაში, შენს მაგიერადაც ჩვენ ვიყვირებთო. ბელგრადელები ახლა უკვე ქართულ ფეხბურთელებს უკრავენ ტანს. იუგოსლაველი კომენტატორის რეპორტაჟში „ოფიციალური“ ერთად სულ უფრო ხშირად გაისმის სიტყვა „კატასტროფა“.

რეპორტაჟის დროს მიტეებთან ხშირად რეკა ტელეფონი. დიასახლისი პასუხობდა. თამაში რომ დამთავრდა, სწევინამ ქმარს გადასცა ყურმილი. ანანა შემოგვეყურებს და თან ვილაიცას არწმუნებს, თქვენ მოდით აქო. ყურმილი რომ დადო, გამოგვიტყდა, პეტკოვებმა შეიტყვეს, რომ აქა ხართ და გეპატიებებიან, მეორე მატჩი ჩვენთან უნდა ნახონ ქართველმა მეგობრებმაო. არადა, მიტეებს ჩვენი გაშვება არ უნდათ. ანანის ბათუმელი კოლეგების მოსვლამ გვიშველა. ისინი მიტეებს დაუშტოვეთ, ჩვენ კი გავემართეთ პეტკოვებისაკენ, სადაც ვნახეთ კიდევ ორი მატჩი.

* * *

...მივემგზავრებით სოფიაში, სადაც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ უნდა წარმოადგინოთ. გზადაგზა გვხვდებამატარ-მატარა ქალაქები, დასახლებული პუნქტები, საწარმოები... მათ შორის კი, მარცხნივ და მარჯვნივ, თვალუწყდენიველებია. მოსავალი უკვე აღებულია, მაგრამ მაინც იგრძნობა, თუ რა მზრუ-

წველობით ეპყრობა ბულგარელი გლე-
ხი მარჩენალ მიწას, რომელიც მას უხ-
ვად აძლევს თამბაქოს, ბოსტნეულს,
ხეხილს, ყურძენს. ამიტომაც ვაზი ასე
ფაქიზად აკრული ჰქონებოდა, ხოლო
გზატყვევლის ორივე მხარეს გაშენებუ-
ლი ვაშლისა და მსხლის ხეები — თეთ-
რად შეფეთქილი.

...ჩვენი ავტობუსი ალექსანდრე ნევე-
ლის დიდებულ ტაძართან შეჩერდა. აქ
უკვე უამრავი მანქანა და ავტობუსი
დგას. როგორც ჩანს, ამ მოედნიდან იწ-
ყება ყველა ტურისტული მარშრუტი,
ეს ადგილია დათქმული ქალაქში გათან-
ტული ექსკურსანტებისა და ტურისტე-
ბის შესაყრებად. ალექსანდრე ნეველის
ტაძარი მადლიერ ბულგარულ ხალხს აუ-
გია 1877-1878 წლების განმათავისუფ-
ლებელ ომში ორი მოძვე ხალხის მიერ
გაღებული მსხვერპლის მოსაგონარად.
ამავე მოედანზეა წმინდა სოფიოს ძვე-
ლებური ტაძარი, ვისი სახელიც დაერ-
ქვა ბულგარეთის დედაქალაქს. აქვეა სა-
ხალხო პოეტის ივანე ვაზოვის საფლა-
ვი... ყოველივე ეს თვალს იტაცებს და
აუღმდეგლად გვერდის ჩავლა შეუძ-
ლებელია, მაგრამ ქალაქის გასაცნობად
სხვა დროა დაგეგმილი, დღეს კი სოფი-
აში საქმეზე, სამუშაოდ ვართ ჩამოსუ-
ლი. მხოლოდ რამდენიმე წუთით შევი-
ხედეთ ალექსანდრე ნეველის ტაძარში,
თვალი შევაღვეთ გამოჩენილ რუს და
ბულგარულ ხელოვანთა მიერ მოხატულ
ფრესკებს, ხოლო შემდეგ გავემართეთ
ქალაქის ცენტრისაკენ, რომ, უპირვე-
ლეს ყოვლისა, მოვინახულოთ თეატრი,
სადაც ამაღამ უნდა ვითამაშოთ „მე, ბე-
ზია, ილიკო და ილარიონი“, შემოიწ-
მით, როგორ გაიმართა დეკორაციები,
მსახიობებიც უნდა „მოვგრონ“ სცენას,
მაყურებელთა დარბაზს.

თეატრალური ინსტიტუტი ქალაქის
ერთ-ერთ მთავარ და ხალხმრავალ ქუ-
ჩაზეა. ინსტიტუტთან შექმნილია ექსპე-
რიმენტული თეატრი, სადაც მომავალი
რეჟისორები, მსახიობები დგამენ საკმა-
ოდ საინტერესო სპექტაკლებს. აქ უნდა

წარმოვადგინოთ ამ საღამოს „ბეზია“.
მასპინძლები შემოგვგებენ. ირგვლივ
ირევია ახალგაზრდა ქალ-გაყვინტავნი
გაიბა საუბარი. სტუდენტებმა გვითხ-
რეს, რომ ამ სცენაზე ერთხელ უკვე
დაიდგა „მე, ბეზია, ილიკო და ილარიო-
ნი“ და ამ საღამოს, ადვილი შესაძლე-
ბელია, მოვიდნენ იმ სპექტაკლის მონა-
წილენი.

ბლაგოევგრადიდან დილადრიან გა-
მოგზავნილი დეკორაციები საკმაოდ კა-
რგად გამართულა. სპექტაკლის მონაწი-
ლენი უკვე დადიან სცენაზე, სხვადასხვა
წერტილიდან გასცქერიან დარბაზს; ან-
ტონ ფილიპოვი გამნათებლებს ეხმარება
შუქის დაყენებაში; შალვა ინსარიძე სა-
ხელდახელოდ გადის რეჟიტორიას.

16 საათზე ჩვენი დელეგაციის ხელმ-
ძღვანელები უნდა მივიღოთ ბულგარეთის
ხელოვნებისა და კულტურის კომიტეტ-
ში, რომელიც ჩვენებურ კულტურის სა-
მინისტროს ნიშნავს. პირველად, ცოტა
არ იყოს, გავიკვირდა, როცა ბლაგო-
ევგრადელ მასპინძლებთან ერთად სო-
ფიის ნაციონალური თეატრის შენობას
მივადექით. ასევე ანგელოვმა აგვისნა,
რომ ხელოვნებისა და კულტურის კო-
მიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თე-
ატრალური ხელოვნების დარგში ალექ-
სანდრე გეტმანი ამავე დროს ნაციონა-
ლური თეატრის დირექტორიცაა.

— ცუდად ნუ ჩამომართმევთ, რომ
თეატრში გღებულობთ და არა კომიტე-
ტში, — ღიმილით შემოგვგებდა ალექსა-
ნდრე გეტმანი, აზოვანი, რიხიანი კაცი,
რომელიც თავის ხნოვანებასთან შედა-
რებით ძალზე ახალგაზრდად გამოიყუ-
რება. — აქ უფრო შინაურულად ვილა-
პარაკებთ თეატრის პრობლემებზე, უფ-
რო მოუერიდებლად გაუანდობთ ერთმა-
ნეთს, რა გვიჭირს და რა გვიღიხნს.

გავცეანით ერთმანეთს. ალექსანდრე
გეტმანი ყოფილი სამხედროა, გადამდ-
გარი გენერალი, მეორე მსოფლიო ომის
ვეტერანი, ცნობილი პარტიზანი, ბოლო
ხანებში ბულგარეთის ათვის პოლიტ-
სამმართველოს ედგა სათავეში, ახლა კი

ქვეყნის თეატრალურ ხელოვნებას ხელმძღვანელობს.

მრგვალ მაგიდასთან, ოთქელზეც უმაღლაჩნდა ტრადიციული კონიაკი, ყავა და ხილეულის წყლები, გაიმართა გულითადი საუბარი სასცენო ხელოვნების პრობლემებზე, შემოქმედებითი კონტაქტურის დღეების დიდ წარმატებაზე. ალექსანდრე გეტმანი სინანულს გამოთქვამს, რომ ამ საღამოს პირადად ვერ დაესწრება ბათუმელთა წარმოდგენას, ვინაიდან დღეს ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ესწრებიან ობრაზცოვის თეატრის სპექტაკლს და მისი იქ ყოფნა აუცილებელია. ცოტა არ იყოს საყვედურს გამოთქვამს ჩვენი ბლაგოვევგრადელი მასპინძლებისა და კომიტეტის მუშაკთა მისამართით, სხვა უფრო შესაფერისი დღე რომ ვერ გამოიხატეს ქართველი მეგობრების მისაღებად, საინც გვპირდება, ყოველხაზად ვეცდები, რომ სპექტაკლის დამთავრებამდე მოვინახულოთ.

გამომშვიდობებისას მან გვაცნობა მეტად სასიხარულო ამბავი, რომ საბჭოთა კულტურის დღეებთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მუშაკებთან ერთად გიორგი დიმიტროვის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო სამახსოვრო მედლებით დაჯილდოებული არიან ბათუმის თეატრის მსახიობები, საქართველოს სახალხო არტისტები — ნუნუ თეთრაძე, იუსუფ კობლაძე, აკაკი მგელაძე და მერაბ ხინიკაძე, აგრეთვე ჩვენი დელუგაციის ხელმძღვანელი, აკარის კულტურის მინისტრი ლამარა ბოლქვაძე. ჯილდოების გადაცემა მეორე დღისთვის იყო დაინშნული.

„ბებეას“ ქართული პრემიერა ბულგარეთში უკვე გაიმართა და ამიტომ მე და კირილე ალექსანდროვი თავს უფლებას ვაძლევთ ეს საღამო მივუძღვნათ სოფიის რომელიმე თეატრის გაცხობას. ვათვალიერებთ რეპერტუარს. დღეს სოფიის თეატრებში უჩვენებენ კლასიკა-

საც, თანამედროვეობასაც. ზოგი პიესა და ავტორი ცნობილია, ზოგერთი კი — დღეს — უცნობი; გარისკვა არ „შეიძლება“, უნდა ვნახოთ ყველაზე უკეთესი სპექტაკლი. გვირჩიეს, წავსულიყავით თეატრ „სოფიაში“, სადაც დღეს ფრიდრიხ დიურენმატის „დიდ რომულს“ უჩვენებდნენ.

ქმყოფილი დავრჩი... ..

...ჩვენ მაინც მივუხსნარით თეატრალურ ინსტიტუტში „ბებეას“ დასკვნით, სცენას, მაყურებელთა ტაშს. ალექსანდრე გეტმანსაც მოეხერხებინა მოსვლა, სპექტაკლის მონაწილეებს ესაუბრებოდა მასპინძლის თავზაიხობითა და ჩვეული იუმორით. ხვალ სახალხო კრების შენობაში გელითო, ერთხელ კიდევ გააუთხოხილა ლამარა ბოლქვაძე და ჩვენი სახალხო არტისტები. შემდეგ ავტობუსები დაიძრნენ ბლაგოეგრადისაკენ. შოთა დავითაძე და მე სოფიაში ვრჩებით.

* * *

...„ბებეას“ გუშინდელ მაყურებელთა შორის ორი სოფიელი ქართველი იმყოფებოდა — იმეინერი ანზორ ვადაჭკორია და სტუდენტი ნაზიბროლა ყულუჯიშვილი. ანზორს წინათ ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში შევხვედრივარ. შემდეგ პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს. მალე ახალგაზრდა კაცს სავარეო ვაჭრობის სამინისტროს ხაზით საპასუხისმგებლო საქმე მიანდეს, ბულგარეთში გაგზავნეს შესასყიდი იმპორტული მანქანების მიმღებად. უკვე ოთხი წელია სოფიაში ცხოვრობს. ბავშვები არსულ სკოლაში სწავლობენ. ხშირად უხდება მოგზაურობა ბულგარეთის ქალაქებში. ბათუმელობა ჩასვლა, რა თქმა უნდა, დიდი ზეიმი იყო მისთვის, არ მოგვცილებია და არც პატივისცემა მიუტლია ჩვენთვის.

1970 წელს მოსკოვში ერთმანეთი გაიცნეს ქობულეთელმა ქალიშვილმა, ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ნაზიბროლა ყულუ-

ჯიშვილმა და საგარეო ვაჭრობის აკადემიის სტუდენტმა, ბულგარულმა სტოიან პეევსკიმ. შეხედნენ და შეიყვარეს ერთმანეთი. ძნელი „გასამეტებელი“ იყო საზღვარგარეთ გასათხოვად ქალიშვილი, მაგრამ მშობლები წინ ველარ აღუდგნენ ახალგაზრდების სურვილს. ნაზიბროლა და სტოიანი შეუღლდნენ. მოსკოვში, ქორწილზე ჩაფრინდნენ მათი მშობლები — ბულგარეთის საეპარქო პალატის რეკლამის დირექტორი გენჩო პეევსკი და ქობულეთის № 2 რუსული საშუალო სკოლის დირექტორი მემედ ყულეჯიშვილი. მძახლების დაახლოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ორივე ებრძოდა საერთო მტერს — ფაშისტებს. სტოიანი სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო, ნაზიბროლაც ქმარს გაჰყვა, სწავლა თავიდან დაიწყო, სოფლის უნივერსიტეტის ქურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მას შემდეგ ხან ქობულეთლებს ჩადიან სოფიაში, ხან კიდევ იქაურები ესტუმრებიან ხოლმე ქართველ მოყვრებს. შარშან ნაზიბროლამ ქურნალისტური პრაქტიკა „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციაში გაიარა. დიდი მიზნები აქვს, ბულგარული ხომ უკვე იცის და იცის, ინგლისურსა და არაბულს ეუფლება, მთარგნელობას, ქართული ლიტერატურის კიდევ უფრო ფართო სარბიელზე ვატანას აპირებს.

დღეს ნაზიბროლა ჩვენი მეგზურია. დილიდანვე გავდივართ ქალაქში და, უპირველეს ყოვლისა, მივემართებთ აბანოს მოედნისაკენ, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარეობს და სადაც მინერალური წყაროების ირგვლივ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ ადამიანები, თრაკიელთა ტომები. ქალაქის სახით სოფია ჩამოყალიბებულია ორი ათასი წლის წინათ, როცა რომის იმპერიამ შემოიერთა ბალკანეთის ნახევარკუნძულიც. ეს დასახლება ბევრჯერ განადგურებულია და შემდეგ კვლავ აღდგენილა...

ნაზიბროლა საღამომდე გვემშვიდო-

ბება, ჩვენ კი მივემართებთ ბულგარეთის მსახიობთა კავშირისაკენ. მსახიობთა კავშირისაკენ. ხიან აქ თეატრალურ საზოგადოებას, როგორც კი მშვედგამა-მემანქანე და გვინახა, მოგვესალმა, ჩვენთვის არაფერი უკითხავს, ერთ-ერთი კარი შეაღო და ვილაცას უთხრა:

— ამხანაგო პაუნოვ, თქვენი ქართველი მეგობრები მოვიდნენ.

იმის მიხედვით, თუ როგორ შეგვხვდნენ მსახიობთა კავშირში, გვილიმოდნენ, სახელდახელო სუფრას აწყობდნენ, მივხვდით, დიმიტრი პაუნოვს ბევრი რამ მოეთხრო თანამოსამსახურეებისათვის საქართველოზე, აჭარაზე, ბათუმზე, ქართულ ნაცნობ-მეგობრებზე. ეს იმიტაც იკრძალოდა, რომ მასპინძლებს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ქართულ თეატრზე, თანამედროვე დრამატურგიაზე, სოფიაში გამართული სპექტაკლიც ენახათ და რეცენზიის დაწერასაც აპირებდნენ. მათაც ბევრი რამ გვიამბეს ბულგარული თეატრალური ხელოვნების შესახებ, მსახიობთა კავშირის საქმიანობის სტრუქტურაზე, საბჭოთა კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობაზე.

საღამოს სასტუმროში ნაზიბროლა და სტოიანი გვეწვივნენ, მანქანიტს გასეირნება შემოგვთავაზეს. ქალაქგარეთ გავიდეთ და ვიტოშის მთიდან გადმოვხედდით სოფლისო. სოფია და ვიტოშა ისეა განუყოფელი ერთმანეთისაგან, როგორც ნეაპოლი და ვეზუვი, თბილისი და მთაწმინდა... მისი დიდებული მწვერვალი გვირგვინივით ადგას ბულგარეთის დედაქალაქს.

მანქანა ქალაქიდან გაჟდა და მიხვეულ-მოხვეული გზით სულ ზევით და ზევით მიემართება. გაყინული თოვლი ბზინავს გზის ორივე მხარეს. ზაფხულობით ვიტოშის სახალხო პარკს ზღვა ხალხი ეტანება, ახლა კი ირგვლივ არავინ ჩანს, შემხვედრი მანქანა თუ ჩავიჭიროლებს ზოგჯერ.

სტოიანმა მანქანა გზიდან გადააყენა და შეჩერდა. გადმოვიდით. ისეთი პაე-

რია, ღრმად ჩასუნთქვას თავისთავად ითხოვს ფილტვები. ასიოდ ნაბიჯზე პატარა, განათებული შენობა მოჩანს. სტოიანი იქითკენ გავიძღვა. შიგ შევდით. სითბო, სინათლე, მუსიკა, მადის აღმძვრელი სურნელება მოგვესალბუნა. თითქოს გველოდნო, მაშინვე გაჩნდნენ ჩვენთან აქაური მსახურნი, პალტოები ჩამოგვართვეს, სუფრა მიგვიჩინეს. მივიხედ-მოვიხედეთ, საქართველოში გვეგონა თავი: შუაღმოსავლეთი, რკინის მაშა, ნამგალი, ჭაჭაზე ჩამოკიდებული კარდალი; კედლებზე — სიმინდის ტაროები, წითელი წიწკაის აკიდო, ხაპერა; დახლწე — ღვინის კასრები და კახელები.

სულ დავიბენით, როცა ოფიციალური მოვლი დაკვეთის მისაღებად და სტოიანმა გვეითხა, ხაშს მიერთმევთ თუ ჩირურესკო. რადგან პასუხი შეგვიგვიანდა, ორთავე დაუკვეთა. რამდენიმე წუთში ოსშიგარავარდნილი თიხის ჯამებით დაგვიდგეს სურნელოვანი ხაში, ბულგარეთში შეკმბე-ჩორბას რომ ეძახიან. იმ სუსხიან ღამეს უკეთესს, ალბათ, ვერც ვინატრებდით.

სახელიც პოეტური რქმევია ამ რესტორანს — „შუშაკო“, რაც დაახლოებით ფოთოლცენის შრიალს ნიშნავს.

გარშემო მაგიდებს უმთავრესად ახალგაზრდები უსხედან. მუსიკას უსმენენ, ცეკვებენ, სვამენ, ერთმანეთს ესიყვარულებიან, ალბათ, ანეკდოტებსაც ჰყვებიან, მაგრამ ხმაური არ ისმის, ვერც უხიჯად ნათქვამ სიტყვას გაიგონებ.

...მანქანა ახლა ქვემოთ ეშვება. სულ უფრო გვიახლოვდება ტაფობში გაწოლილი გაჩახჩახებული ქალაქი. სტოიანმა რადიომიმღები ჩართო. თითქოს განგებ, ქართული მელოდია გაისმა, ნანი ბრეგვაძე მღეროდა „რეროსთან“ ერთად. არც კრთი ხმას არ ვიღებდით, მაგრამ თითოეული ჩვენგანი, ალბათ, თავისებურად განიცდიდა ამ ღიღებულ საღამოს. ვიტოშის მთის სუსხიან ღამეს ჩვენ მშობლიური მიწის სითბო და სურნელი განვიცადეთ. სტოიანი საჭესთან იჯდა და ფხიზლად გასცქეროდა გასი-

პულ გზას, მაგრამ გუნებაში, ალბათ, ისიც კმაყოფილი იყო ქართულ სტუმარებს რომ ასიაშოვნა. მაგრამ ყველაზე უფრო ბედნიერი, ალბათ, მაინც ჩვენი დიასახლისი იყო. ნაზიბროლამ გამოიგონა და გვაჩუქა ეს დაუფიწყარი საღამო. ამიტომ იღიმებოდა იგი და ხმას აყოლებდა ქართულ მელოდიას.

* * *

...ღილით დავტოვეთ სასტუმრო. ქუჩაში გამოვედით. აქ იყრება ჩვენი გზები. შოთა დავითაძე დღეს მოსკოვში მიფრინავს. მეტი დარჩენა აღარ შეუძლია. ხულოში დანიშნულია პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმი. წინ დიდი საქმე ელის. მე ბლაგოვეგრადში მივემგზავრები. დღეს ვაპაროველებმა ჩემი „ხიდი“ უნდა წარმოადგინონ. შოთას სტოიანი გამოუვლის, აეროპორტში წაიყვანს, მე კი ავტოვაგზისაკენ მივემართები.

...„ვოლგამ“ ზედ კაფე „აქარასთან“ მიმიყვანა. დღეს აქ დანიშნულია ბათუმისა და ბლაგოვეგრადის თეატრების შემოქმედებითი შეხვედრა-დისკუსია. კაფეში იმ დროს შევედი, როცა მასპინძლებმა ნუნუ თეთრაძეს წითელი ვარდების თაიგული მიართვეს და დაბადების დღე მიულოცეს. ქალბატონმა ნუნუმ დაბადების დღის წინ ძვირფასი ჯილდო მიიღო — გიორგი დიმიტროვის საიუბილეო სამახსოვრო მედალი. ეს მედლები უბრწყინავთ მკერდზე აგრეთვე ლამარა ბოლქვაძეს, იუსუფ კობალაძეს, აკაკი მგელაძეს, მერაბ ხინკაძეს. პირადად ტოდორ ჟივკოვმა გადასცა მათ ჯილდოები.

დაიწყო ორი თეატრის შეხვედრა-დისკუსია, რომელსაც სხნის ნიკოლა ვაჰცაროვის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე, დრამატურგი კონსტანტინე ილიევი. მეგობრებს საკამათო და გასაყოფი არაფერი გვაქვს, ამბობს იგი, მაგრამ თქვენც და ჩვენც, ალბათ, გვაწუხებს საერთო საპირბოროტო შემოქმე-

დებითი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაში დაგვეხმარება ერთმანეთის აზრი და გამოცდილება.

ემილ კიოსტეგეოვი ყურადღებას ამაზივლებს თეატრალური ხელოვნების სოციალურ არსზე, დასავლეთ ევროპის თეატრების დღევანდელ სახეზე, რა შეიძლება გავიზიაროთ მათი შემოქმედებიდან და რაზე ვთქვათ უარი, როგორც სოციალისტური ხელოვნებისათვის მავნესა და მიუღებელზე.

რეჟისორი ანდრეი კალუდოვი, რომელიც რამდენიმე თვე იმყოფებოდა ბათუმში და საკმაოდ კარგად იცნობს ქართულ თეატრს, ლაპარაკობს საერთო პრინციპებსა და პრობლემებზე, თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის სოციალური გამოკვლევის აუცილებლობაზე.

უფროსი თაობის მსახიობები მერაბ ხინიკაძე, იუსუფ კობალაძე იგონებენ რუსთაველის თეატრის ახმეტელისეულ პერიოდს, ქართველი მაყურებლის უდიდეს ინტერესს ეროვნული თეატრისადმი, რაც, სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად შენეულა.

შეხვედრაზე გამოითქვა საინტერესო მოსაზრებანი ბათუმისა და ბლაგოვეგრადის თეატრების შემოქმედებითი კონტაქტების კიდევ უფრო გასაფართოებლად, ამ მიზნით პიესების, რეჟისურების, მსახიობების, სპექტაკლების უფრო ხშირად გაცვლა.

...სალამოს თეატრში ვართ. მთელი ჩვენი დელეგაცია დღეს მაყურებლის როლშია. სპექტაკლის დაწყებამდე აქ გაიმართა საზეიმო კრება, ბლაგოვეგრადის თამბაქოს კომპინატს „პირინს“ გადაეცა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო კომპინატის მოწინავე მუშებს — ორდენები და მედლები. თეატრი საესეა ხალხით. ქალაქისა და ოკრუგის მთელი აქტივი აქაა. მცირე შესვენების შემდეგ ისინი „ხიდის“ მაყურებლები იქნებიან.

უკვე რამდენიმე დღეა აქა ვართ, მაგ-

რამ მასპინძლები თითქმის ყოველდღიან „ხიდზე“ ლაპარაკს. (რადგან ბულგარეთში კიდევ ყოფილა ამავე სახელწოდების პიესა, ამიტომ სპექტაკლს მეორენაირად უწოდეს — „პროცესი შედგება“). ერთადერთი „ჩვენი კაცი“, პრემიერას რომ დაესწრო, ანტონ ფილიპოვია, მაგრამ ისიც მრავალმნიშვნელოვად შეზღუდვებზეა, თითონ ნახავო. მეც ზრდილობიანად ვდუმვარ, ვდუმვარ და ვდღეობ. აქამდე თითქმის უნდა შევჩვევოთ ამ პიესას, არაქართულ სცენაზე დადგმას, „ხიდი“ მინახავს სხვადასხვა რესპუბლიკაში და სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ეს არის პირველი საზღვარგარეთული სპექტაკლი, მართალია, მეგობრების მიერ დადგმული, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორ გაიგეს ბულგარელმა სცენის ოსტატებმა პიესის პრობლემატიკა, რამდენად ცხაგრებისეული და ახლობელია ბულგარული მაყურებლისათვის პიესის კონფლიქტი, მის პერსონაჟთა ფიქრები და გაცდები.

ჩემს გვერდით ვარლამ ნიკოლაძე ფურცლავს შესანიშნავად გამოცემულ, ფოტოებით დამზვენებულ „ხიდის“ პროგრამას და ამბობს, უნდა ვისწავლოთ ჩვენც ასეთნაირი პროგრამების ბეჭდვა. მაგრამ მთავარი მაინც სპექტაკლია. სინათლე ქრება და დარბაზს ეფინება ქართული მელოდია. ლილი ბენევის დეკორაციები სადაა და გამომსახველი. გამოჩნდა სცენაზე პროკურორი ირაკლი რაზმაძე; მის როლს პეტრე ბურუნსუოვი ასახიერებს, ბათუმში გასტროლებზე ჩამოტანილ „წითელსა და ზიხაქისფერში“ გიორგი დიმიტროვს რომ თამაშობდა. აი, მარიკა ჩოდრიშვილიც, სრულიად ახალგაზრდა მსახიობი ედი ისტატკოვა, შარშან დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი, ეს მისი პირველი დიდი როლია, ისიც ქართულ პიესაში. მისი ავტორი და მარიკა ჩოდრიშვილის შემსრულებელი ბათუმის სცენაზე წინო საკანდელიძე კი ამ დროს პირველ რიგში სცდან. განსაკუთრებით კარგია ედი ისტატკოვა, ვხედავ, ეს ლა-

მაზი გოგონა, თითქმის ბავშვი, როგორ იზრდება სცენიდან სცენამდე, რა ახლობელი, სისხლხორცეული გახდა მისთვის ეს დანგრეული ხიდი, უდანაშაულო სართავიას ბედი, კანონი, რომელიც ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს და რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა, განუჩივრებლად რანგისა და მდგომარეობისა. იგი იბრძვის, განიცდის, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაშია... უცებ მარიკა — ედი წყვეტს მონოლოგს, ავანსცენაზე გამოდის და მოულოდნელად მაყურებლებს მიმართავს:

— მე ვთხოვ მარიკა ჩოდრიშვილის როლის ქართველ შემსრულებელს, ბათუმის თეატრის მსახიობს ნინო საკანდელიძეს დაემაძროს საქმის გამოძიებაში. ედი გადის. მაყურებელთა ტაშის გრიალში დარბაზიდან სცენაზე აღის და პროკურორის თანაშემწის ადგილს იკავებს ნინო საკანდელიძე. იგი ემილ კიოსტებეკოვთან ერთად ქართულ-ბულგარულ ეხებზე ასრულებს ერთ სცენას და შემდეგ კვლავ ჩაბოდის მაყურებელთა დარბაზში.

მოფარდება სპექტაკლი. როგორც ეს ყოველთვის ხდება, (კარგი და ცუდი სპექტაკლის შემდეგაც), იხმოვენ მსახიობებს, რეჟისორს, ავტორს; ჩემთან ერთად სცენაზე აღიან ბათუმის „ხიდის“ მონაწილენიც. მოაქვთ თაიგულები, კალთები, საჩუქრები. კიოსტებეკოვი ჩამჩურჩულებს, რომ საჭიროა სიტყვის თქმა. მე მღელვარებისაგან ამას ვერ ვახერხებ და ვთხოვ ნიკოლაძეს, ორიოდე სიტყვა თქვას ჩემს მაგივრად. შემდეგ კულისებში, ფოიეში გრძელდება მოლოცვა, ავტოგრაფების მიცემა. თანდათან ვწყნარდები და ვცდილობ, ობიექტურად შევაფასო სპექტაკლი. მეჩვენება, რომ ვნახე „ხიდის“ ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა. ამასვე მეუბნებიან მეგობრები, რომლებსაც ეს პიესა უნახავთ სხვა თეატრებში და ვისიც მე მჯერა.

შემდეგ სასტუმრო „ვოლგის“ საბანკეტო დარბაზში საქალაქო საბჭომ გაგვიმართა დიდი დარბაზობა. საგასტრო-

ლო სპექტაკლების ჩვენება დაიწყო. თოდ, პროგრამის თეატრალური ნაწილი დამთავრდა. ზეალიდან იწყება მოგზაურობა ბლაგოვეგრადის ოკრუგის, ბულგარეთის სხვა ქალაქების ღირსშესანიშნაობათა და ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

...პირველ რიგში ჩვენ ვეწვიეთ ქალაქ სანდანოვს, ლეგენდარული სპარტაკის მშობლიურ კუთხეს, სადაც ყვევილებით შევამკეთ მისი ძეგლი, დავათვალიერეთ არქეოლოგიური მუზეუმი, ამ საკურორტო ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, დავესწარით მაკედონელთა ქორწილს. აქედან გავემგზავრეთ ბულგარეთის ყველაზე პატარა და ყველაზე რომანტიკულ ქალაქ მელნიკში, სადაც 130 სახლია შემორჩენილი და მთელი მოსახლეობა 550 სულს შეადგენს. ამ ქალაქ-მუზეუმში არავითარი მშენებლობა არ მიმდინარეობს, სამაგიეროდ ძველი შენობების რესტავრაციას დიდი ყურადღება ექცევა. ეს ქალაქი განთქმულია შესანიშნავი ლეგნოებით. ამაში ჩვენც დავგრძნობდით, როცა ქალაქის ხელმძღვანელებმა მარანში მიგვიწვიეს და გაშინიკი გავგასინჯეს.

აჭარაში ყოფნისას ვაპცაროველები საზღვრისპირა სოფელ სარფში გვყავდა, სამაგიეროდ მათ ბულგარეთ-საბერძნეთის სასაზღვრო პუნქტ კულატას ნახია შემოგვთავაზეს. მდინარე პირინსკი ბისტრიცაზე გადის საზღვარი. გზატკეცილი და რკინიგზა აკავშირებს ამ ორ ქვეყანას. მესაზღვრეები და საბაჟოს თანამშრომლები შემოგვხვდნენ სასაზღვრო პუნქტის პატარა, კოხტა შენობასთან. ერთმანეთში რაღაცაზე მოითათბირეს და ხიდთან გადებულ შლაგბაუმთან მიგვიყვანეს, შემდეგ შლაგბაუმიც აიწია და ხიდზე გავედით იმ ადგილამდე, რომლის იქით ერთი ნაბიჯის უნებართვოდ გადადგმაც კი უკვე საზღვრის დარღვევას ნიშნავს. ამითაც გამოვლინდა ჩვენდამი განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა.

ხიდის მეორე თავში ბერძენი მესაზღვ-

რეგია. იქვე ვეება პანოზე წარწერა: „21 აპრილი, 1967 წელი“. ეს ის თარიღია, საბერძნეთში სამხედრო გადატრიალების შედეგად „შავოლკოვნისა“ ხუნტამ რომ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება.

ბულგარელმა მესაზღვრეებმა გვითხრეს, რომ ისე როგორც აჭარაში არის ბულგარულ ასენ ილიევის სახელობის საგუშაგო, მათთანაც ერთ-ერთი საგუშაგო მამაცი საბჭოთა მესაზღვრის ალექსი ლობატინის სახელს ატარებს. ისიც გვითხრეს, რომ როგორც აჭარის მესაზღვრეები, ისინიც აქ იცავენ არა მარტო თავიანთი ქვეყნის, არამედ მთელი სოციალისტური ბანაკის საზღვარს.

...ქარგა შედამებულზე ჩავედით ჩვენი დღევანდელი მარშრუტის ბოლო პუნქტში — პეტრიჩში. აქაურმა შეხვედრამ ყველაფერს გადაჭარბა. ქალაქის მთავარი მოედანი ხალხით დაგვხვდა გაუძლიერი უკრავდა მუსიკა. ყოველი მხრიდან ისმოდა მისალმების შეძახილები. ბავშვებმა მოგვართვეს თაიგულები და გავციკეთეს პიონერული ყელსახვევები. ასეთი შეხვედრის შემდეგ ცოტათი უხერხულად ვიგრძენით თავი, რომ დავვიანებით ჩამოვედით და სტუმართმოყვარე პეტრიჩელები ვალოდინეთ. ისინი მელნიკელებს აბრალებდნენ, ჩვენზე უკეთესი ღვინო აქვთ და ამით შეძლეს მთელი საათნახევრით წაერთმიათ თქვენი თავიო. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის, დაგვეთვალერებინა ქალაქი, მასპინძლებმაც დიდებული პატივი გვცეს. შუალამე მოტანებული იყო, როცა ავტობუსებში ჩავსხედით და ბლაგოვეგრადისაკენ ავიღეთ გზი.

* * *

...12 ნოემბერს ვტოვებთ ბლაგოვეგრადს. ბულგარეთში კიდევ ორ დღეს ვრჩებით, მაგრამ ამ მშობლიურად გადამცემულ ქალაქში აღარ დაგბრუნდებით. მთელი ვაპაროვის თეატრი, საოკრუგო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ახა-

ლშეძენილი ნაცნობ-მეგობრები მოვიდნენ ჩვენს გასაცილებლად. ავტობუსებში უკვე ჩაიტვირთა ბარგი, ძძლოლებმა გაახურეს მორტორები, მაგრამ აღარ თავდება ზევინ-კოცნა, სუვენიერებისა და მისამართების გაცემა. მასპინძელთაგან ზოგიერთები გვეუბნებიან, რომ სოფიაში გვინახულავენ, ზოგიც ბოდიშს იხდის, რადგან თეატრში განახლდა რეპერტიციები, სპექტაკლების ჩვენება. როგორც იქნა, ჩავსხედით ავტობუსებში. ადგილიდან დავიძარიო. იმდენი ჯალბია, რომ მანქანებს უჭირთ ისედაც ვიწრო ქუჩიდან თავის დაღწევა. ფანჯრებს იჭით კიდევ მოსჩანს მოლიმარი სახეები, სასტუმროს, ვაპაროველბს გავცილდით, მაგრამ ახლა ხელს გვიქნევენ გამეფულები. თეატრის შესასვლელთან ვხვდებით წარწერას ქართულ-ბულგარულ ენებზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

წინ საკმაოდ გრძელი გზა გვიდევს. დღეს ვტოვებთ ბლაგოვეგრადის ოკრუგის ფარგლებს. ბოროვეცისაკენ გვიჰიარავს გეზი. თუ კი მსოფლიოში ყველა გზა მართლაც რომისაკენ მიემართება, ბულგარეთში ყველა გზა ბოროვეცში მიიღის. იმიტომ, რომ ბოროვეცი საუცხოო კურორტია, ისე როგორც ჩვენში კისლოვოდსკი ან ბორჯომი. სოფიაში პაუზოვმა გვითხრა, ბოროვეცში შევხვდებითო. როგორც შემდეგ შევატყვეთ, ბულგარეთის მსახიობთა კავშირი დღეს იქ გვიწყობს მიღებას.

პაუნოვი და მსახიობთა კავშირის სხვა ხელმძღვანელები ადგილზე დაგვხვდნენ. ხელოვნების მუშაკთათვის განკუთვნილი სახლი მშვენიერ ადგილას ყოფილა. სულ ახლოს მდინარე ბისტრიცა მიჩუხჩუხებს. გარშემო წიწვიანი ტყეა. იმ ტყეში უამრავი მოცივი, ხენდრო და მარწყვიაო, გვეუბნებიან. ვათვალერებთ საცხოვრებელ კორპუსს, სადაც ზამთარ-ზაფხულ ისვენებენ და შრომობენ მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, დრამატურგები. ზოგიერთმა ჩვენგანმა ბოროვეცში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა. მასპინძლებმა მიგვიპატივეს, სწავთა-

შორის, სავსებით სერიოზულად, თქვენი მხოლოდ წინასწარ გვაცნობეთ ამის შესახებ.

...პლოვდივი სოფლის შემდეგ სიდიდით ბულგარეთის მეორე ქალაქია, სადაც 250 ათასზე მეტი მცხოვრებია. ამასთან პლოვდივი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც თრაკიელებმა დააარსეს და გორაკებზე გაშენებულ ციხე-სიმაგრეს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, სამგორი უწოდეს. მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ალექსანდრე მაკედონელის მამას, ფილიპე მეორეს დაუპყრია მთელი თრაკია, აქაური დასახლებისათვის ვალაჩი შემოურთქმას და ახალი სახელი — ფილიპოლისი უწოდებია. ისე როგორც მთლიანად ბულგარეთს, პლოვდივსაც გადაუტანია რომაელთა, ბიზანტიელთა და თურქთა ბატონობა, რაც ახლაც ამჩნევია ქალაქს.

ქალაქის ორი მთავარი ქუჩის გადაკვეთაზე დიდი ხანი არაა აღმოუჩენიათ ანტიური სტადიონი, რომლის ამფითეატრის რესტავრაცია დღესაც მიმდინარეობს. როგორც გვითხრეს, ქალაქის მესვეურები, არქიტექტორები და არქეოლოგები საგონებელში არიან, რადგან ამ უნიკალური ნაგებობის მუზეუმად გადაქცევა გამოიწვევს ქალაქის ცენტრალური ნაწილის ძირფესვიან რეკონსტრუქციას. ბალტიისპირეთის ქალაქებივით, აქაც თანადროულობა და ისტორია ორგანულადაა შერწყმული. მრავალსართულიანი, კომფორტული სასტუმროს გვერდით შენარჩუნებულია ძველი ქალაქის მთელი კვარტალი, ნამდვილი არქიტექტურული მუზეუმი. ვიწრო ქუჩები ქვის ფილებითაა მოკეპული. აივნიანა სახლები ამფითეატრივითაა განლაგებული გორაკის კალთებზე. აქვე შემორჩენილია რომაელთა ეპოქის ვალაჩი და ალყაფის კარები.

რადგან ცოტა დრო გვქონდა, მხოლოდ შორიდან შევაგლეით თვალი მდინარე მარიცის მარცხენა სარაპიროზე გაშენებულ საგამოფენო ქალაქს. ყოველწლიურად სექტემბერში ეს ქალაქი ცო-

ცხლებს, გამოფენაში მონაწილეობს მისაღებად აქ ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნის ფირმები. როგორც ყოველთვის, დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა პავილიონი, რომლის ექსპონატთა შორის ბევრჯერ ყოფილა სხვადასხვა სამრეწველო პროდუქტია ბათუმის მართ.

ბევრ თქვენგანს, ალბათ, მოუსმენია შესანიშნავი სიმღერა საბჭოთა ჯარისკაც ალიოშაზე, რომლის ძეგლიც ბულგარეთშია აღმართული ერთ-ერთ გორაკზე, როგორც ორი მოძმე ხალხის ერთობლივი ბრძოლისა და ამ ბრძოლაში დაცემულ გმირთა ხსოვნის სიმბოლო. ალიოშას ჩვენ პლოვდივში შევჩვდით და როცა ავდიოდით განმთავისუფლებელთა გორაკზე, ვმღეროდით სწორედ ამ სიმღერას. ალიოშას ფიგურა აგვირგვინებს საბჭოთა არმიის პატივსაცემად აგებულ მონუმენტურ ძეგლს. გვერდით კი დგას კიდევ ერთი ძეგლებური ძეგლი, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში დაცემულ რუს მოძმეთა მოსაგონრად აუგიათ მადლაერ პლოვდიველებს.

განმთავისუფლებელთა გორაკიდან ჩვენ გადავცქეროდით ხელისგულივით გადაშლილ, ელნათურებით გადაკმევებულ ქალაქს და თითოეული ჩვენგანი, ალბათ, ამ წუთას ფიქრობდა იმათზე, ვინც თავიანთი სიცოცხლის ფასად ჩაუყარა საფუძველი ამ მეგობრობას.

* * *

...პროგრამის მიხედვით ამ დღით სოფიაში უნდა გავემგზავროთ, მაგრამ შეგვეძლო კი ბულგარეთიდან ისე წასვლა, რომ არ მოგვენახულებინა ბაჩკოვოს, ანუ პეტრიწონის განთქმულა მონასტერი, რომლის არსებობა ლეგენდასავით გვსმენოდა. ამისათვის უთენია უნდა ადგეთო, გაგვფრთხილეს მასპინძლებმა. საკმაოდ დაღლილები ვიყავით, ძილი ყველაფერს გვერჩინა, ასეწოვრადის დიდებული სასტუმროს ასე მალე

მიტოვებაც გვენებოდა, მაგრამ ჩვენ მზად ვიყავით ყველა პირობის შესასრულებლად, ოღონდ თვალი შეგვევლო ჩვენი ერის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე საზღვარგარეთული ისტორიული ძეგლისათვის. ამიტომ იყო, რომ ყველანი დაუფიანებლად, დილის ექვსი საათისათვის სასტუმროს ჰოლში შევიკრიბეთ, ხოლო რამდენიმე წუთში ავტობუსები უკვე მიგვაქროლებდნენ ბაჩკოვოსაკენ.

მონასტერს რომ მივადექით და ალუყაფის ქოშარზე ამოვიკითხეთ რამდენიმე ენაზე ამოკვეთილი წარწერა, ეს მონასტერი აგებულია 1082 წელს ქართველი ძმების გრიგოლ და აბას ბაკურიანების მიერო, უკვე სხვა თვალით დავინახეთ ჩაისა წარმტაცი ხეობა, ირგვლივ აზიდული, მწვერვლებდათოვლილი მთები, იქედან მოჩუხჩუხე ჩანჩქერები და საგსებით რეალურად მოგვეჩვენა ვერსია, რომ ბაკურიანისძეებმა ეს ადგილი იმიტომ შეარჩიეს სავანის ასაგებად, რომ საქართველოს მიამსგავსესო.

გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენის სამსახურში მრავალგზის გამოუჩენია თავი ვაჭაყობით, სამხედრო ნიჭითა და გამჭირაობით ამისათვის უბოძებია იმპერატორის მისთვის დასავლეთის ჯარების მთავარსარდლობა და ვრცელი ტერიტორია. ეს ადგილი შეურჩევია მონასტრის ასაგებად. ჩვენ ეს ვიცოდით ისტორიიდან, მეცნიერული შრომებიდან, მაგრამ, როცა ყოველივე ცხადივით დავინახეთ და შევიგრძენით, ისე მოწიწებით გადავბიჯეთ კარიბჭეს, თითქმის ბაკურიანისძეები უნდა შემოგვხვედროდნენ თანამემამულეებს. მაგრამ ჩვენ ისე ადრე ვეწვიეთ მონასტერს, რომ ირგვლივ ჩამოჩუმოც არ ისმოდა, მხოლოდ ჩვენი ფეხის ხმა მოკირწყლულ ეზოში არღვევდა მყუდროებას. ვის მოუვიდა პირველად ეს აზრი, ახლა ძნელი დასადგენია, ალბათ, ყველამ ერთად გაიფიქრა, ან კიდევ გრძნობამ და გონებამ უკარნახა, შუა ეზოში შეიკრა მომდერალ ქალ-

კათა გუნდი და გაისმა დღობული „ნენ ხარ ვენახი“. ეს იყო ნამდვილი პიწი იმ ქართველ მამულიშვილთა სადიდებლად, ვინც შორს გაუთქვა სახელი საქართველოს, ბულგარელ თანამოძმეთა სამადლობელი, ვინც არ დაუკარგა შთამომავლობას ქართველ მოღვაწეთა ნამაგარი.

და მოხდა უცნაური რამ: ეზოს კარშემო აგებული შენობის აივნებზე გამოჩნდნენ აქაური ბინადარნი, შავსუდარიანი ქალები, წვერიანი მამაკაცები. გაოცებული შემოგვცქეროდნენ, ნათალია, ქართული სიტყვები გაუკებარი იყო მათთვის, მაგრამ გრძნობდნენ, ვმღვრდით ძველებურ საეკლესიო საგალობელს. ახალგაზრდა მორჩილი გვეახლა, თავდახრილი გვისმენდა, სიმღერა რომ დაემათავრეთ, მოკრძალებით გვეკითხა სადაურობა. გუთხარით, ვინც ვიყავით და საიდანაც ვიყავით. მორჩილი სწრაფად წავიდა და მალე დავინახეთ კიბეზე დინჯად ჩამომავალი მაგწვერა ბები. ყველა მოწიწებით შესცქეროდა, გზას უთმობდა. ჩვენთან მოვიდა, მოგვიხალა და გაგვიცნო, მონასტრის წინამძღვარი, ეპისკოპოსი ილარიონი გახლავართო. ვინაიდან აღრეა, ექსკუსიამძოლოები ჯერ კიდევ არ მოსულან, ნება მომეცით, საქართველოს შვილებს, ამ სავანის დამაარსებლების — ბაკურიანების თანამემამულეებს, ისიც ხელივწებების მუშაეებს, მე გაგიწიოთ მეგზურობაო. რა, თქმა უნდა, ეს დიდ პატივისცემად მივიჩნიეთ.

მამა ილარიონი მოკლედ მოგვიყვა სავანის აგების, მრავალგზის განადგურებისა და კვლავ აღდგენის ისტორია, ბაკურიანების მიერ აგებული მთავარი ტაძარი და კიდევ ერთი პატარა ეკლესია, გალავანს გარეთ, რომელსაც გრიგოლის საძვალეს ეძახიან, მეთოთხმეტე საუკუნეში თურქებს დაუბრუნებიათ. 1604 წელს ტაძარი კვლავ აღადგინეს და სწავლასა და დროს ფრესკებით მინათეს. გრიგოლ ბაკურიანის დროს სავა-

ნეში დიდძალი ქართველობა ცხოვრობდა. ახალგაზრდები ქართულ ენაზე სწავლობდნენ სასულიერო სემინარიაში. რომელიც შემდეგ აკადემიად გადაკეთდა. თანათან საენაე გადაიქცა ქართული ჯულტურისა და მეცნიერული აზროვნების მძლავრ კერად. ბერის ტანსაცმელში შემოსილი ქართველები იკლავდნენ ფილოსოფიის, ისტორიის, გრამატიკის, ასტრონომიის, გეოგრაფიის საკითხებს. წლების მანძილზე აქ მოღვაწეობდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი იოანე პეტრიწი (პეტრიწონელი), რომელიც მეთორმეტე საუკუნის დამდეგს დაიწყო აღმავლობის მიმართ გელაის აკადემიაში.

ამასობაში ექსკურსიამდლოც მოვიდა და მან დაგვატარა სავანის ყოველი კუთხე, გვიჩვენა ღვთისმშობლის ფასდაუფებელი ხატი, 1311 წელს ქართველ ძეგლს ათანასეს და ოქრობირს რომ მოუჭედიათ და სასწაულოქმედად იყო მიჩნეული. ეკლესიის გუმბათზე თვალი შეივალეთ ვერცხლის ჯვარს, რომელსაც ქართულად აწერია ერთადერთი, მაგრამ მრავალმეტყველი სიტყვა — „ჰლევია“. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ვამოჩენილი ბულგარელი მხატვრის ზაქარია ზოგრაფის დრესკებმა, რაც მეცხრამეტე საუკუნის პლოგდიველ მოქალაქეთა ყოფას, სავანის ცხოვრებას და რელიგიურ პროცესებს ასახავს.

ეტოვებდით სავანეს და ვფიქრობდით იმ ქართველებზე, ცხრა საუკუნის წინათ ზოგელად რომ დადგეს ფეხი ამ მიწას და სამშობლოდან ძალიან შორს წამოიწყეს დიდი ეროვნული საქმე, ჭირისუფლობდნენ ქართულ სიტყვას, წინ სწევდნენ ქართულ აზროვნებას. მთლად დაღიწიებული არ იქნებოდა მათი ცხოვრება. მეგობრებთან ერთად მტერიც ზევრი ეყოლებოდათ ძმებს ბაკურიანის ქედებსა და მათს თანამოაზრეებს. ანგარეასაც არ მიუყვანია ისინი აქ. გრიგოლს თავისი ურცხვეი ქონება მონასტრისათვის შეუწირავს და ისიც კი არ ღირსე-

ბია, რომ, დატოვებული ანდერძისმეორე პეტრიწონის საძვალეში დაელოდებოდნენ მო ბინა. იგი აქედან ძალიან შორს, ჯვრითა და ხმლით ხელში, დაღუპულა მტრებთან ბრძოლაში და, ალბათ, მისი უკანასკნელი საფიცარი იყო საქართველო, რომლის სადიდებლადაც ამდენი რამ გააკეთა. სავანეში იპოვა სასუფეველი გრიგოლის ძმამ აბასმა. მაგრამ მათ გარდა აქ იღვწოდნენ საქართველოს სხვა შვილებიც, რომლებსაც, ვინ იცის, რამდენი ღამე გაუტეხიათ ქართული ხელნაწერების გადასაწერად, ხატებსა და ქვევზე ქართული ასოების ამოსაკეთად. ბევრი მათგანის სახელი ისტორიას არც შემოუნახავს. მათ სადიდებლად ვიმდგრეთ ჩვენ ნოემბრის იმ წმინდა დღით ძველი ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

...შეუჩერებლივ მიჰქრია ჩვენი ატობუსები სოფლისაკენ. 250-კილომეტრიან გზაზე ერთხელ შეეჩერდით მხოლოდ დასანაყრებლად და მუხლის გასამართავად. ამკერად სხვა მხრიდან შევდით ბულგარეთის დედაქალაქში და მივადექით იმავე სასტუმროს — „მოსკოვს“, სადაც ორ დღეს უკვე მედო ბინა. ნომრებში განვლადით თუ არა, მაშინვე ქალაქში დავიფანტეთ. ეს დღე თავისუფალია, ზოგი თეატრში წასვლას გეგმავს, ზოგი მასპინძელი ჰყავს სოფელში და მასთან ერთად ათვალეერებს ქალაქს, ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ადგილებს, მაღაზიებში იძენს სუვენირებს, საჩუქრებს ახლობლებისა და მეგობრებისათვის.

ზღაგოვეგრაღის თეატრის მსახიობმა ელენე ჟანდოვამ, რომელმაც ბათუმში ყოფნისას ბევრი მეგობარი გაიჩინა, რამდენიმე კაცი გაგვაფრთხილა, საღამოთი გამოვივლით, სასტუმროში დამხვდით. მართლაც, ის-ის იყო, დადლილ-დაქანცულები სასტუმროში დავბრუნდით, ელენე გამოგვეცხადა. გვაჩქარებს, მანქანა ისეთ ადგილას დავაყენე, ალბათ, პეტრისსპექტორი უკვე მომდგარიაო. პატარა სპორტულ მანქანაში ყველანი

მოთავსდით. ელენე საჭეს უზის. ჩვენ ოთხნი ვართ, ახალგაზრდა მსახიობები — ცირა აბზიანიძე და სერგო კუნჭულია, ვარლამ ნიკოლაიშვილი და მე. ქალაქის ცენტრი გავიარეთ და წყნარ გარეუბანში გავედით, სადაც უმთავრესად ძველ-ბურთი ორი და სამსართულიანი სახლები დგას.

— ელენე, — ჰკითხა ცირამ, — სად მივდივართ?

— რა თქმა უნდა, ჩემთან, — გაიღიმა ელენემ, — ისე უნდა წახვიდეთ, ოჯახში არ უნდა მეწვიოთ!

ეს ისეთნაირად იყო ნათქვამი, ჩვენში რომ იციან. მივხვდით, აქაც „სამაგიეროს“ გვიხდიდნენ ბულგარელი მეგობრები. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდით, როცა ევროპული წესისაგან განსხვავებით სუფრა ქართული სიუხვით გაივსო და „რქაწითელისა“ და „ენისელის“ ბოთლებით დამშვენდა.

ელენეს მშობლები გველოდნენ. დედა ცნობილი არქეოლოგია, ფრიად განსწავლული ქალი, იტალიასა და საფრანგეთში მიუღია განათლება. მამა ბულგარეთის კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ბელადი იყო.

— ეს ორი დღეა ქართული სული ტრიალებს ჩვენს ოჯახში, — გვეუბნება ჟანდოვი, — წუხელ კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი იყო აქ, ვარნის კინოფესტივალის დამთავრების შემდეგ გვეწვია. ამ დღით გაფრინდებოდა სამშობლოში.

საუბარი თანამედროვე კინოს პრობლემებზე ჩამოვარდა. მასპინძელი კარგად იცნობს საბჭოთა კინოხელოვნებას, უნახავს საკმაოდ ბევრი ქართული ფილმი. რადგან თავიდანვე ჩვენი საუბარი გულწრფელად წარიმართა, ერთმანეთის სიამოვნებასა და ქათინაურებზე არ ვფიქრობდით, ჟანდოვმა პირუთენელად გაგვიმხილა, რა მოსწონს და რა არ მოსწონს ჩვენს ფილმებში; ყველაზე მეტად კინემატოგრაფი, ისე როგორც ხელოვნების სხვა დარგებიც, კერძოდ კინოჟურნალისტურას, ნამდვილი, დიდი

სიმაღლის გამოგონებული სემანტიკის შეცვლა. ბოლოდროინდელი ფილმებიდან ძალიან მოსწონებია ტარკოსკის „ანდრეი რუბლევი“.

რუბლევის ფრესკებზე, არქეოლოგიურ ხელოვნებაზე ჩამოვარდა სიტყვა და ვანე ჟანდოვმა მოიგონა რუსული ფერწერის შესანიშნავი ნიმუშები, ვლადიმერსა და სუზალაში რომ უნახავს; საქართველოში ყოფნაც გაიხსენა, ალბათ უფრო დიდი ხნით მომიხდება კიდევ ჩამოსვლა თქვენთან, რომ დაწვრილებით გავცინო სვეტიცხოველს, ვარძიას, ისტორიულ მუზეუმს, ქართველ არქეოლოგთა ბოლოდროინდელ აღმოჩენებს.

ჟანდოვების ბინაც ნამდვილ მუზეუმს ჩამოგავს. ძველებური ფრესკები, თიხის ჭურჭელი, სამკაულები მოჩანს კედლებზე, ყველა კუთხეში.

თავიდანვე შევეთანხმდით, ჩვენ ტაქსით დავბრუნდებოდით სასტუმროში. შუალამე გადავიდა, ბარემ არ გვინდოდა ამ შესანიშნავი ოჯახის მიტოვება, მაგრამ ხეალ აღრიანად ვიყავით ასადგომი. ტაქსის გამოძახებაც არ იქნებოდა მთლად ადვილი ამხელა ქალაქში. ელენემ დაგვაშველიდა, თქვენ არხეანად იყავითო, ყურმილი აიღო, ნომერი აკრძოდა და ვილიას დაელაპარაკა.

— არ იფიქროთ, რომ ჩვენთან ტაქსები იდეალურად მუშაობდნენ, — გვითხრა ელენემ ღიმილით. — მე მხოლოდ, სხვათა შორის, ვუთხარი მორიგეს, რომ სტუმრად მყავს ქართველები საბჭოთა კავშირიდან.

მართლაც, ხუთიოდე წუთში ქუჩიდან მანქანის მოკლე სიგნალი გაისმა.

— დაიმასხვრეთ ეს ქუჩა და ეს სახლი, — მიგვითითა ჟანდოვმა აბრაზე, რომელზეც ეწერა — „პოტიომკინის 5“. — აქ თქვენ ყოველთვის შეგხვდებიან, როგორც ყველაზე ახლობელ ოჯახში.

* * *

14 ნოემბრის დღია. მატარებელი სოფია — მოსკოვი უკვე ჩამოდგა. დგება

განშორების ჟამი. ერთმანეთში ირევა
სტუმარი და მასპინძელი, წამსვლელი და
გამცილებელი. ეს ის წუთებია, როცა
სამშობლოში დაბრუნების სიხარულს
ერთვის მეგობრებთან განშორების ნალ-
ელი. ასეთ დროს ყოველთვის რჩება
რაღაც უთქმელი, დასაბარებელი, ჩასა-
წერი. გვირიგებენ ფოტოსურათებს,
სხვადასხვა დროს რომ გადაუღიათ ჩვე-
ნთვის. მასპინძლები გვამარაგებენ პაყე-
ტებად შეკრული საგზლით. ვიღაცამ სი-
მღერა წამოიწყო. გაიბა გამოსათხოვარი

ფერხული. ტელეოპერატორები იღებენ
მომავალი ფილმის ბოლო კადრებს. ვაგ-
ზლის დიქტორი აცხადებს, რომ მატარე-
ბელი სოფია-მოსკოვი ორი წუთის შე-
მდეგ გავა პირველი ლიანდაგიდან. ავ-
დივართ ვაგონებში. მატარებელი ნელ-
ნელა დაიძრა. უკან დარჩა ბაქანი,
თვალს მოეფარნენ ჩვენი გულითადი
მასპინძლები, მშვიდობით! არა — ნახ-
ვამდის! ჩვენ ისევ შეეხვედებით! მომავალ
შეხვედრამდე, ბულგარეთო!

პიოლავა მისკაიჩიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

გატეხილი ყამირი

ვეჭვობ, რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის გარშემო იმდენი ხმაური, სჯა-ბაასი და დიამეტრალურად საწინააღმდეგო ახრი წარმომადგენელი, რაძდენიც სიმბოლიზმის გარშემო წარმოიშვა. ეს აზრთა შეხლა-შემოხლა არსებობდა მაშინ, როდესაც დაიბადა ეს ლიტერატურული სკოლა, არსებობდა მისი (ამ სკოლის) დიდების ხანაში და განაგრძობს არსებობას დღესაც. უკვე ეს ფაქტი შეტყვევებს იმაზე, რომ სიმბოლიზმი არც შემთხვევითი მოვლენა იყო ლიტერატურაში, არც მხოლოდ ერთი გარკვეული მწერალთა წრის კაპრიზი და არც უკვალოდ გარდასული და „ამაოდ დამშვრალი“.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ლიტერატურის არსისა და დანიშნულებისადმი სრულიად განსხვავებული, ახლებური

დამოკიდებულება წარმოიშვა, სადაც ძრავალ ღირებულებათა შორის გადაფასდა ლიტერატურულ სკოლათა ღირებულებაც, სიმბოლიზმის მიმართაც ახალი პოზიცია უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამას პოლითხოვდა ჩვენი ეპოქის იდეოლოგია და ესთეტიკური მოწყამსი. ფაქტიურად ეს ასედაც მოხდა, მაგრამ მოხდა ძალიან თავისებურ პირობებში. ცნობილია, რომ საქართველოში (ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ საქართველოს ვითარება გვანტერესებს) ცისფერყანწელების მოღვაწეობა არა თუ გაგრძელდა, არამედ საკმაოდ განვითარდა კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ გაზეთ „ბარეკადის“ გამოცემა მათ დაიწყო 1922 წელს, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების პირო-

ბებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი სიმბოლისტები არ ფიქრობდნენ პოზიციების დათმობას. პარალელურად ამისა, სიმბოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელმაც თავი იჩინა 1915 წელსვე, როდესაც ამ მიმართულებას მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა ჩვენში და ოფიციალურად ორგანიზებული ჯგუფის სახით არც არსებობდა, გამწვავდა.

მე აქ არ შევუდგები ამ გამწვავებული ბრძოლის ილუსტრირებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ბრძოლას თავდაპირველად მეტად ცალმხრივი, ტენდენციური ხასიათი ჰქონდა. ბძრლოს ამოსავალი იყო დევიზი: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“. გავიდა ხანი და სიმბოლიზმსა და სიმბოლისტებს ერთგვარი „ტაბუ“ დაეღა. მათ ან არ იხსენიებდნენ, ან იხსენიებდნენ მხოლოდ როგორც შემთხვევითსა და სამარცხვინო რეციდივს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. კიდევ გავიდა ხანი, წარსულის მოვლენებისადმი მიდგომამ უფრო ობიექტურ ნიადაგზე დგომის უფლება მოიპოვა და შეიქმნა სრულიად საწინააღმდეგო ვითარება: სიმბოლიზმში ეძიებენ, ავლენენ და აღასტურებენ მხოლოდ იმ დადებითს, რაც ამ მიმართულებამ მართლაც დაგვიტოვა მემკვიდრეობად. ფაქტიურად სიმბოლისტთა ლიტერატურული პროდუქცია ფასდება მხოლოდ მისი, ამ პროდუქციის, ფორმის მაღალი კულტურის თვალსაზრისით.

და კიდევ ერთი: დღემდე დავის საგანს წარმოადგენდა კითხვა არსებობს თუ არა ქართული სიმბოლიზმი, როგორც დამოუკიდებელი მოვლენა, თუ იგი მხოლოდ უცხო ნერგის გადმოსახლებაა ხელსაყრელად გაფხვიერებულ ქართულ ნიადაგზე?

მამასადამე, ამ მიმდინარეობის ისტორიისა და არსის ობიექტური, ყოველმხრივი და ღრმად მეცნიერული შეფასება მარქსისტულ - ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციიდან ჯერ კიდევ საკვლევ საქმეს წარმოადგენდა.

აი, ახლა კი მივადექით ნელი დუმბაძის წიგნს, რომელიც გამოსცა „საბჭოთა აჭარამ“ 1973 წელს სათაურით „ქართული სიმბოლიზმი“.

ნამდვილად ღროული და საჭირო წიგნია. ავტორმა სწორედ იმ ძირეული პრობლემების გადაწყვეტა იდო თავს, რაც სიმბოლიზმის სწორი შეფასების კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო. პირველ რიგში, ესაა დადგენა ტერმინისა „ქართული სიმბოლიზმი“.

წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ მე პირადად არ მიმაჩნია სიმბოლიზმი (ქართულ სინამდვილეში) ორგანულ მოვლენად და ამიტომ მირჩევნია ტერმინი „სიმბოლიზმი საქართველოში“. ამის მიუხედავად, მეტად საინტერესო ჩანს ავტორის ძიება სიმბოლიზმის ჩასახვა-განვითარების იმ სოციალ-პოლიტიკური თუ იდეოლოგიური საფუძვლებისა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში ჩვენი

საუკუნის ათიან წლებში. უდავოა ქართველი სიმბოლისტების იდეური კავშირი ფედერალისტებისა თუ შენევეიკების ეროვნულ პლატფორმასთან. ავტორი საინტერესო ექსკურსს აკეთებს ამ პლატფორმის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ისტორიის წარმოსახვისას და სწორად პოულობს საერთოს ამ პლატფორმასა და ცისფერყანწელების თეორიულ დებულებებს, თუნდაც, მათ მაიიფესტ „პირველქმას“ შორის. ირომაში ფართოდ არის გაშუქებული ის გამწვავებული სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობებიც, რომელთა საფუძველზე საზოგადოების ერთ ნაწილს იდეური დაბნეულობა და პერსპექტივის გრძნობის დაკარგვა იპყრობს.

გონივრულად, მარქსისტული პოზიციების ცოდნითა და გამოყენებით, მოგვითხრობს ავტორი სიმბოლიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, შექმნის წინაპირობებს საფრანგეთში. მართლაც ეს მიმართულება შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ იმპერიალიზმის ეპოქის, იდეოლოგიური კრიზისის გამოვლინებად ესთეტიკურ აზროვნებაში. ამავე პოზიციიდან ხსნის ნ. დუმბაძე საქართველოში სიმბოლიზმის გაჩენას და ასახელებს შესაბამის ფაქტორებს. ასეთი ფაქტორი, ძირითადად, სამია: სოციალ-პოლიტიკური სიტუაციისა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის საერთო კრიზისში, შინაგან წინააღმდეგობათა

გამწვავებაში; ფილოსოფიური იდეალიზმის მოძალბა საქართველოში; და ეროვნული — „ერთიანი ნიადაგის“ ა. ჯორჯაძისეული პლატფორმის ერთგვარი პოპულარობა ამ ხანებში.

ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, რომ სიმბოლიზმის ქართულ ნიადაგზე წარმოშობის კანონზომიერების თეორიას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ვერ გავიზიარებთ უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ სიმბოლიზმი იმპერიალიზმის პირმშოა, იგი იკვებება კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიის იმ მთავარი წინააღმდეგობებით, რომელნიც გამოხატულებას პოულობენ იდეოლოგიის სფეროშიც. ეს ფაქტი ნ. დუმბაძემ კარგად იცის და უთითებს კიდევ იქ, სადაც დასავლური სიმბოლიზმის წარმოშობას ახასიათებს. მაგრამ მოვლენები, რომლითაც წიგნის ავტორი ცდილობს განაპირობოს საქართველოში სიმბოლიზმის სათავეები, არის რუსეთის იმპერიალიზმის კრიზისის მაუწყებელი და არა ქართული სინამდვილის პირმშო.

რუსეთის იმპერიის იმპერიალისტური სისტემის განვითარებაში ნახევრადფეოდალური საქართველოს კუთარი როლი იმდენად მცირე იყო, რომ ზედმეტია ლაპარაკი მის უნარზე, განეპირობებინა იმპერიალიზმისათვის ტიპური, რაიმე პრინციპული ხასიათის პოლიტიკური, ეკონომიური თუ ფილოსოფიური მოვლენის წარმოშობა.

ყველა ის ფაქტორი, რომელსაც ნ. დუმბაძე ასახელებს ქართული სიმბოლიზმის წარმოშობის საფუძვლად, ჩვენის აზრით, არის ყურადსაღები, ნამდვილად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთაც განაპირობებს სიმბოლიზმის იმპორტი საქართველოში. რომ არა ეკონომიური სიღატაკე, იდეოლოგიური დაბნეულობა, რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული უსასოობა, ალბათ, ჩვენში სიმბოლიზმი ასე ფართოდ ვერ გავრცელდებოდა.

ის გარემოება, რომ საქართველოში სიმბოლიზმის შემოსვლას ჰქონდა თავისი განმაპირობებელი, საერთო-პოლიტიკური და კონკრეტულ-ეროვნული მიზეზები, საფუძველი გახდა იმისა, რომ სიმბოლიზმმა ჩვენში ეპიგონური ხასიათი კი არ მიიღო, არამედ გარკვეული თავისებურებებიც გამოავლინა, ევროპის სიმბოლიზმს შეუპირისპირდა კიდევაც ეროვნულ პრინციპებში.

ხოლო ის გარემოება, რომ სიმბოლიზმი არ ჩასახულა (და არც შეიძლება ჩასახულიყო) ქართულ სინამდვილეში, ყველაზე კარგად თავს იჩენს იმ უტყუარ ფაქტში, რომ არც ერთ ქართველ სიმბოლისტს არ წარმოუქმნია სიმბოლისტური ფილოსოფიიდან და ესთეტიკიდან გამომდინარე არც ერთი დამოუკიდებელი პრობლემა. ყველა ეს პრობლემა მზა სახით შემოდის საფრანგეთიდან (ზოგჯერ რუსეთის გზით) და თავისებურ პოეტურ სახეებსა და

ფერებში ყალიბდება ქართულ სიმბოლისტურ ლექსში.

მეორე ძირეული პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრილიყო ისეთ პრომასი, როგორიცაა სარეცენზიო შრომა, ესაა ცისფერყაასელთა მოღვაწეობის ლიოებულების საბოლოო დადგინება: მართლა „ამაოდ დაშვრა“ ეს უნიკიერის პლეადა ქართველი აოეტებისა (როგორც წლების განმავლობაში ფასდებოდა იგი), თუ მართლა ყველაფერი, რაც მათ შექმნეს, პროგრესული იყო (როგორც ხშირად წარმოადგენენ ამ ბოლო ხანებში) და წარსული შეფასება მცდარია და ტენდენციური?

აი, აქ, მე ვფიქრობ, ავტორს მეტი თანადროულობა უნდა გამოეჩინა.

ნ. დუმბაძე სავსებით მართალია, როდესაც წერს, რომ ახალი სალექსო ფორმები, ზომები და პოეტური სახეები, ჩვენმა სიმბოლისტებმა, ძირითადადში მაინც, ანტირეალისტური და, ხშირ შემთხვევაში, რეაქციული იდეების საძოვად გამოიყენეს. აქ ავტორის პოზიცია სწორია და კარგად დასაბუთებულის ფაქტიური მასალის საფუძველზე. მაგრამ განა აზრის გამოხატვის პოეტური სიმაღლე, რომელსაც მიაღწიეს ცისფერყაასელებმა, არ დარჩა მემკვიდრეობას, როგორც სხვა, პროგრესული, აზრის გამოხატვის ბრწყინვალე საშუალება? განათვით მათაც ოციანი წლების და-

სასრულს ამ ახალი ფორმებით არ უმღერეს თანამედროვეობას?

მე მესმის ნ. დუმბაძის ძირითადი თეზისი, რომ ფორმისა და შინაარსის გათიშვა შეუძლებელია და როდესაც ვკითხულობთ „ქალღმის ქალაქს“, „ფარშევანგებს ქალაქში“ თუ „ბოჰემის მონოლოგს“, ჩვენ მათ ვითვისებთ, როგორც სიმბოლისტური ფილოსოფიისა და პოეტური ხედვის ხიზს და, ამდენად მიუღებელს ჩვენთვის, ჩვენი მსოფლმხედველობითი პოზიციებიდან. მაგრამ ისიც, ხომ ცხადია, რომ ფორმა ასე თუ ისე მაინც პასიური მხარეა მხატვრული თხზულებისა და მას შემდეგ, რაც ის შეიქმნა (და ის შექმნეს სწორედ სიმბოლისტებმა), მან დიდი სამსახური გაუწია ქართული ლექსის კულტურის განვითარებას.

მე არ მინდა ვთქვა, რომ ნ. დუმბაძეს ცისფერყანწელთა ნოვატორობა ლექსის ფორმაში იგნორირებული აქვს, მაგრამ არ ანიჭებს ამ გარემოებას იმ დიდ როლს, რომელიც მან (ამ გარემოებამ) ითამაშა.

მე ვფიქრობ, რომ, თუ სარეცენზიო წიგნის ნაკლოვან მხარეზე ვილაპარაკებთ, იგი მხოლოდ ამ საკითხშია საძიებელი. სხვა თვალსაზრისით, ავტორს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის იმ დიდი შრომისათვის, რომელიც გაუწევია და იმ საინტერესო გამოკვლევისათვის, რომელიც ამ შრომის შედეგად მივიღეთ.

დღეისათვის ჩვენ გვაქვს გამოკვლევები ტიციაა ტაიფაზე, ანუ ოლო იაშვილზე, ვალერიან გუგუშვილი იაშვილზე და სხვა სიმბოლისტებზე. ზოგ მათგანში (კერძოდ, ლ. ავალიანის საკანდიდატო შრომაში „აოლო იაშვილი“) შესანიშნავადაა წარმოდგენილი ცისფერყანწელთა ორდების ისტორია, გასაღისებულია უფრო ვრცლად და დაწვრილებითაც, ვიდრე სარეცენზიო წიგნში თითოეული ამ აოეტის მოღვაწეობა, რაც სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ძალიანობაში თუ რას წარმოადგენდა ეს მიმართულება ჩვენს სინამდვილეში, რა ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა მისი არსებობა, რა თავისებურებებით ხასიათდება იგი (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიტერატურული მიმართულების ეროვნული სახის ჩვენების დროს), — დღემდე არ ყოფილა წარმოდგენილი.

ნ. დუმბაძის შრომა ცხადყოფს იმასაც, რომ სიმბოლიზმი ქართულ სინამდვილეში სწორედ თავისი ნაგვიანევი წარმოშობის გამო გარკვეულად ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს, იწოვს თავის თავში მრავალ სხვა „იზმის“ მონაცემს. ამავე ნაგვიანევი წარმოშობის წყალობით მისი განვითარება თანხვედრა რევოლუციის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდს, რაც ყოველგვარ საფუძველს აცლის მის არსებობას და იგი იწყებს დაშლას.

შრომის დიდ ღირსებას წარმოადგენს ისიც, რომ ავტორის ყო-

ველი დებულება მკვეთრი, ნათელი და კარგად დასაბუთებულია. მოხმობილია დიდძალი მასალა ძნელად ხელმისაწვდომი ან ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული პერიოდული გამოცემებიდან თუ წიგნებიდან, ეპისტოლური მემკვიდრეობიდან და სხვ.

სიმბოლიზმის ისტორია, თეორია და პრაქტიკა ქართულ სინამდვილეში, ალბათ, კიდევ ბევრჯერ

გახდება კვლევისა და აზრთა შეკიდების წყარო, რამდენადაც ეს საკითხები რთულია და მრავალმხრივი. ერთი შრომა, თუნდაც დიდი სიყვარულითა და ნიჭიერად გაკეთებული (ნ. დუმბაძის წიგნს ჩვენ ასეთად ვთვლით), ვერ ამოწურავს საკითხს. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ სარეცენზიო წიგნი მკვიდრად ნაგები საძირკველია, რომელზედაც აიგება შემდგომი კვლევის შენობა.



აბაღ სუაგუდაძე

ახალი მასალები ბათუმში ალ. წულუკიძის მოღვაწეობის შესახებ

მე-20 საუკუნის დამდეგისათვის ბათუმს რევოლუციური მოძრაობის დიდი ტრადიცია ჰქონდა. აქ ჯერ კიდევ 1890-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა მუშათა პირველი არალეგალური ჯგუფები ეგნატე ნინოშვილის, მიხა ცხაკაიას, ძმების ბესარიონ და გერონტი კალანდაძეებისა და სხვების მეთაურობით. ჯგუფების მუშაობას ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა. ამის მიუხედავად მათ, თავის დროზე, დიდი როლი შეასრულეს; დააჩქარეს პროლეტარიატის გათვითცნობიერება და მასში სოციალისტური იდეების შეტანა. ასეთი ჯგუფები, საერთოდ, „სოციალიზმისა და მუშათა მოძრაო-

ბის განვითარების აუცილებელი საფეხური იყო“.¹

1895 წელს ქართველმა და რუსმა სოციალ-დემოკრატებმა (გრიგოლ სოლორგაშვილი, გიორგი ფრანჩესკი, კარლო ჩხეიძე და სხვ.), ბათუმში შექმნეს პირველი მარქსისტული წრე, რომელიც მიზნად ისახავდა „მუშათა მღელვარების გაღვივებას მიმდინარე პერიოდში და მეფის მონარქიული წყობილების დამხობას შორეულ მომავალში“.²

წრემ დიდი მუშაობა გასწია საქართველოში მარქსიზმის პროპაგანდისათვის. კერძოდ, პირველად საქართველოში, 1897 წელს, ჰექტოგრაფიულად დაბეჭდა გრ. სო-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოცემა, ტ. 13, გვ. 120.

2 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგ შემოკლებით: სსსა), ფ. 31, ს. 166, ფურც. 140.

ლორაშვილის მიერ ქართულად თარგმნილი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (პირველი თავი მთლიანად, დანარჩენებიდან კი — ნაწყვეტები),³ გაამრავლა კ. მარქსის ფოტოგრაფიული სურათი, „ქემოიტანა და გაავრცელა ვ. ი. ლენინის ადრინდელი ნაშრომები („ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, „ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო“ და სხვ.), ერთ-ერთმა პირველმა იდღესასწაულა მაისობა და ა. შ.

1898 წლის დამდეგს პოლიციამ მიაკვლია წრეს და დაარბია. ამის შემდეგ არალეგალურ-რევოლუციური მუშაობა აქ შესუსტდა. ამით ისარგებლეს „მესამე დასის“ მეუმრავლესებმა და ხელთ იგდეს ბათუმის მუშათა ხელმძღვანელობა.

ასეთ ვითარებაში, 1900 წლის ზაფხულში ბათუმს ჩამოვიდა საქართველოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მარქსიზმის თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე. მის წინაშე მეტად რთული საკითხი იდგა. საშას უნდა დაეძლია მეუმრავლესენი, გაეთავისუფლებინა მუშები მათი გავლენისაგან და შემოეკრიბა ისინი თავის გარშემო, გაეჩაღებინა არალეგალური მუშაობა და შეექმნა ნამდვილი რევოლუციური ორგანიზაცია.

ამ პასუხსაგები ამოცანის მოგვარება ალ. წულუკიძემ მუშათა საკვირაო სკოლიდან დაიწყო და სავსებით სწორადაც. ნ. კრუპსკაიას სიტყვით „იმ ხანებში საღამოს საკვირაო სკოლა ყოველდღიური ცხოვრების, შრომის პირობების... მასების განწყობილების ფართოდ გაცნობის საუკეთესო საშუალება იყო“. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები „სკოლაში იმისათვის დადიოდნენ, რომ დაკვირვებოდნენ ხალხს და აღენიშნათ ვისი მიმხრობა და ჩაბმა შეიძლებოდა ორგანიზაციაში“.⁴

პირველი საკვირაო სკოლები ბათუმში 1896-1897 წლებში დაარსდა.⁵ რადიკალურად განწყობილი ინტელიგენტები მუშებს აქ წერა-კითხვას ასწავლიდნენ და თან სხვადასხვა საკითხებზე ლექციებს უკითხავდნენ. 1900 წლის გაზაფხულზე მუშებისათვის ასეთივე სკოლა გაიხსნა ქართული სკოლის შენობაში, მაგრამ აქ მეტისმეტი სივიწროვე იყო (სკოლას 200-მდე მსმენელი ჰყავდა)⁶ და მალე ბარცხანაში გადაიტანეს. ამის შესახებ დავით კლდიაშვილი

⁴ კრუპსკაი, ვ. ი. ლენინი სახალხო განათლების შესახებ, თბილისი, 1936, გვ. 8.

⁵ გრ. ბაბილოძე, სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1967), ბათუმი, 1968, გვ. 61-63.

⁶ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი (შემდეგ შემოკლებით: მლისფა), ფ. 8, ს. 53, ფურც. 143.

3 იქვე, ს. 167. ფურც. 248.

წერდა: „როტშილდის ქარხანას ძუშების სასადილოსათვის ჰქონდა აგებული ფიცრული და აქ გაიმართა საკვირაო სკოლა... აუარებელი ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბარი. რადდენჯერ ვყოფილვარ ამ სკოლაში და ყოველთვის გაოცებული ვრჩებოდი, როცა ვხედავდი რა ხალხით, რა გატაცებით ეკიდებოდა ამ სკოლას ეს ხალხი, რომელიც საღამომდე ქარხანაში მუშაობდა... და დაუსვენებელი ისევ მორბოდა სკოლაში. საკვირაო ერქვა სკოლას, მაგრამ მეცადინეობა კვირა დღეების გარდაც იყო“.⁷

ალ. წულუკიძე ამ სკოლასთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, აქ მასწავლებლობდნენ ძესამედასელები, მეორე, რაც მთავარია, მუშათა უბანში შედარებით ადვილი იყო პროლეტარული მასის გაცნობა და დაახლოვება, იმის გაგება თუ „ვისი მიმხრობა და ჩაბმა შეიძლებოდა ორგანიზაციაში“, ან არალეგალურ-რევოლუციურ მუშაობაში. სწორედ ამ სკოლაში უნდა წაეკითხა სამას ლექციების ის ციკლი, რომელიც დღეს ცნობილია სახელწოდებით „რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფურცლები“. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ავტორის მსჯელობის

7 დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, იხ. მოთხრობები და პიესები, თბილისი, 1947, გვ. 779 (ხაზგასმა ჩვენია — ა. ს.).

ლოგიკური განვითარება, არამედ განსახილველი საკითხების გამართლებული გადმოცემაც. ჩანს, ალ. წულუკიძეს საგანგებოდ უზრუნვია, რომ მცირე გახათლების მქონე მუშებისათვის გასაგებად მოეთხრო პოლიტიკონომიის ურთულესი საკითხები.

ალ. წულუკიძის ლექციებმა და გაკვეთილების შემდეგ „ერთგვარმა საუბარმა“ მებრძოლი სულისკვეთება შეიტანეს საკვირაო სკოლის ცხოვრებაში და დააჩქარეს მუშათა რევოლუციური გათვითცნობიერება. ბარცხანის უბნის ჟანდარმი ჯაყელი, რომელიც ფარულად თვალყურს ადევნებდა სკოლის საქმიანობას, უფროსისადმი პატაკში აღნიშნავდა, „ეს საკვირაო კი არა, რევოლუციური სკოლა არისო“.⁸

საგულისხმოა, რომ ალ. წულუკიძის ლექცია-საუბრები რსდმპ ბათუმის კომიტეტმა პროპაგანდისტული მიზნებითაც გამოიყენა და 1902 წელს ცალკე პროკლამაციებად დაბეჭდა თავის არალეგალურ სტამბაში (სულ იყო 12 ფურცელი, რომლებიც შემდეგ ბროშურად აუკინძავთ. დღემდე შე-

8 სკოლის მსმენელის ივ. მგელაძის სიტყვით „ალექსანდრე წულუკიძე გვასწავლიდა პოლიტიკურ ეკონომიას. ძალიან ფრთხილად იქცეოდა, ხშირად იკითხავდა მისი ნაღაპარაკები გასაგებია თუ არა“ (მლისფა, ფ. 8, ს. 33, ფურც. 110, ხაზგასმა ჩვენია — ა. ს.).

9 ბათუმის რევოლუციური მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 10/8, ფურც. 9.

მორჩევილია 11 საუბარი, მე-12 კი არსებობდა).¹⁰

საკვირაო სკოლის გარდა მშრომელთა გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიოთეკებისა და ქოხ-სამკითხველოების გახსნას. ამ მხრივ სათანადო ნაბიჯი გადადგეს ალ. წულუკიძემ და ფილიპე შახარაძემ. მათი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1901 წლის გაზაფხულზე დაარსდა სამკითხველო-ბიბლიოთეკა. იგი მდებარეობდა „ნურიაში (ნორიოს ტბის, ახლანდელი პიონერთა პარკის მიდამოები — ა. ს.) და მუდამ საესე იყო მკითხველი ხალხით“.¹¹ ის „საუბრები“, რომელიც საკვირაო სკოლაში გაკვეთილების შემდეგ იმართებოდა, ბიბლიოთეკის ორგანიზატორებს და მესვეურებს აქაც უნდა გაეგრძელებიათ. მართალია, საჯაროდ ეს რამდენადმე სარისკოც იყო, მაგრამ ლიტერატურულ და პოლიტიკურ თემებზე, ან წაკითხული წიგნების გარშემო საუბრები, თავისი შედეგებით, გაწეულ შრომას უხვად ანაზღაურებდა.

სხვათა შორის, ამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდას ალ. წულუკიძე ფიქრობდა ამხანაგობა „ცოდნის“ საგამომცემლო საქმიანობის გაფართოების ბაზაზეც. ეს საზოგადოება 1899 წელს და-

არსდა მესამე დასის ინტელიგენციასა და მისხად ისახავდა მკითხველთა გათვითცნობიერებისათვის საჭირო ე. წ. იაფფასიანი წიგნების გამოცემას. მათუმა ჩამოსვლისთანავე საძა გახდა „ცოდნის“ წევრი, „ყოველთვია ესწრებოდა მის კრებებს“ და „მხურვალე მონაწილეობას იღებდა საგამომცემლო საქითხების გაოკვევაში“. ალ. წულუკიძე დიდ ზოოსოვნებას უყენებდა აღნიშნულ საზოგადოებას და ფიქრობდა, რომ სათანადო ლიტერატურის გვერდით საჭირო იყო პოლიტიკური, ეკონომიური, სოციოლოგიური, ისტორიული და საბუნებისმეტყველო დარგებიდან „მეცნიერულად დასაბუთებული“ ნაშრომების გამოცემა. დღეს, — ამბობდა იგი, — ისე გაიზარდა ინტერესი მეცნიერებისადმი, რომ მისი ნაყოფი, მკირედი სახით მაინც, აუცილებლად უნდა მივაწოდოთ ხალხსო. სწორედ საშას რჩევით დაბეჭდა „ცოდნამ“ ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „ქრისტიანეს“ გვერდით რუბაქინის ნაშრომი „ბუნების საოცარი მოვლენები“ (მთარგმნელი სეგ. ჯუღელი), ბიკოვის გამოკვლევა „ამბები ინგლისის ისტორიიდან“ (მთარგმნელი კ. ჩხეიძე)¹² და სხვ.

ამავე დროს ალ. წულუკიძე დიდ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა ინტელიგენტებშიც. საზოგადო მოღვაწე, სტომატოლოგი ნესტორ ბერძენიშვილი (ისტორიკოს ნ. ბერძენიშვილის ძმა), რო-

10 ალ. წულუკიძე, თხზულებანი, თბილისი, 1967, გვ. 406, შენიშვნა.

11 დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 778.

12 მლისვა, ფ. 8, ს. 55, ფურც. 74-75.

მელიც ახალგაზრდობაში ალ. წულუკიძესთან ერთად მუშაობდა ბანკში, თავის მოგონებაში წერს: საშას „კეთილმა ხასიათმა ისე გამათამაშა, რომ ორჯერ ბინაზეც ვესტუმრე. იგი ძალიან ეხმარებოდა ახალგაზრდებს რჩევა-დარიგებით თუ წიგნებით. პირველად ბოგდანოვისა და კანტის ნაშრომები გამოვართვი. ერთხანს გულმოდგინედ ვუკირიკტე კენიგსბერგელ ფილოსოფოსს, მაგრამ საჩემო ვერაფერი დავაციდინე და რამდენიმე ხნის შემდეგ დავუბრუნე.

— მოგეწონა? — მკითხა საშამ ეშმაკურად.

— ძალიან ძნელია, — ვუპასუხე დარცხვენით.

— ძნელია, მაგრამ თუ კაცი მოინდომებს, დაუძლეველი არაფერია“.¹³

ამ მამა-შვილურმა დარიგებამ ნაყოფი გამოიღო და საშას ბათუმელი შეგირდი უფრო მხნედ შეუდგა მეცადინეობას. უთუოდ ამის გამო იყო, რომ ნესტორ ბერძენიშვილიც და სხვებიც შემდეგ აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლებში.

კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად ალ. წულუკიძე პრაქტიკულად იღვწოდა ბათუმის პროლეტარიატის

ორგანიზაციული შეკავშირებისათვის. სკოლის მოწინავე და სახელმძღვანელების სილიბისტროლომჯარიას, აორფილე ქურიძისა და საირიღონ დოხდუას ძეშვეობით იგი დაუკავშირდა როტშილდის, მანთაშევისა და სიდუორდის საწარმოების მუშებს და შეუდგა არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მათ მომხადებას. არსებითად ეს იყო პროპაგანდიდან მასობრივ-პოლიტიკურ აგიტაციასა და ბრძოლაზე გადასვლის დასაწყისი, რითაც ბათუმის პროლეტარული მოძრაობა განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აღიონდა.

ალ. წულუკიძის პრაქტიკული საქმიანობიდან აღსანიშნავია წრეობრივი მუშაობა. უკვე 1901 წლის ზაფხულში შეიქმნა მუშათა პირველი არალეგალური წრე. პარტიის მეორე ყრილობაზე წარდგენილი რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულა, რომ იგი დააარსა „ერთმა პროპაგანდისტმა, სოციალ-დემოკრატმა“.¹⁴ წრეში, ჟანდარმერიის ცნობით, ერთიანდებოდნენ ბათუმის საავადმყოფოს ფერშალი ნ. ჩიჩუა, „სასულაო სიმადლის გურული, რომლის გვარი დაუდგენელია“, მესტამბე ასოთამწყობი სილიბისტრო თოდრია, „პასეკის ქარხნის მუშა კონსტანტინე კანდელაკი და ხუთი მისი ამხანა-

¹³ ი. სიხარულიძე, რამდენიმე ეპიზოდი ალექსანდრე წულუკიძის ცხოვრებიდან. გაზ. „კომუნისმის განთიადი“ (ჩოხატაური), 12. 12, 1968.

¹⁴ რსდმპ მე-2 ყრილობის ოქმები, გვ. 681 (რუსულ ენაზე).

გი“.¹⁵ დაახლოებით ამ პერიოდში ასეთივე „წრეები ჩამოყალიბდა გოროდოკსა და მანთაშევის ქარხანაში“.¹⁶

არქივის მასალებში მითითებული არაა წრეების ორგანიზატორის ვინაობა, მაგრამ „სოციალ-დემოკრატი, პროპაგანდისტი“ რომ აღექსანდრე წულუკიძეა, ეს ფაქტია. საქმე ისაა, რომ საშა იყო მაშინ ბათუმში მოღვაწე ერთადერთი რევოლუციონერი მარქსისტი, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის გზას ადგა. და თუ მისი გვარი დოკუმენტებში მოხსენებული არაა, ეს, ცხადია, კონსპირაციის შედეგია.

წრეობრივი მუშაობის გაშლამ დააჩქარა მუშათა ორგანიზაციული დარაზმვა და არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ჟანდარმერიის პოლპოლკოვნიკი შაბელსკი 1901 წლის ნოემბერში კიდევ აღნიშნავდა: „უკანასკნელ ხანს შეიპყრევა ბათუმის მუშების პოლიტიკური გამოცოცხლება. აგენტურის ცნობით, ისინი ხშირად იკრიბებიან თბილისელი ინტელიგენტის თავად აღექსანდრე გიგოს ძე წულუკიძის ბინაში და მსჯელობენ არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გზებზე და საშუალებებზე. 1901 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე როტში-ლდისა და მანთაშევის საწარმო-

ებში მომხდარი არეულობა ამ მხრივ ვნე საუბრების უშუალო ნაყოფია“.¹⁷

წრეების შექმნა იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბათუმის რევოლუციური ორგანიზაციის გაფორმების გზაზე. სამწუხაროდ, ეს დაძაგირგვინებელი აქტი ვერ განხორციელდა თვით ალ. წულუკიძის მიმხედ ოჯახური პირობების გამო. ამ დროს სისტემატურად ავადმყოფობდა მისი მეუღლე, რომელიც ვერ იტანდა ბათუმის ჰავას და თავის ტკივილებს უჩიოდა. ამას დაერთო დიდი მწუხარებაც (ორი მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალება),¹⁸ რამაც იმოქმედა საშას სულიერ მდგომარეობაზე. ფ. მახარაძე აღნიშნავს: „ნათესაებს და ახლობელ მეგობარ-ამხანაგებს დიდი შიში ჰქონდათ იმის, რომ საშა ვერ გადაიტანდა ამ უბედურებას, რაც კი შესაძლებელი იყო ვლებულობით ყოველგვარ ზომებს მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად“.¹⁹ ალ. წულუკიძე რამდენიმე ხნით ჩამოშორდა პრაქტიკულ საქმიანობას. მაშინ რსდმპ თბილისის კომიტეტმა ბათუმში გამოგზავნა გ. ჩხეიძე. მას, დროებით მაინც, საშა უნდა შეეცვალა, მაგრამ მეუმრავლესეების წინააღმდეგობის გამო საქმეს თავი ვერ მოაბა და მალე უკანვე დაბ-

15 სტა, ფ. 102, ს. 5, ფურც. 31.

16 მლისფა, ფ. 8, ს. 16, ფურც. 223.
235.

17 სტა, ფ. 157, ს. 52, ფურც. 18.

18 მლისფა, ფ. 8, ს. 33, ფურც. 12.

19 ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 24 (შესავალი წერილი).

რუნდა. ამიტომ კომიტეტმა ნო-
ემბრის შუა რიცხვებში აქ სას-
წრაფოდ მოავლინა იოსებ ჯუ-
ღაშვილი. მან მარჯვედ გამოიყენა
უფროსი მეგობრის დიდი მუშა-
ობის შედეგები, თვითონაც მოკ-
ლე დროში ჩამოაყალიბა მუშათა
11-მდე წრე და მათი წარმომად-
გენლების არალეგალურ კონფე-
რენციასზე 1901 წლის 31 დეკემ-
ბერს გააფორმა რსდმპ ბათუმის
ორგანიზაცია.

ალ. წულუკიძე ბათუმით არ
იფარგლებოდა და ხშირად მიემგ-
ზავებოდა საქართველოს სხვა
ქალაქებშიც. ცნობილი პედაგოგი
გარლამ ძიძიგური აღნიშნავდა,
რომ ალ. წულუკიძე 1900-1901
წლებში „ხანდახან მთელი თვე-
ობით ჩამოდიოდა ხონში მამას-
თან და ხელმძღვანელობდა ია-
ტაკქვეშ მომუშავე ამხანაგებს“.²⁰
ილია ბახტაძეც ადასტურებს, რომ
„ალექსანდრე წულუკიძე იმ პე-
რიოდშიც, როდესაც მსახურობ-
და ბათუმში... ხშირად დადიოდა
თბილისში, ბაქოში, ქუთაისში,
ხონში და... აქ მოწინავე ახალგა-
ზრდებიდან, ინტელიგენტებიდან,
მუშებიდან, ნოქრებიდან აყალი-
ბებდა ვიწრო არალეგალურ წრე-
ებს“.²¹ ცხადია, ასეთ მუშაობას
სათანადო შედეგი უნდა გამოეღო
და გამოიღო კიდევ. ვ. ძიძიგუ-
რის სიტყვით „ხონის საოსტატო
სემინარიის მოსწავლეთა გაფიც-

ვები, კერძოდ, 1901 წლის იანვარში
ცვა, ერთ-ერთი შედეგია... არალეგალური მუშაობისა, სასა-
ხოსა და სის მიდამოებში ეწეო-
და გზუფი საშა წულუკიძის მე-
თათურობით“.²²

ალ. წულუკიძე უშუალოდ ხე-
ლმძღვანელობდა არალეგალური
ლიტერატურის ტრანსპორტირე-
ბას ბათუიდან საქართველოს სა-
მრეწველო ცენტრებსა და რაიო-
ნებში. ილ. ბახტაძე წერდა: „სპე-
ციალური დავალებით ბათუმში
ჩავედი, ეიხაულე ალექსანდრე
წულუკიძე და იქიდან მასწავლებ-
ლებში, მოსწავლე ახალგაზრდო-
ბაში, მუშებში და გლეხებში გა-
სავრცელებლად ხონში ჩამოვი-
ტახე სხვადასხვა შინაარსის პრო-
კლამაციები,... რომლებიც ხონში
და მის მახლობელ სოფლებში
კუხში, გუბში, ჭიხაიშში, მათხო-
ჯში, ღანიშში, ქვიტიშში და სხვა-
გან გავავრცელე“.²³

ალ. წულუკიძის რევოლუციუ-
რი მოღვაწეობა ბათუმში და მის
ფარგლებს გარეთ შეუმჩნეველი
არ დარჩა ხელისუფლებას. ეანდა-
რმერამ, ზედიზედ რამდენჯერმე,
„გაჩხრიკა და ააფორიაქა“ მისი
ბინა, მაგრამ იშვიათი კონსპირა-
ციის გამო საეჭვო ვერაფერი უნ-
ახა.

1921 წლის ნოემბერში ალ. წულ-
უკიძე ქუთაისში გადავიდა, მა-
გრამ ბათუმის რევოლუციურ ორ-

20 ვ. ძიძიგური, მასწავლებლის მოგო-
ნებანი, თბილისი, 1957, გვ. 32.

21 მლისდა, ფ. 8, ს. 4, ფურც. 263.

22 ვ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი,
გვ. 32.

23 მლისდა, ფ. 8, ს. 4, ფურც. 263.

განიზაციასთან კავშირი მაინც არ გაუყვევია. როგორც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იგი ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში. ამის შესახებ მიხა ცხაკაია წერდა: „ერთი მხურვალე და დრამა პოინციპული დასცველთაგანი ლენინის პოზიციისა იყო ჩვენი სამა... ის არ კმაყოფილებოდა საკავშირო (საოლქო) კომიტეტსა და ძწერლობაში მართო მუშაობით, მიუხედავად საკმაოდ შელახული სიმართლისა, ის მუდამ ესწრებოდა სხვადასხვა მოწიხავე მუშებების წრეებს ან თითო-ორ-ორი დღით მიდიოდა ქუთაის-ბათუმში ადგილობრივი კომიტეტების (ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს) მოსაწესრიგებლად, სადაც ხშირი იყო კონფლიქტები (უფრო ხშირად ბათუმში)“.²⁴

კავკასიის კავშირის კომიტეტი, როგორც ცნობილია, 1903 წლის განათხულებზე შეიქმნა. მასმასადაძე, ამ დროიდან, ალ. წულუკიძე რამდენჯერმე ჩამოვიდა ბათუმშიც. 1903-1905 წლები, საერთოდ, უაღრესად დაძაბული იყო ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ საქართველოში გაჩაღდა მძაფრი ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. რსდმპ ბათუმის კომიტე-

ტის სასახელოდ უნდა შეიქმნა, რომ თავიდანვე მტკიცედ დადგა ლენინურ-ისკრულ პოზიციაზე, მაგრამ შემდეგ სისტემატურ დაპატიმრებათა გამო მნიშვნელოვნად შეიცვალა კომიტეტის შემადგენლობა. იგი შეივსო ახალი წევრებით, რომელთაც არ ჰქონდათ რევოლუციური წრთობა და ბოიოლის გამოცდილება. ამით ისარგებლეს მენშევიკებმა და სცადეს გაბატონება ბათუმში, რასაც 1905 წლის დამდეგს მიღწეის კიდევც.

მასმასადაძე, ალ. წულუკიძე ჩამოდიოდა შინაპარტიული ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით. ამ დროს იგი აწყობდა დისკუსიებს მენშევიკების წინააღმდეგ და განუმარტავდა მასებს ბოლშევიკების პროგრამას, განამტკიცებდა კომიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურას და მონაწილეობდა მის პრაქტიკულ საქმიანობაში.

1904 წლის მარტში პოლიციამ დაარბია რსდმპ ბათუმის კომიტეტის არალეგალური სტამბა.²⁵ ამასთან დაკავშირებით ბათუმსა და სხვა ქალაქებში დააპატიმრეს ექვმიტანილნი (გიორგი შილიყაძე, ივანე ახალაძე, ივანე ფერაძე, ბუღუ მდივანი, ნიკოლოზ ჭიჭინაძე, გერონტი ტუსკია, ილია წიგწივაძე და სხვები, სულ 16 კა-

25 სტამბა ინახებოდა ივ. ანდრონიკიძის სახლის სხვენზე პეტერბურგის ქუჩაზე (ახლა ჭავჭავაძის ქ. № 96). მისი ადგილსამყოფელი ბოქაულ ჩხიკვაძეს შეატყობინა პროვოკატორმა.

24 ლ. ებანოძე, ალექსანდრე წულუკიძე, თბ., 1956, გვ. 45.

ცი).²⁶ სტამბის საქმესთან დაკავშირებული აღმოჩნდა ალ. წულუკიძეც, რადგან კონფისკაციაქმნილ მასალებში პოლიცია წააწყდა მის წერილს, ასევე ექვმიტანილის, მიხეილ ივანეს ძე ბატირევისადმი. ბარათით ალ. წულუკიძე რეკომენდაციას უწევდა „დოქტორ მახვილაძეს“, როგორც უნარიანს და მოხერხებულს.²⁷ ერთი შეხედვით წერილი ფრიად უწყინარი იყო, მაგრამ პოლიციამ ივარაუდა, რომ „დოქტორი მახვილაძე“ რომელიღაც რევოლუციონერის პარტიული მეტსახელია. ამიტომ 1904 წლის 16 აპრილს პოდპოლკოვნიკ შაბელსკიმ თხოვა თბილისის გუბერნიის ქანდარმერიას დაუყოვნებლივ მოეძებნათ ალ. წულუკიძე და დაეკითხათ: მისი დაწერილია თუ არა ბარათი და ვის იხსენიებს „დოქტორ მახვილაძის“ ფსევდონიმით, ვის მისცა ეს წერილი და საიდან იცნობს მ. ი. ბატირეს, რით შეუძლია იმ მდგომარეობის ახსნა, რომ მისი წერილი კონვერტიტურთ აღმოჩნდა სხვა ნივთიერ საბუთთა შორის იმ სახლში, სადაც მივაკვლი-

26 სცხა, ფ. 157, ს. 52, ფურც. 223-224.

27 თვით წერილს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. სტამბის ჩავარდნის დროს მ. ბატირევი პეტერბურგს იმყოფებოდა. თბილისის ქანდარმერიას გამოსაძიებლად იქ გადაუგზავნია მისი საქმე. შესაძლოა, მასში ჩააქერეს აღნიშნული ბარათი, როგორც ნივთმტკიცება.

ეთ საიდუმლო სტამბას. და ბოლოს შაბელსკი ითხოვდა ალ. წულუკიძის ბინის გაჩხრეკას და სხვ.²⁸

თბილისის ქანდარმთა სამმართველომ მაშინვე მიიღო ზომები. გაირკვა, რომ ალ. წულუკიძე ბაკურიანს იმყოფებოდა დასასვენებლად. მაშინ ბორჯომის საპოლიციო უბნის ბოქაულს აბულოვს მიეცა სათანადო ინსტრუქცია. იგიც ბეჯითად შეუდგა დავალების შესრულებას, ჩავიდა ბაკურიანში, მაგრამ საშა იქ აღარ დახვედრია — 22 აგვისტოს ქუთაისის გამგზავრებულიყო.²⁹

ამასობაში საქმეში ჩაერია თბილისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ბეზვინი, რომელმაც 1904 წლის 28 ნოემბერს კატეგორიულად აკრძალა ალ. წულუკიძისათვის ხელის ხლება და მოითხოვა მკაცრი მეთვალყურეობის დაწესება.³⁰ ქანდარმერია ამით ფიქრობდა საშასთან ურთიერთობაში მყოფ პირთა ვინაობის დადგენას. ჩანს, დაუგროვდათ სათანადო მამხილებელი მასალაც; იმავე წლის 18 დეკემბერს პოლიციამ გაჩხრიკა ალ. წულუკიძის ბინა, მალე დააპატიმრა იგი და რამდენიმე ხნით მეტეხის ციხეში გამოკეტა.

28 სცხა, ფ. 153, ს. 632, ფურც. 142.

29 იქვე, ფ. 157, ს. 49, ფურც. 143.

30 იქვე, ფ. 153, ს. 785, ფურც. 143-144.

კონსტანტინე გომიკაძე

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარება საბჭოთა აჭარაში

საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ტრანსპორტი აკავშირებს ნედლეულის წყაროებსა და სამრეწველო ცენტრებს, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს. იგი მრეწველობისა და მიწათმოქმედების მატერიალური დასაყრდენია, საზოგადოებრივი წინსვლის, პროგრესის აუცილებელი პირობაა. ტრანსპორტის განვითარება ხელს უწყობს აგრეთვე ხალხების დაახლოებასა და მათი კულტურის განვითარებას.

ტრანსპორტის სახეობათა შორის საზღვაო ტრანსპორტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თანამედროვე ცივილიზაცია და ტექნიკური პროგრესი წარმოუდგენელია ზღვებსა და ოკეანეებზე ადამიანის ბატონობის გარეშე. საზღვაო ტრანსპორტი ვითარდება და სრულყოფილი ხდება ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სახალხო მე-

ურნეობისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში.

საზღვაო ტრანსპორტი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგად. გადაიჭრა კაპიტალისტური საფრახტო ბაზრისაგან საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის დამოუკიდებლობის ამოცანა.

ჩვენი ქვეყნის საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა აჭარას. აქ არის მსოფლიოში სახელგანთქმული ბათუმის ნავსადგური და მრავალი მოხერხებული ნავმისადგომი. ბათუმის ნავსადგურში უძველესი დროიდან შემოდისა და უცხოეთის გემები. ზღვაოსნობისა და ქვეყნის განვითარების ინტერესები მოითხოვდა კეთილმოწყობილი ნავსადგურების აგებას, მაგრამ XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა რიცხვებამდე ჩვენში ნავსადგურები, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არ არსებ-

ბობდა. იგი აშენდა 1884-1894 წლებში.

ბათუმის ნავსადგური დიდ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ამიერკავკასიის მთავარი საექსპორტო საქონელი: ნავთობი, თამბაქო, აბრეშუმის პარკი, ბზა და სხვა, მრავალ ქვეყანაში ბათუმის ნავსადგურიდან იგზავნებოდა. გარდა ამისა, აქედან ირახსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჰქონდათ სატრანზიტო ტვირთი.¹ ნავსადგურის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ აჭარის საზღვაო ტრანსპორტის ისტორიას მეტწილად ეკონომიურ და საინჟინრო-ტექნიკურ ასპექტში სწავლობენ. ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს იგი ჯერ კიდევ არ გაუხდიათ სპეციალური კვლევის საგად. საზღვაო ტრანსპორტს მიეძღვნა გ. ჩიკვაიძის ნაშრომი,² რომელიც ძირითადად ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდს ეხება და მეტად ზოგად ცნობებს

1 აჭარის ასსრ ცსა, ფ. რ-60, აღწ. 1-ა, ს. 8, ფურც. 86. მაშინ საქართველოს რუსეთთან და კავკასიის სხვა მხარეებთან აკავშირებდა მხოლოდ ვლადიკავკავის რკინიგზა, რაც მეტად აძნელებდა ტვირთბრუნვას. ასეთ პირობებში ზღვის ტრანსპორტი ყველაზე იაფი, მოხერხებული და ხელმისაწვდომი იყო.

2 გ. ჩიკვაიძე, ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიიდან, თბ., 1953.

გაწვდის მსოფლიო საზღვაო ტრანსპორტის განვითარების შესახებ. აჭარაში ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარებაზე აქ მხოლოდ გაცვლით არის საუბარი. ნაშრომს ათა აქვს აგრეთვე არავითარი აპარატურა.

გემთმშენებელი ქარხნის სევასტოპოლიდან და ტუაფსედან ბათუმსა და ფოთში ევაკუაციის შესახებ რამდენიმე ცნობას გვაწვდის მ. სერგუჩევი,³ რომელიც თავის ნაშრომში მხოლოდ მოგონებებს ეყრდნობა. წიგნს მეცნიერული აპარატურა არ გააჩნია და მთელი რიგი დებულებები უფრო დასაჯერებელ განხილვებს საჭიროებს.

აჭარის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში სათანადო სისრულით აისახა აჭარის გმირული წარსული და ბედსიერი აწმყო. ამ მხრივ უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ს. ყაუხჩიშვილმა, ს. ქავთარაძემ, პ. ცქვიტარიამ, მ. ჯიჯიშვილმა, ვლ. სიჭინავამ, ხ. ახვლედიანმა, აბ. სურგულაძემ და სხვებმა, მაგრამ დღემდე არსებული ლიტერატურა სრულად ვერ ასახავს ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარებას საბჭოთა აჭარაში.

ქართულ საბჭოთა ისტორიო-გრაფიაში ჩვენ პირველად ვცადეთ დასმული პრობლემა შეგვესწავლა კომპლექსურად. ამ მიზნით გამოსაცემად მოვამზადეთ

3 М. Сергучев, корабли возвращаются в строй, симф, 1969-

მონოგრაფია. წინამდებარე სტატიის მიზანია მოკლედ მიმოიხილოს ზღვაოსნობისა და გემთშენებლობის განვითარება საბჭოთა აჭარაში.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის ბათუმის, ნავსადგური და გემთშენებებელი სასელოსნოები სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ნავსადგური ნახევრად დახვრეული იყო. მენშევიკებმა თითქმის მთელი ადგილობრივი სავაჭრო ფლოტი გაიტაცეს.⁴ მიყენებული ზარალის გამო 1921 წლის პირველ ხანებარში ნავსადგური არ მუშაობდა.

უშიშესი ეკონომიური პირობების მიუხედავად, 1923 წელს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეძლეს ნავსადგურისა და მისი სახელოსნოების შესაკეთებლად სპეციალური თანხის გამოყოფა, რამაც დააჩქარა ნავსადგურის აღდგენა, გააუმჯობესა ტვირთბრუნვის მაჩვენებლები. ბათუმის ნავსადგურმა 1913 წლის დონეს მიაღწია საერთო ტვირთბრუნვის მიხედვით 1927-1928 სა-მეურნეო წელს, საკაბოტაჟო ტვირთბრუნვის მიხედვით — 1929-30, ხოლო გემთბრუნვის მიხედვით — 1931-32 წელს. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ უცხოეთთან გემთბრუნვის მაჩვენებლებიც მკვეთ-

რად იცვლებოდა, რაც საგარეო ვაჭრობის არასტაბილურობით იყო გამოწვეული.

ნავსადგურების აღდგენით მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთბრუნვა. სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს ბათუმის ნავსადგური ტვირთბრუნვის მოცულობით წინ უსწრებდა საბჭოთა კავშირის ნავსადგურების უმრავლესობას და მხოლოდ ვლადივოსტოკის ნავსადგურს ჩამორჩებოდა. ფოთის ნავსადგურის ეს მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო, მაგრამ უსწრებდა ნიკოლაევის, ხერსონის, ქერჩის, ფეოდოსიის, ტუაფსეს, სევასტოპოლის, ევპატორიის, იალტის, ბერდიანსკის, როსტოვისა და მთელი რიგი სხვა ნავსადგურების მაჩვენებლებს.⁵

საინტერესოა მგზავრების გადაყვანის დინამიკა; 1922 წელს ბათუმის ნავსადგური მოემსახურა 16.639 მგზავრს, 1924 წელს — 63.000 მგზავრს. ეს მაჩვენებლები შემდგომ წლებში თვალსაჩინოდ მატულობდა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ნავსადგურის მუშაობის ფინანსური მაჩვენებლებიც.

ომამდელი ხუთწლეულების პერიოდში განსაკუთრებით დიდი ღონისძიებები გატარდა ნავსადგურების ტექნიკური აღჭურვილ-

4. საქართველოს სსრ ცსა, ფ. 800, აღწ. 1, ს. 58, ფურც. 701.

5 В. Михайловский, Морской транспорт в цифрах и диаграммах, М., 1921, стр. 62-63.

ომის დონის ასამაღლებლად, ახალი მექანიზმების დასანერგავად. მექანიზაციის დანერგვამ ხელი შეუწყო ახალი პროფესიების ათვისებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ბათუმის ნავსადგურის კოლექტივს განსაკუთრებით ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. სავაჭრო ფლოტი აქტიურად მონაწილეობდა სევასტოპოლისა და ოდესის დაცვაში. ამ ფლოტით გადაჰყავდათ ჯარის ნაწილები და ევაკუირებული მოსახლეობა, გადაჰქონდათ საჭურველი, სურსათი. ნავსადგურის კოლექტივი დაკვირვით წესით აგებდა თავდაცვის ზღუდეებს, სამხედრო მნიშვნელობის გზებს, ხიდებს, რკინიგზის ხაზებს, დაუღალავად შრომობდა ნავსადგურის გასამაგრებლად.

პატრიოტული შრომით თავი ისახელეს ფრონტზე წასული ნავსადგურის მუშაკების ცოლებმა, რომლებიც დაეუფლნენ „მამაკაცების პროფესიებს“, გახდნენ მტვირთავები და მექანიზატორები. გემების შემეკეთებლები. შეიქმნა აგრეთვე მოხალისე დიასახლისთა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ნავსადგურს ყველაზე მძიმე მომენტში ეხმარებოდნენ. მათმა პატრიოტულმა თაოსნობამ ბევრჯერ იხსნა ნავსადგური გასაჭირისაგან.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში სწრაფად გაიზარდა ტვირთბრუნვის მოცულობა. მაგალითად, ბათუმის ნავსადგურ-

ში 1959 წელს, 1940 წელთან შედარებით, დამუშავებული ტვირთის მოცულობა 50 პროცენტით და მეტად გაიზარდა.⁶

ნავსადგურში შესამჩნევად გაიზარდა უცხოეთთან ტვირთბრუნვის ხვედრიწონა. მისი საშუალებით საბჭოთა კავშირი მსოფლიოს 30 სახელმწიფოს უკავშირდება. რაც სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის გაფართოებასა და განვითარებას უწყობს ხელს.

დატვირთვა - გადმოტვირთვის ოპერაციების შესასრულებლად მექანიზაციის ფართოდ გამოყენების შედეგად ბათუმის ნავსადგურში წლითიწლობით მცირდება ერთი ტონა ტვირთის დამუშავების თვითღირებულება. მაგალითად, აქ 1959 წელს ერთი ტონა ტვირთის დამუშავების თვითღირებულება უდრიდა 13,27 მანეთს, ხოლო 1968 წელს — 0,59 მანეთს (ახალი კურსით).⁷ 1969 წელს 1 ტონა ტვირთის დამუშავების თვითღირებულება, გეგმასთან შედარებით შემცირდა 0,07 კაპიკით, ანუ 1,1 პროცენტით. საქართველოს საზღვაო სანაოსნომ სულ დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუაობების შესრულებით მიიღო 313 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ერთი ტონა ტვირთის დამუშავების საშუალო საშემოსავლო ტა-

6 ბათუმის ნავსადგურის მიმდინარე არქივი. „ნავსადგურის საექსპლუატაციო-ეკონომიური დახასიათება“.

7 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ ცსს მასალებიდან.

რიფი მისი დამუშავების თვითღირებულებაზე 40-42 პროცენტით მაღალი იყო.

სისტემატურად მატულობს მგზავრთა ნაკადი საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოს ნავსადგურებიდან მგზავრების გადაყვანა თითქმის ორჯერ გაიზარდა და 1,01 მლნ კაციდან 1,81 მლნ კაცს მიაღწია.⁸ მგზავრები ძირითადად ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიდან გადაჰყავდათ.

საზღვაო და რკინიგზის ტრანსპორტის წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული მათ შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობაზე. ვაგონების მიწოდების გრაფიკის დარღვევა აფერხებს ნავსადგურის კოლექტივის მუშაობას. აქ ყოველდღიურად იგეგმება შესასრულებელი სამუშაოები, გამოიყოფა მუშახელი, საჭირო მანქანები, ტექნიკა, ამიტომ გრაფიკის უმნიშვნელო დარღვევაც კი იწვევს წარმოების პროცესის შეფერხებას, მუშახელისა და მექანიზმების მოცდენას.

ვაგონების დაგვიანებით მიწოდების გამო მიღებული ტვირთის თითქმის ნახევარი გემებიდან ჯერ საწყობებში გადაიტვირთება, შემდეგ კი — ვაგონებში და დანიშნულებისამებრ იგზავნება. ეს

ტვირთის დამუშავებას ორჯერ და მეტად აძვირებს. ბოლო წლებში ფიზიკურ ტვირთსა და ტონა-ოპერაციებს შორის არსებული დიდ სხვაობა შემცირდა, მაგრამ ტვირთის არარაციონალური გადანაცვლების შემთხვევებს კვლავ აქვს ადგილი.

ტონა-ოპერაციების შემცირება შესაძლებელია რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტის შეთანხმებული მუშაობით, ნავსადგურებში ვაგონების დროულად მიწოდებით, შუალედი ოპერაციების გარეშე გემებიდან პირდაპირ ვაგონებში ჩატვირთვით და პირიქით.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა შეიძლება ნავსადგურისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღმინისტრაციის ერთობლივი მოქმედებით. ბათუმის რკინიგზის სადგურის ტვირთბრუნვის გეგმის შესრულებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ნავსადგური და, პირიქით, ნავსადგურის კოლექტივის მიერ ტვირთბრუნვის გეგმის შესრულება მხოლოდ რკინიგზის სადგურთან შეთანხმებული მუშაობით შეიძლება. სამუშაოდ, ჯერ კიდევ არის ცალკეული შემთხვევები, როცა რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტის ზოგიერთი მუშაკი ოპერატიულად ვერ მუშაობს, რის გამოც საზღვაო და სარკინიგზო მეურნეობა ზარალდება. იგივე ითქმის ავტომეურნეობაზეც.

საქართველოში ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარე-

⁸ მონაცემები აღებულია სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალებიდან.

ბამ დღის წესრიგში დააყენა საკუთარი კადრების მომზადების საკითხი. ჯერ კიდევ 1922 წელს ქ. ბათუმში გაიხსნა საზღვაოსნო სასწავლებელი, რომელიც მალე (1924 წ.) ლენინგრადში გადაიტანეს. რამდენიმე წლის შემდეგ (1929 წ. მარტი) ბათუმში გაიხსნა საზღვაო ტექნიკუმი. 1933 წლიდან ტექნიკუმი (შემდეგ საზღვაო სასწავლებელი) რეგულარულად უშვებს კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც ერთვულად ემსახურებიან საბჭოთა სამშობლოს. წლითიწლობით იზრდებოდა ტექნიკუმის პოპულარობა. მრავალ ახალგაზრდას აღეძრა საზღვაოსნო საქმისადმი ინტერესი. ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა სასწავლებელიც, მოემატა ახალი სპეციალობები. ტექნიკუმი ამზადებდა გემთწამყვანებს, შტურმანებსა და მექანიკოსებს, შორეული ცურვის კაპიტნებს.

არსებობდა აგრეთვე მეზღვაურთა ტექნიკური სკოლა, რომელიც მსმენელებს აძლევდა როგორც ზოგად, ასევე ტექნიკურ განათლებას.

საზღვაო სასწავლებლებში აღიზარდნენ სახელმოხვეჭილი ზღვაოსნები: ა. წუწუნავა, ნ. სობოლევ, თ. მაქაცარია და მრავალი სხვა. ტექნიკუმის კურსდამთავრებულებმა მეორე მსოფლიო ომში თავდადებისა და მამაცობის არაერთი მაგალითი უჩვენეს, ბევრი მათგანი აქტიური მონაწილეა ჩვენი ქვეყნის საზღვაო ფლოტის

მრავალი სასელოვანი გამარჯვებისა.

ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ინტერნაციონალიზმისა და კეთილშობილების პრინციპზე აღზრდილ ახალგაზრდებს მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდშიც არაერთი სიმამაცე და გამირობა გამოუჩენიათ. მათ შორს გატყოცნეს სასწავლებლის სახელი. აქ აღზრდილებს შეხვდებით თითქმის ყველა ზღვასა და ოკეანეში.

სასწავლებელში ზღვაოსნობის საიდუმლოებას სახელოვან ჭაბუკებთან ერთად ქალებიც (შ. თურმანიშვილი, ი. ფაილოძე, ნ. კალანდაძე და სხვები) დაეუფლნენ.

ჩვენი რესპუბლიკის მეზღვაურთა კადრების მომზადებაში დიდი როლი შეასრულეს მაღალკვალიფიციურმა მასწავლებლებმა — ს. თოთიბაძემ, ს. კუდრიავეცმა, გ. ჩიკვაძემ, პ. ალიხანოვმა და სხვებმა. ტექნიკუმის დაარსების 30 წლისთავზე კადრების მომზადებაში მოპოვებული წარმატებისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სასწავლებელი დააჯილდოვა (1969 წ. მარტი) სიგელით.

სასწავლებელში აღზრდილმა მრავალმა ქართველმა მეზღვაურმა უმაღლესი განათლება მიიღო საბჭოთა კავშირის საზღვაო ინსტიტუტებში. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით შესაძლებელი გახდა ჩვენს რესპუბლიკას აღედგინა ზღვაოსნობის ტრადიციები. 1967 წლის 20 იანვარს შეიქმნა საქართველოს სსრ სანა-

ოსნო, რომელიც საბჭოთა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. სანაოსნოს შექმნის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. ტვირთბრუნვისა და მგზავრების გადაყვანის გაუმჯობესებამ თვალსაჩინოდ გაზარდა საზღვაო ტრანსპორტის შემოსავალი. 1968 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბალანსო მოგება უდრიდა 12.858 ათას მანეთს, ხოლო 1969 წელს — 13.958 ათას მანეთს. ზეგეგმიტა მოგება 1.136 ათასი მანეთი შეადგინა. ამგვარად, საქართველოს საზღვაო სანაოსნო მომგებიანი მეურნეობაა.

საგრძნობლად გაიზარდა ნავსადგურების ძირითადი წარმოებითი ფონდები, კაპიტალდაბანდება და საზღვაო ტრანსპორტის პერსონალი.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ძირითადი წარმოებითი ფონდები 1965-1970 წლებში 10 მლნ მანეთით გაიზარდა, ე. ი. წინა ხუთწლეულთან შედარებით — ორჯერ და მეტად. 1969 წლისათვის საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ძირითადი ფონდების ღირებულება 122.833 ათას მანეთს უდრიდა. მარტო 1968 წელს ამოქმედდა 2.791 ათასი მანეთის ძირითადი ფონდები.

მექანიზაციის დონის მნიშვნელოვანი ამაღლების მიუხედავად,

ნავსადგურებში გაიზარდა მექანიზაციის ხარისხი. მაგალითად, ფოთის ნავსადგურში 1968 წელს დასაქმებული იყო 1.609 კაცი, 1969 წელს — 1.645, ხოლო 1970 წელს — 1.735 კაცი. მატება ძირითადად მუშების ხარჯზე მოხდა. მუშათა ოაოდელობის ზრდის ასეთივე ტემპი შეინიშნება სხვა ნავსადგურებში. მუშების რიცხვის ზრდა ნავსადგურის ტვირთბრუნვის სწრაფი მატებითა და მთელ რიგ სამუშაოზე ხელის შრომის გამოყენებით აიხსნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა სახის ტვირთის დამუშავების მექანიზაცია თანაბრად არ ხერხდება, მაგალითად, ბამბის დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების მექანიზაცია შეტად დაბალ დონეზეა.

საზღვაო ტრანსპორტის განვითარებამ, მისი ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო საბინაო და კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობის გაშლას. 1968 წელს ამ მიზნით გამოიყო 337 ათასი მანეთი, გეგმათ გათვალისწინებული 281 ათასი მანეთის ნაცვლად. გადიდდა აგრეთვე მუშათა მატერიალური წახალისების ფონდი, რომელმაც 912 ათასი მანეთი შეადგინა, ასევე 834 ათას მანეთამდე გაიზარდა წარმოების განვითარების ფონდიც.

მნიშვნელოვნად გადიდდა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის წვლილი ერობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვ-

ნულ შემოსავალში. 1962 წელს ჩვენი რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის საერთო პროდუქციამ 8,5 მლნ მანეთი შეადგინა, აქედან წმინდა პროდუქცია უდრიდა 6,4 მლნ მანეთს, 1968 წლისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 26,6 და 12,8 მლნ მანეთამდე გადიოდა.

ხელოვნური მაჩვენებლები მოწმობს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიური პოტენციალისა და სახალხო მეურნეობაში მისი როლის ზრდას. მიუხედავად ამისა, საზღვაო ტრანსპორტის განვითარების ტემპი ჩამორჩება ჩვენი რესპუბლიკის ტრანსპორტის სხვა სახეობათა განვითარების ტემპს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის მაჩვენებლები 30 პროცენტითა და უფრო მეტად გაიზარდა, მაშინ, როცა საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში უმნიშვნელო მატება აღინიშნებოდა.

ნაოსნობის განვითარებასთან ერთად საბჭოთა აჭარაში შეიქმნა გემთშენებელი მრეწველობა. ომის შემდგომ პერიოდში ბათუმის გემთშენებელი ქარხანა აშენებდა მრავალი ტიპის საზღვაო ერთეულს. 1950 წელს დაიწყო ორთქლის საზღვაო მანქანების, აგრეთვე თვითმტვირთავების წარმოება. 1952 წლიდან ბათუმის ქარხანაში გემთშენებლობის

ხვედრიწონა საგრძნობლად გაიზარდა. გეგმით გამოშვებული საერთო პროდუქციის მესამედზე მეტი ახალი გემების მშენებლობაზე მოდიოდა, დანარჩენი — შეკეთებაზე. 1956 წლიდან ქარხანა უშვებდა სასაზღვაო კატარას, 1958 წლიდან — 150 ცხენისძალიან სამგზავრო თბომავალს, 1959 წლიდან — „ვოლგის“ ტიპის წყალქვეშა თრთიან სასაზღვაო კატარას, ხოლო 1961 წლიდან — „წყლის ტროლეიბუსის“ ტიპის პლასტმასის 40-ადგილიან კატარას. 1960 წლიდან ქარხნის ერთ-ერთ ძირითად პროდუქციას წარმოადგენს კატარა „ვოლგა“, რომელიც განკუთვნილია ზღვის ნაპირის გასწვრივ სასაზღვაოდ და სამსახურებრივი მიმოსვლისათვის. იგი საათში ავითარებს 60 კილომეტრამდე სიჩქარეს, რაც სხვა სერიის კატარლების სიჩქარეზე ბევრად მეტია. „ვოლგა“ ახლა ცნობილია საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მრავალ კურორტზე. ისინი იგზავნება 14 ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, გერმანია, იტალია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, ფრანკეთი, კუბა, ბრაზილია, შვეიცარია, დანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ეგვიპტე).

ბათუმის კატარლებით უცხოეთის ქვეყნების დაინტერესებამ გამოიწვია ის, რომ საწარმოს კოლექტივი ყოველწლიურად ზრდის საექსპორტო გეგმას.

საკავშირო საგაჭრო პალატამ შეაჯამა ჯერ კიდევ 1962 წელს მოწყობილი გამოფენისა და საზღ-

რობის შედეგები და „ვოლგას“ საუკეთესო შეფასება მისცა.

საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას ჩვენში დიდი პერსპექტივები აქვს. უახლოეს პერიოდში ტვირთბრუნვა დაახლოებით 1,6-ჯერ გაიზრდება. საზღვაო ფლოტი შეივსება ახალი კომფორტაბელური და სპეციალური დანიშნულების გემებით.

უახლოეს მომავალში ბათუმის ნავსადგურში მწყობრში ჩადგება ახალი ნავმისადგომი, განმტკიცდება საქართველოს საზღვაო სასაონოს ეკონომიკა, კიდევ უფრო გაიზრდება საზღვაო ტრანსპორტის როლი ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, გაუმჯობესდება კადრების მომზადება, აშენდება ასობით ახალი კატარა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შავი ზღვის კურორტებზე დამსვენებლების მომსახურებისა და ნავსადგურის ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

* * *

აჭარის ზღვაოსნობის განვითარების პერიოდიზაცია, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, არ ემთხვევა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის საერთო პერიოდიზაციას.

ნავსადგურისა და ზღვაოსნობის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით, რომლის პირველი

პერიოდია 1921-1928 წლები. ამ პერიოდში დამთავრდა ნავსადგურის აღდგენა. მთელი საშუაოები სრულდებოდა მექანიზაციის გარეშე, ხელის შრომით.

მეორე პერიოდი მოიცავს 1929-1941 წლებს. ამ პერიოდში ჩატარდა ნავსადგურის რეკონსტრუქცია, დაიწყო მექანიზაციის დანერგვა, გაუმჯობესდა ნავსადგურის მომსახურება და კეთილმოწყობა, გაიზარდა ტვირთბრუნვა და მგზავრების გადაყვანა.

მესამე პერიოდია 1941-1945 წლები. ამ პერიოდში ნავსადგური გარდაიქმნა საომარ ყაიდაზე და ფრონტისა და ზურგის მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებდა.

მეოთხე პერიოდი მოიცავს 1946-1950 წლებს. ესაა დიდი სამამულო ომის შემდგომ ნავსადგურის აღდგენის პერიოდი, რომლის დასასრულისათვის ტვირთბრუნვამ ომამდელ დონეს გადააჭარბა.

1951 წლიდან ბათუმის ნავსადგურის განვითარებაში იწყება ახალი პერიოდი, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ პერიოდში სრული მექანიზაციის საფუძველზე გაიშალა მუშაობა ტვირთის დამუშავების თვითღირებულების შესამცირებლად და სხვა მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

ზღვაოსნობის განვითარების ჩვენს მიერ მოცემული ეტაპები არ ეწინააღმდეგება საბჭოთა სა-

ზოგადოების ისტორიის საერთო
პერიოდიზაციას. სახალხო მეურ-
ნეობის რომელიმე დარგის ისტო-
რიის ქვეყნის საერთო პერიოდი-
ზაციის შესაბამისად გამართვა არ

გამორიცხავს ამ დარგის განვითა-
რების ეტაპების თავისებურებებს.
ამის მაგალითს წარმოადგენს
ზღვაოსნობის განვითარება საბ-
ჭოთა აჭარაში.



შალვა შაჩხანიძე

აჭარის წარსულის კვლევის ისტორიიდან

ახლოვდება ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებისა და მისი დედასამშობლოსთან დაბრუნების ასი წლისთავი. ამთარილს ზეიმით აღნიშნავს საქართველოს საზოგადოებრიობა. სულსხვა განწყობილებით შეხვდებიან მას უცხოეთის ის წრეები, რომლებიც ცდილობდნენ აჭარა, კერძოდ ბათუმი, გადაეციათ საერთაშორისო ინტრიგების კერად და აქედან გამაგრებულიყვნენ კავკასიისა და რუსეთისაკენ სამხრეთიდან მიმავალ გზებზე, ჩმახედნენ ვერსიებს აჭარის მოსახლეობის არაქართველობის შესახებ.

განვიღო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა აჭარის წარსულის შესწავლისათვის. ოსმალთა ბატონობის დროს აჭარის მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური ყოფისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიისადმი მიძღვნილი არაერთი მონოგრაფია და ბროშურა გამოქვეყნდა. შედარებით უფრო სუსტადაა შესწავლილი ფეოდალური ხანის აჭარის ისტორიის საკითხე-

ბი. ეს ძირითადად იმიტომ გამოწვეული, რომ მკვლევარებს ძლიერ ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი ამ ხანის ცხოვრების ამსახველ წყაროებთან.

უკანასკნელ ხანებამდე თითქმის არ წარმოებდა აჭარაში არსებული ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენა-შესწავლა, ნაკლები ყურადღება ექცეოდა აჭარის შესახებ არსებული ნარატიული წყაროებისა და საბუთების გამოძეურება-გამოყენებასაც. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი ამ თხუთმეტიოდ წლის წინათ შეუდგა აჭარის ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ძეგლთა არქეოლოგიურ გათხრასწავლას. მასში აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მუშაკებიც მონაწილეობდნენ. გამოვლინდა მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომლის გამოქვეყნება 1961 წელს დაიწყო. კერძოდ, ფიჭვნარის ნაქალაქარის არქეოლოგიური დაზვერვა-გათხრების პირველ მონა-

პოვართა ანალიზი მოცემულია ნ. ხოჭტარას შრომებში.

საკმაოდ ფართო გათხრით სამუშაოთა შესრულების შედეგად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო გამოცემა სერიისა — „სამხრეთ საქართველოს ძეგლები“. მისი პირველი ტომი 1964 წელს, მეორე 1971 წელს, ხოლო მესამე 1973 წელს გამოქვეყნდა. პირველ ტომში გაშუქებულია ბათუმის 1960-1961 წლების არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. ის შეიცავს ნინო ბერძენიშვილისა და ლამარა ნეზბერიძის ნარკვევებს „ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში“, ა. რამიშვილის სტატიას „ძველი სადგომები ქეიშნარ დიუნაზე“, ი. გძელიშვილის ნარკვევს „აჭარაში 1960-1961 წ. წ. აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურა — სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგები“, რომელიც მიმოიხილავს ჭარნალში (კოროხის მარცხენა ნაპირზე), ლედვასა და ჭიხანჯურში აღმოჩენილ რკინის სადნობ ქურებს, დ. ხახუტაიშვილის გამოკვლევას „კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან“ და ა. შ. იქვე დაბეჭდილ დ. ხახუტაიშვილისა და ი. გძელიშვილის ნარკვევში „რკინის წარმოების უძველესი კერა კოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში“ გაკეთებულია დასკვნა, რომ რკინის წარმოების

ადგილობრივი კერა კოროხის აუზის ქვემო წელზე აოსებობდა ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მიწურულსა და პირველი ათასწლეულის დამდეგს.

დასახელებული სერიების მეორე ტომი, ოთხელიც 1971 წ. გამოცემა, გაშუქებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებისა და ნაქალაქართა უძველესი ისტორიის რიგი საკითხები, კერძოდ, ნ. ვაშაკიძის ხაზოთში წარმოდგენილია გურიანთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია იერი აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით (1963 წ.) მოპოვებული ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ა. კახიძის ნაშრომი ეხება ფიჭვხარის ანტიკური ხანის ნაქალაქაოზე მოპოვებულ კერამიკულ ტაოას — ამფორებს, რომლებიც ძლიერ მასალებს იძლევიან კოლხეთის ქალაქების ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შესწავლისათვის, მისივე და ზ. შატერაშვილის ნაშრომში შავლაქიანი კერამიკის კონკრეტული ჯგუფის შესწავლის საფუძველზე გარკვეულია ძვ. წ. V-VI ს. ს. ატიკასა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ურთიერთობა, ა. ინაიშვილის ნაშრომში წეილობითი წყაროების ინტერპრეტაციისა და უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე მოცემულია პეტრას საეპისკოპოსო კათედრალის ლოკალიზაცია, განხილულია აქვე ნა-

ცაღდგურის არსებობის საკითხი და ა. შ.

გარდა ამ ნაშრომებისა არქეოლოგმა ა. კახიძემ ანტიკური ხანის ქალაქების, კერძოდ ქობულეთ-ფიჭვნარის კვლევას მიუძღვნა თავისი საკანდიდატო შრომა „საქართველოს შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები“, რომელიც გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. მასში განხილულია ქობულეთ-ფიჭვნარის წინაანტიკური და ანტიკური ხანების არქეოლოგიური ძეგლები. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შემოტანილი კერამიკული ჭურჭლის შესწავლით მკვლევარი არკვევს ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობის საკითხებს, სათანადო მასალებზე დაკვირვების შემდეგ დაასკვნის, რომ ქობულეთის რაიონში აღმოჩენილი ქვის ხანის ნამოსახლარები (სოფლები ხუცუბანი, ქობულეთი, კვირიკე, კოხი, სახალეაშო და სხვა) ახალი ქვის ხანის საკმაოდ ადრეულ საფეხურს განეკუთვნება. შრომაში მთავარი ყურადღება ექცევა ფიჭვნარის ნაქალაქარის ძეგლთა შესწავლა-განხილვა - გაანალიზებას.

ა. კახიძე ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველსავე ნახევარს მიაკუთვნებს „ნამქედურის“ (ქობულეთის რ.) მსხვილ სახელოსნო უბანს, სადაც დიდი რაოდენობით მზადდებოდა ნაირ-ნაირი თიხის ჭურჭელი და რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ინვენტარი. მისივე

შრომაში ყურადღებას იპყრობს ქოროხის აუზში რკინის ნაშთების ადრიდანვე არსებობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს, რომ არქეოლოგიურ კვლევითს ლიტერატურაში ქოროხის აუზი უკვე დიდი ხანია აღიარებულია ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთ მძლავრ კერად. და თუ ეს ასეა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქოროხის აუზის მეტალურგიული კერა მოიცავდა აჭარა-მერისის ხეობასაც.

მიუხედავდ ზემოთქმულისა, გამოქვეყნებული გამოკვლევები, სტატიები, თუ ცალკეული შრომები ჭეղჩეობით ვერ იძლევა საკმაო მასალას იმისათვის, რომ სრულად დაეახასიათოთ იმ ხანის მწარმოებელი საზოგადოების ცხოვრება, მისი ურთიერთობა ზღვისპირეთის მეზობელ, თუ შორეულ ხალხებთან. ჩვენი აზრით აჭარის ზღვისპირეთის უფრო ვრცელი, ხანგრძლივი და ნაყოფიერი არქეოლოგიური გამოკვლევები, აჭარის ხეობის მთის ზოლის არქეოლოგიური ძიების გაფართოება საკმაოდ გაამდიდრებდა შესაბამისი პერიოდების შესასწავლად აუცილებელი წყაროების ფონდს და მოგვცემდა საშუალებას უფრო ფართო ფონზე გაგვეშუქებინა ფეოდალური ხანის აჭარის ისტორიის საკითხები.

შედარებით მეტი გავითა ქ. ბათუმის ისტორიის შესწავლისათვის. 1951 წელს გამოქვეყნდა პროფ. ს. ყაუზჩიშვილის შრომა „ანტიკური მასალები ბათუმის ის-

ტორიისათვის“ (ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 10, გვ. 18), რომელშიც მიმოხილულია მისი შორეული წარსული 1878 წლამდე. 1958 წელს გამოქვეყნდა ვ. სიჭინავას მონოგრაფია „ბათუმის ისტორიიდან“, რომელიც განიხილავს ქალაქის სოციალ-ეკონომიურ განვითარებას 1878-1905 წლებში. 1956 წელს დაიბეჭდა ი. სიხარულიძის ნაშრომი „ბათუმის წარსულიდან“ (შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 5, 1956 წ.). მანვე გამოაქვეყნა წერილი „ბათუმის ეტიმოლოგიისათვის“ (გაზ. საბჭოთა აჭარა“, 1958 წ., № 79). აჭარის წარსულს იგი შედარებით ვრცლად აშუქებს ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია“, რომელიც გამოცემულია 1958-1959 წლებში. როგორც მონოგრაფიის სახელწოდება გვიჩვენებს, ის მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოკური გამოკვლევაა და მასში გაშუქებულია აჭარის წარსულის რიგი საინტერესო მომენტებიც.

ქალაქის წარსულსა და მის განაშენიანებას მიეძღვნა დ. კომახიძის წიგნი „ბათუმი“. 1959 წელს გამოვიდა ჯ. ჩხეიძის ისტორიული ნარკვევი „ბათუმი“, რომელიც მოგვითხრობს ქალაქის ისტორიას უძველესი დროიდან 1921 წლამდე. ამ შრომებსა და გამოკვლევებში ქ. ბათუმის ის-

ტორიის ერთი, ან რამდენიმე საკითხია განხილული. საინტერესოა აგრეთვე ხ. ახვლედიანის საკანდიდატო შრომა „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“. აჭარის ამ პერიოდის ისტორიას გაკვრით ეხებიან აგრეთვე გ. ტივაძე, შრომაში „ოსმალბის დევრიშობა საქართველოში და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში“, მ. სვანიძე ნაშრომში „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII ს. ს.“ და შ. მეგრელიძე ნაშრომის „აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან“ შესავალში.

აჭარის ფეოდალური ხანის ისტორიის შესწავლას 1955 წლიდან შეუდგა აჭარის სახელმწიფო მუზეუმიც. მუზეუმის მიერ გამოცემულ შრომებში ფეოდალური ხანის აჭარის ცხოვრებასთან დაკავშირებული რამდენიმე სტატია დაიბეჭდა.

მუზეუმის შრომების პირველ ტომში (1955 წ.) შევიდა ვ. იაშვილის, ხ. ახვლედიანის და რ. მეფისაშვილის გამოკვლევები „გონიას ციხის ისტორიისათვის“, „ნიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის“, „სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი“ და სხვა. მეორე ტომში პეტრას ციხის ისტორიის გაშუქებას მიეძღვნა ვ. სიჭინავას გამოკვლევა „ახალი ცნობები ციხისძირის (პეტრას) ისტორიისათვის“. ასევე საყურადღებოა შ. რუსიძის „დარჩიძეებისა და შუახევის ციხეები“, და

მისივე „დანდალოს თალიანი ქვის ხიდი და ციხე-კოშკი“, თ. ჩიქოვანისა და ჯ. ნიკოლაიშვილის „ჰოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან“, ალ. ქათამაძის საექსპედიციო გამოკვლევა „კინტრიშის ხეობა“ და მ. სვანიძის „სამხრეთ-საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) ბრძოლის ისტორიიდან ოსმალთა დამპყრობთა წინააღმდეგ XVI საუკუნის უკანასკნელ მესამედში“. 1944 წელს გამოიცა ხ. ახვლედიანის „აჭარის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც ნაწილობრივ ოსმალთაგან დამპყრობის აჭარის ცხოვრებასაც ეხება. X-XI საუკუნის აჭარის შესახებ არის ზოგიერთი ცნობები ი. სიხარულიძის მონოგრაფიაში „ტბელ აბუსერიძე“, რომელიც 1963 წელს დაიბეჭდა. მიუხედავად ამისა ისტორიული წყაროები ფეოდალური ხანის აჭარის შესახებ მაინც იმდენად მცირეა, რომ ზოგიერთ ისტორიკოსს შეუძლებლად მიაჩნია მისი მონოგრაფიული გამოკვლევა. ნაკლებ შესწავლილია აჭარის ბარის ზოგიერთი უბანი, მთისძირები და მთიანეთი, გარდა ამისა მესხეთის თუ ოსმალეთის საქართველოს ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები ან განადგურდა, ან კიდევ თურქეთში გაზიდეს და უნდა ვიფიქროთ, იქაურ საცავებში ინახება.

ირაკვევა, რომ თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის შესახებ არსებული ბევრი დოკუმენტი ინახება თურქეთის სახელმწიფო არქივში. რუ-

სი ისტორიკოსი ნ. ბოლოდიჩევი მოგვითხრობს, რომ ფრანგი ისტორიკოსი მ. ლემერსიე ქელქეჯედი 1964 და 1966 წლებში მუშაობდა თურქეთის ბაშ-ვექალეთის (მთავრობის მთავარი სამინისტრო, ჩვენი გაგებით მინისტრთა საბჭო, შ. ვ.) არქივსაცავში და ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის 1967 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნა ინფორმაცია „გამოუქვეყნებელი წყარო XVI საუკუნის რუსეთის ისტორიისათვის“.

როგორც ლემერსიე მოგვითხრობს, ბაშ-ვექალეთის არქივსაცავში ის წააწყდა დიდძალ მასალებს „მიუჰიმ დეფთერლერის რეესტრილერის“ (მნიშვნელოვან საქმეთა აღწერის რეგულაციები — შ. ვ.) სახელწოდებით. „რეგულაციები“ მოიცავს 262 ტომს, რომელთაგან მას პირადად გადაუთვალთვრებია 80 ტომი. ლემერსიე ამბობს „მიუჰიმ დეფთერლერის“ მასალები მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციებს ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს, სამეგრელოს, იმერეთის, გურიის სახელმწიფოთა და სამთავროთა შესახებ, XVI საუკუნეში ბრწყინვალე პორტას (კონსტანტინეპოლის — შ. ვ.) ჯარების შემოსევაზე ამიერკავკასიაში, თურქეთის სულთნების ბრძოლაზე მაშინდელი ირანის უძლიერეს შაჰთა დინასტიებთან კავკასიის დაუფლებისათვის“. ცხადია, აღნიშნულ ტომებში ბევრი ცნობა იქნება დაცული აჭარის შესახებაც.

არის ცნობები, რომ აჭარის მოსახლეობა თურქ-ოსმალთა ხელყოფისაგან გადარჩენის მიზნით მიწაში მარხავდა ძვირფას ნივთებსა და დოკუმენტებს, რომლებიც შემდეგ განადგურდა ან დაიკარგა. ამას დაემატა ისიც, რომ აჭარელი თავადებისა და გამოჩენილი პირების კუთვნილი მრავალი ხელნაწერი, ძეგლი და წერილი, როგორც ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს, წონით ასოცდახუთ ფუთამდე ოზურგეთის არქივისათვის გადაუციათ, რომელიც შემდეგ სახმარ ქალაქად გაყიდულა. სხვა ბევრ მნიშვნელოვან საბუთებს შორის აჭარის მოსახლეობაში შემონახული ყოფილა „სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და მწყემსთა დებულება „ძველ

დროს“. ერთი აჭარელისაგან მიწოდებული ეს ძეგლი ახალციხელ ვაჩნაძეს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციისათვის გადაუცია.

„ახლა ეს არის მივიღე, — წერდა ხერთვისელი გამუსლიმანებული მესხი ჯუხუტა ეფენდი ვაჩნაძე ჟურნალის რედაქციას, — ერთის აჭარაში მცხოვრებისაგან ეს ძეგლი ხელთნაწერი“ (სარედაქციო სტატია, ჟურნ. ცისკარი, 1871 წ. აპრილი). ვაჩნაძის მიერ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციისათვის მიწოდებული ეს ძეგლი პირველად გამოჩენილა ქართული ჟურნალების ფურცლებზე და უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევ ბევრი ძეგლისა და საბუთის გამოვლენაა მოსალოდნელი მომავალში.

ნიგნოზ

თარო

მრავალმხრივ საინტერესო კრებული

მკითხველი საზოგადოება ამ ბოლო დრომდე აჭარულ ზღაპრებს ძირითადად იცნობდა ღვაწლმოსილი მკვლევარის დოცენტ ჯ. ნოღაიდელის წიგნებით. ცალკეული ნიმუშები იბეჭდებოდა აგრეთვე სპეციალურ კრებულებსა და გამოცემებში. სარეცენზიო კრებულის შემდგენლებს, ნაბეჭდი პროდუქციის გარდა, გაუთვალისწინებიათ ხელნაწერ ფონდებში არსებული მასალა (პირველ რიგში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმისა და, განსაკუთრებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნი-

ერო კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული ჩანაწერები).

„აჭარული ზღაპრების“ გამოცემა სამ ტომად ყოფილა გათვალისწინებული. პირველ ტომში შესულია 51 ნიმუში. ისინი მკითხველს უნერგავენ შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, გულწრფელობასა და სხვა დადებით თვისებებს.

გვითხულობთ ამ ზღაპრებს და ვფიქრობთ: როგორ ჰგვანან ისინი ჩვენს მიერ ადრე წაკითხულებს! დიას, ზღაპართა სიუჟეტები ძალიან წააგვანან ერთმანეთს. და მაინც, წინამდებარე კრებულშიც იგრძნობა ადგილობრივი კოლორიტი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნებისმიერი ხალხური ზღაპრები.

„აჭარული ზღაპრები“ საინტერესოა არა მარტო ფოლკლორული თვალსაზრისითა და იდეურ-შინაარსობრივი მრავალფეროვნებით, არამედ ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. სწორად მოიქცნენ კრებულის შემდგენლები,

„ქართული (აჭარული) ზღაპრები“ შეადგინეს, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთეს აზიზ ახვლედიანმა, ეთერ ზოიძემ, ზურაბ თანდილაშვილმა, ალექსანდრე მსხალაძემ, ნანული ნოღაიდელმა და ნელი ცქიტიშვილმა.

პირველი ტომის რედაქტორები: ალ. მსხალაძე, ნანული ნოღაიდელი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1973 წ.

რომ ზღაპრებს შეუნარჩუნეს ადგილობრივი მეტყველებისათვის დაახასიათებელი თავისებურებები. სხვადასხვად წარმოდგენილია: ამა თუ იმ კუთხეში მოპოვებული ფოლკლორული მასალა ამ მხარის მეტყველების ლექსიკურ, ფონეტიკურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებებსაც უნდა წარმოგვიჩენდეს.

„აჭარული ზღაპრების“ ენათმეცნიერულ მნიშვნელობასა და ინტერესს ზრდის ისიც, რომ მასში წარმოდგენილია ნიმუშები „ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი კილოსი“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უტყბო ენობრივ გარემოცვაში იმყოფებოდა და მაინც შეინარჩუნა ქართულობა, დღემდე წმინდად შემოგვინახა გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმები.

„ზღაპრებში“ დასტურდება ბევრი ლექსიკური ერთეული, რომლებიც დღეს უკვე აღარ არის სალიტერატურო ქართულში, ისინი მხოლოდ ძველი ქართული ენის ძეგლებსა და შესაბამის ლექსიკონებშია დაცული (იშვიათად — ზოგიერთ მთის კილოში). „ჩამოვარდნის“, „გადმოვარდნის“, „ჩავარდნის“ მნიშვნელობით აჭარულში გვხვდება „გადმოჭრომა“ (სხვადასხვა ზმნისწინით): „ხიებში გედეიჭრა“ (14), „საიდან ჩამექარიო ხელშიო“ (68), „გაგიშვეფდა აღარ ჩიეჭრა

ხელში“ (107). ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით გვაქვს ძველი ქართულის ძეგლებში: „ვითაოცა კლდისაგან ძაღლისა მთხრებლსა ღრმისა გარდმოიჭრეს“; „იყო ვინე ზეი და ჩამოიჭრა ქუეი“. დაყრაცნობილი, ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა აჭარულში ნიშნავს დაკეტვასაც: „მივიდა დაყრილ ოთახში (31); „დუყრის ფურნის კარს“ (68). შდრ. ივ. ქაოთ. „სააუფეველს შემავალსა კარი არა დაეყრებო“; „სტუმრება ძველ ქართულში გამაჰპინილებას, მიჰპატიუებას, მიღებას ნიშნავს: „ხოლო მამათა ისტუმრნეს და სიხარულით წარვიდეს“. აჭარულში ეს ზმნა მიწვევას, მიჰპატიუებას ნიშნავს. დაუცავს იგი ზღაპარს „სამი და“: „ქალი ეტყვი: მე ხემწიფის შემადგენლობა დავპატიუო, ვისტუმროო... მესამე დღის საღამოზე ხელმწიფეს ისტუმრიებს“ (73). ეს მაგალითი განსაკუთრებით ფასეულია იმიტომ, რომ საინტერესო ფორმის მნიშვნელობა სინონიმური სიტყვითაა ახსნილი. ძველი ქართულისეული მნიშვნელობითაა ამავე ზღაპარში „გამთელება“ (გაჯანსაღება, გაჯანმრთელება): „ქალს... მოუარებენ ისე, რომ გაამთელებენ“ (74). ძველი მნიშვნელობა დაუცავს სიტყვებს: ფურცელი და ზოცვა. პირველი ფოთოლს აღნიშნავს, მეორე წაშლას, ამოშლას (შდრ. ძვ. „ჰგვანდა ქართა, რომელი ხეთაგან ფურცე-

ლთა ჩამოჰყრის“; „იგიცა მოუ-
სუმიდა კალამსა და აღხოც-
და“.

ლექსიკური ერთეულების გვე-
რდით „ზღაპრებში“ დავადასტუ-
რეთ ბევრი გრამატიკული არქაი-
ზმი.

პირველ რიგში აღვნიშნავთ მე-
ორე სუბიექტური და მესამე ობ-
იექტური პირების ნიშნებად ბ, ჰ
თანხმოვნების გამოყენებას. ბ
გვაქვს ტ თანხმოვანის წინაც,
რაც შეტად მნიშვნელოვანი ჩანს:
ახყვა, შემოხკრა, ჰტაცო, ჰტაცა,
დაჰტიეს (უქანასკნელი ფორმე-
ბის გვერდით საინტერესოა აგ-
რეთვე ეჰეც ესეც).

ერთი ჯგუფის ზმნებში მიცე-
მითში დასმული სახელის მრავ-
ლობითობა აღინიშნება არა თ
ნიშნით, არამედ ან, ენ ნიშნებით:
„იმ ქალებს ახლიან ერთი ქა-
ლი“ (69); „ხალხს აინტერე-
სებენ, ეს ბიჭი ვინ არის“ (59);
„ყველა დღე უჩდება დენ
ოქრო ამ ბავშვებს“ (28) და სხვ.
შდრ. ძვ. ქართ.: „ჩემი სიტყვა
კარგი ავის უარესად გესმია-
ნო“. „ზღაპრები“ ამ მხრივ იმი-
თაც არის საინტერესო, რომ ანა-
ლოგიურ შემთხვევებში — ეს
ნიშანიც დასტურდება: „გადაწყ-
ვიტეს, ტყეში წესულიყვნენ, და-
თვისთვინ ეთხოვეს (26)“ აღ-
სანიშნავია ისიც, რომ ერთ მაგა-
ლითში — ეს ნიშანი სახელობი-
თში დასმული ობიექტის რიცხვ-
საც გამოხატავს „საიდან ჩაგე-
ჰარით ხელშიო? — წყალმა მო-
გიტანეს იაშვიკითო (68).“

სამეცნიერო ლიტერატურაში
გამოთქმულია მოსაზრება, რომ
ძველისძველად მ-პრეფიქსს უნდა
ეწარმოებინა ერთპირიანი ვნები-
თები. აჭარულშიც ენიანი ვნე-
ბითია გავრცელებული სალიტე-
რატურო ქართულისა და სხვა
დიალექტების დონიანთა ნა-
ცვლად: ეთხოვება (თხოვდება),
მეეჭვია (ძოვივდა), გეეჭვნება და
სხვ. ანალოგიური ფორმებია ძვე-
ლში: „არღარა მოემშოოს მათ,
არცაღა მოეწყუროს“. „მა-
თი საქმე აღარავის მოეგონე-
ბოდა“. „ზღაპრებში“ მრავლა-
დაა უწყვეტლის მწკრივის ფო-
რმები, სადაც — ავ თემის ნიშა-
ნი — ევად არის ქცეული: ძინე-
ვდა, ვიპარევდი, ზიდევდა, კლე-
ვდა და სხვ.

შეგვხვდა ერთი მეტად საინტე-
რესო მაგალითი, რომელიც ადრე
გამოქვეყნებულ ტექსტებსა და
სპეციალურ გამოკვლევებში არ
დასტურდება — ესაა მყოფადის
მნიშვნელობით ნახმარი კავშირე-
ბითის მწკრივი: „უთხრა: ეს ფა-
ზმანდი რომ მეიხსნას, იმ წუთში
მოკდესო, ხოლო კდარს რომ
შეაბან, იმ წუთში გაცოცხ-
ლდესო (79)“. ზღაპარი, რომ-
ლიდანაც ეს ნიმუშია მოტანილი,
ჩაწერილია სოფ. ჩხუტუნეთში,
ხელვაჩაურის რაიონში, სადაც სა-
ერთოდ ბევრი არქაიზმი შეინიშ-
ნება. ანალოგიურია აგრეთვე:
„სანამ იმ დევს არ აგამყრო-
ლებდე, მანამდე შენ არ წავი-
ყვანო“ (142).

სარეცენზიო წიგნში სხვაც პე-

ვრი გვხვდება საინტერესო სიტყვები: ავაზანი, გურძი, ტაყვეცი, ჭიმური; ისი, წადის, მოაგორებს, უამბა, მოშორიეთ (დაშორებით), ჯდას, სარაი სახლი; წამოაქცევს და ურტყეს ეს კაცი; დუქახეს ის ბიჭი, (შდრ. ძვ. უხმეს ძიძა; უხმო ძე) და სხვ.

ზემოაღნიშნულის გარდა „ზღაპრებში“ დასტურდება ბევრი ნიმუში, რომლებზეც ყურადღების გამახვილება აუცილებელი იქნება აჭარული დიალექტის ღიახასიათებისას.

ერთ-ერთ ზღაპარში სხვადასხვა მნიშვნელობისაა ოფოფი და ოფოფა. უკანასკნელში ბჭონების სუფიქსი ჩანს: ოფოფა უნდა გამოხატავდეს ოფოფის, ზღაპრისავე განმარტებით, ჭოჩრის მჭონებელს:

— მაგ ოფოფი ვინ დიგითია, რა უფლებით ატარებო?

— ოფოფამ უთხრა: თამარ მეფე რუმ მოკდა, იმან დიმიტია ეს ქოჩორო (15).

აქამდე ცნობილ აჭარულ ტექსტებსა და გამოკვლევებში არცერთი მაგალითი არ არის დადასტურებული ისეთი, სადაც ნაწილაკად გაგებული უნდა სიტყვის ნაშთი (ნა||და) ზმნას უსწრებს წინ: „როგორია, ნამასწავლო“ (68); „გინდა თუ არ გინდა, ნაწევდე ცხენზე“ (70). „ზღაპრებში“ ისეთი ნიმუშებიცაა, სადაც ეს ნაწილაკი ორმაგადაა ნახმარი: „მეც იქ და წაგყვენაო“ (78); „ერთი ბაღანა

მე და გამომიგზანო“ (96).

„ზღაპრები“ საინტერესო მასალას გვაწვდის აჭარულ დიალექტში უმარცვლო შ-სა და ი-ს, გრძელი ხმოვნების, დიფთონგების, ემფატიკური ხმოვნის გავრცელებაზეც.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს კრებულში დაცული შემდეგი თავისებური ნიმუშები: სჯდებოდენ, წამლეს (უმკურნალეს); დეიწამლენ (მოიწამლენ), წევიარო, წამოიარა, იძახიდენ, აწერიიდა, გააჩნიოდა, შემეკითხვის (შემეკითხება), გამგზავრდება, დავღალდი, დაქეიფიანდა, ეუბნევა, იკავს (იკავებს), ვეშვილენით, გაბნიდა, მიბნიდა, შეგერთვები ცოლათო; იჩხუბებიან ორი დევი; ისაყვარლებს, საყვარლობს; გიერთყი თავზეო; გიერთყა ტაკვეცმა, კაი სუფრა დასუფრეს; დაბლა ჭალა წვანობს; გაგაციცა, გაგაბიჭა; მოვიდა სარაიას ახლოს, ადამიანი არ არსებობდა (არ იყო); ამ ბიჭს ძალიან მოეწონა იმ ქალის სიტყვა, ხოლო (მაგრამ) მან არ უპასუხა არაფერი; ახლა შენი ვეზირობა გადმომბარე, რუმ (რადგან) დაბერდიო; დანდობილობა, გულერთი, ავგი → აუგი; სამონადიროთ; არის არ არის მაღარტყა ხელმწიფეს; ეს თავგები დანადგუროსო; დაპარული უნდა იყოს ლამბებო.

დაინტერესებული მკითხველი კარგ ფრაზეოლოგიურ ერთეულ-

გბსაც იპოვის „აჭარულ ზღაპრებში“: ქალი ხავს იმისთანაი, რომ ამოი სულო და წაიო (28); გოგომ ფიქრში დეიკარქა (53); მაშინ დედ-მამამ დადევს გული (31); რავარც იქნა, დეისაბუთა ბიჭმა აი ცხენი (55); გეიტანს სულს და გაასწრებს (72); ქვა წამლად მიიღეს (82); ჩემი ბრძანება ვინ დეიკავა, ვინ არაო (108); ცხენი ენაზე მოვდა (125) და სხვ.

ზოგი ფრაზეოლოგიზმი ევფემისტურ (ზრდილობიანი, მოკრძალებული საუბრის) ფონზე ჩანს წარმოქმნილი: თხას წელზე შეძრობა მუნდა (9); მაგას მე გადაგიჩენთ, თუ ერთს მოითავმდაბლებო! ქალი რაზი გახდა (28); მიმეისაქმეს ყველაფერი, ამ ქალმა ახორში წევდა (128)...

წიგნს ღართული აქვს გაუგებარი სიტყვების ახსნა, რომელიც ფართო მკითხველისთვისაა განკუთვნილი და არ გულისხმობს მეცნიერულ მიზნებს. სწორედ ამიტომ დაურქმევიათ ავტორებს „სიტყვების ახსნა“ და არა „ლექსიკონი“. ზოგიერთი ნასესხები სიტყვის ფონეტიკურად სახეშეცვლილ ვარიანტებს მიწერილი აქვთ თავდაპირველი ფორმები

(ახთი-აღდი...); კარგი ექნებოდა ეს პრინციპი ბოლომდე ყოფილიყო გატარებული; არ გვეჩვენება აუცილებლად ისეთი სიტყვების ახსნა, როგორიცაა: რამდონი, რეიზა, სცო პატივი, ღამის გასათიებლად.. ზოგი სიტყვა ორჯერაა ახსნილი — ცალკეც და კონტექსტშიც (მუშავარობთ — რას მუშავარობთ), მაშინ როცა საერთოდ არ არის განმარტებული ბოტი, ჯილღა...

ტექნიკური მიზეზით წიგნში გაპარულია რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა: დაჭნიკე (დაჭინკე), მაღლა შაცი ცთები (უცთები); მოძრაობს (მოაძრაობს)...

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ „აჭარული ზღაპრების“ გამოცემით კარგი საქმე გააქეთა: ფოლკლორისტებს მიაწოდა სხვადასხვა ხასიათის საინტერესო ზღაპრები, ენათმეცნიერებს, დიალექტის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს — საყურადღებო დიალექტოლოგიური მასალა.

მკითხველი მოელის „ზღაპრების“ მეორე და მესამე ტომებს.

მერი ცინცაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი

ყოველგვარი ლიტერატურა, რომელიც მშრომელებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას აღავსებს მშობლიური ქალაქისა თუ სოფლისადმი წრფელი სიყვარულის, რევოლუციური და შრომითი ტრადიციებისადმი პატივისცემის, აწმყოსა და მომავლისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით, ძალიან საჭირო და სასარგებლოა. სწორედ ამ მხრივ იქცევს ყურადღებას ბათუმში ახლახან გამოცემული წიგნი „აჭარის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები“.

აჭარა, მით უფრო ბათუმი, საკმაოდ ცნობილია თავისი სახელოვანი წარსულით. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს ჩვენი ქალაქი არაერთხელ აქვთ მოხსენიებული. ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა 90-იანი წლების ბათუმსა და მის მრეწველობას, დიდად აფასებდა ბათუმის მნიშვნელობას ვაჭრობა-მრეწველობისა და საზღვაო ნაოსნობის განვითარებაში, რაც ძირითადად განაპირობა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ბაქოს ნავთობის ექსპორტის ზრდამ. 1886 წელს ბათუმში ამუშავდა ნავთობპროდუქტების გადასასხმელი ქარხანა, რომელიც მსხვილ მრეწველს მანათშევს ეკუთვნოდა. იმავე წელს აქ არენაზე გამოჩნდა

ფრანგი კაპიტალისტი როტშილდი, რომლის ქარხნებსა და დამამარე საწარმოებში გასული საუკუნის დამლევს მუშათა რიცხვმა ოთხი ათასს მიაღწია. ასე იზრდებოდა ბათუმის პროლეტარიატის რიგები. იგი სულ უფრო ძლიერი ძალა ხდებოდა და უპირისპირდებოდა ყველა ჯურის ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებს. ამ ძალის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი წყარო იყო სოციალისტური იდეები, რომელიც პროგრესულ, რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციას შეჰქონდა მუშათა კლასში.

წიგნის ავტორ-შემდგენლები ე. გოგიბერიძე, ვლ. შარაშიძე, პ. ცქვიტარია იმ ინტელიგენტთა შორის, რომლებიც ბათუმელ მუშებს თავიანთ ქომაგად მიაჩნდათ, პირველ რიგში ასახელებენ გამოჩენილ ქართველ მწერალს, რევოლუციონერ-დემოკრატს, საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ ერთ-ერთ მოთავეს ეგნატე ნინოშვილს. იგი ბათუმში სხვადასხვა დროს ცხოვრობდა და მუშაობდა ნავსადგურში, როტშილდის ქარხანაში, ეწეოდა მომქანცველ ფიზიკურ შრომას, მაგრამ მაინც პოულობდა დროსა და საშუალებას, რომ შემოეკრიბა მოწინავე მუშა-

მოსამსახურეები; შექმნა პატარა წრე, რომელსაც უმთავრესად საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა.

ბათუმელები ახლაც მოკრძალებით ჩაუვლიან სახლს ხულოს ქუჩაზე, სადაც ბათუმში ყოფნის ბოლო დღეები გაატარა ეგნატე წინიშვილმა. ამ სახლს მემორიალური დაფა ამშვენებს.

ბათუმში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ გამოჩენილი რევოლუციონერები იოსებ სტალინი, ალექსანდრე წულუკიძე, გიორგი ფრანჩესკი, ივანე ლუზინი, მიხა ცხაკია, ფილიპე მახარაძე და სხვები, რომლებიც ჩვენი ქალაქის პროლეტარიატს აიარალებდნენ სოციალიზმის იდეებით, რაზმავდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ბრძოლებისათვის. სარეცენზიო წიგნში მოთხრობილია მათი მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ამბები, ბათუმის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული საარქივო დოკუმენტური მასალების საფუძველზე აღწერილია აჭარის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, თითოეულ მათგანს ეძღვნება მოკლე წერილი.

ინტერესით იკითხება წერილები, რომლებიც ეხება 1902 წლის 9 მარტის ბათუმის მუშათა პოლიტიკური დემონსტრაციის დახვრეტას, ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის შტაბ-ბინას, არდაგანის ყაზარმებს, რსდმპ ბა-

თუმის ორგანიზაციის არაოფიციალურ სტამბას, რევოლუციური გამოსვლების ადგილს (ახლანდელი კოლმეურნის მოედანი), 1905 წელს გამართულ მასობრივ მიტინგს და ბარიკადებს, ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის 1917-1921 წლებში.

წიგნის ავტორები მოგვითხრობენ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე მუშების ძმების ილარიონ და დარისპან დარახველიძეების, დესპინე შაფათავას, პორფირე ქურიძის, კოტე კალანტაოვის, სილიბისტრო ლომჯარიას, მიხა გაბუნიას და სხვების როლზე, მათ თავდადებასა და ერთგულებაზე.

წიგნში საკმაოდ არის მასალა აჭარის სოფლებში გლეხთა რევოლუციური გამოსვლების შესახებ. მკითხველები ინტერესით გაეცნობიან ქედაში, ცხმორისში, გონიაში, ჩაქვის ხეობასა და ქობულეთში მომხდარ ამბებს.

სამწუხაროდ ზოგიერთი ისტორიული ფაქტის შეფასებისას ავტორები ყოველთვის არ იცავენ ზომიერებას. ასე, მაგალითად, მიტინგებისა და დემონსტრაციების ზედსართავად ხშირად ხმარობენ სიტყვებს „დიდი“, „გრანდიოზული“ („ქართველმა საზოგადო მოღვაწემ მემედ აბაშიძემ, ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად, მოაწყო გრანდიოზული მიტინგი“. გვ. 65). ზოგან ამასაც არ ჯერდებიან და ურთავენ „უმაგა-

ლითო გრანდიოზულს“, „განსაკუთრებით დიდს“ („ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში ქობულეთმა განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს“. გვ. 98).

წიგნში აქა-იქ გვხვდება ენობრივი უხერხულობანი.

ალბათ, სხვა ენიდან პირდაპირი თარგმანითაა მიღებული „მეფისნავი მიტინგები“ (გვ. 67, 110). უნდა იყოს — სახელდახელო მიტინგები.

ეს შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს ამ წიგნის მნიშვნელობას. ვფიქრობთ, შეიძლებოდა მისი უფრო დიდი ტირაჟით გამოცემა და უკეთესად გაფორმება.

კ. შანიძე

613/42
საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

ფან 40 სს.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118